ევროპის სამეზობლო პოლიტიკის
სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება

ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება

“ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება” განხორციელდა პროექტის “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება აზერბაიჯანში, მოლდავეთში, სომხეთში, საქართველოში და უკრაინაში” ფარგლებში. საქართველოში პროექტის განხორციელებას უძღვებოდა ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”.

პროექტის პარტნიორებს წარმოადგენენ — გარემოსდაცვითი უფლებების ცენტრი “ეკოლექსი” (აზერბაიჯანი), ასოციაცია “ეკო-ტირასი” (მოლდავეთი), ”ადამიანის მდგრადი განვითარების ცენტრი” (სომხეთი), ანალიტიკური ცენტრი “საზოგადოება და გარემო” (უკრაინა), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ევროკავშირის რეგიონული ოფისი (ბელგია) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ევროპის პოლიტიკის ოფისი (ბელგია).

მადლობას ვუხდით შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ფონდს (The Black Sea Trust for Regional Cooperation) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოცემულია:
ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა”
თბილისი, 0162, საქართველო
ჭავჭავაძის გამზ. №62
ტელ: +995 32 223 874; +995 32 221 604
ფაქსი: +995 32 223 874
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

© ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”, 2009

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

BTS - შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ფონდი

ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მოსაზრებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ფონდის შეხედულებათა ამსახველად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის
სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება

ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება

თბილისი 2009

სარჩევი

პროექტის შესახებ 3
მეთოდოლოგია 4
ანგარიშის სტრუქტურა 5
ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა 6
საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში განხორციელებული ქმედებების ეფექტურობის შეფასება 8

2.1 ძირითადი ტენდენციები 8
2.2 ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განმტკიცება 10
2.3 ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებები 10
2.4 საზოგადოების შეზღუდული ინფორმირება და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში 11

მიზანი 1. ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება 11
მიზანი 2. ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასება 12
მიზანი 3. საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ოქმების რატიფიცირება 12
მიზანი 4. გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების შემუშავება 13
მიზანი 5. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (წყლის სექტორი) 13
მიზანი 5. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (ნარჩენების სექტორი) 14
მიზანი 6. ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება 14
მიზანი 7. სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით 15
მიზანი 8. ნებართვის გამცემი და მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუმჯობესება 15
მიზანი 9. საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის გაუმჯობესება 16
მიზანი 10. გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება 17
მიზანი 11. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება 17
მიზანი 12. თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან 18
მიზანი 13. გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაცია სხვა სექტორებში 18
მიზანი 14. კიოტოს ოქმის" და "კლიმატის ცვლილების შესახებ" გაერო-ს კონვენციის დებულებების განხორციელება, მათ შორის, სუფთა განვითარების მექანიზმის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის გზით 19
მიზანი 15. ენერგეტიკის და ტრანსპორტის პოლიტიკის მდგრადობის ზრდა 19

პროექტის შესახებ

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი “ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება” განხორციელდა პროექტის “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება აზერბაიჯანში, მოლდავეთში, სომხეთში, საქართველოში და უკრაინაში” ფარგლებში. პროექტის პარტნიორებს წარმოადგენენ — გარემოსდაცვითი უფლებების ცენტრი “ეკოლექსი” (აზერბაიჯანი), ასოციაცია “ეკო-ტირასი” (მოლდავეთი), ”ადამიანის მდგრადი განვითარების ცენტრი” (სომხეთი), ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა” (საქართველო), ანალიტიკური ცენტრი “საზოგადოება და გარემო” (უკრაინა), ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ევროკავშირის რეგიონული ოფისი (ბელგია) და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ევროპის პოლიტიკის ოფისი (ბელგია). საქართველოში პროექტის განხორციელებას უძღვებოდა ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”. პროექტი ხორციელდება შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის ფონდის (The Black Sea Trust for Regional Cooperation, a project of The German Marshall Fund) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით ხელმოწერილი სამოქმედო გეგმების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობის გააქტიურება ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფუნქციონირების საკითხებზე.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია, დაეხმაროს მეზობელ ქვეყნებს რეფორმების განხორციელებაში, თანასწორი თანამშრომლობის საფუძველზე, რაც გულისხმობს საერთო ფასეულობებზე ურთიერთვალდებულებების გაზიარებას შემდეგ სფეროებში: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები, კარგი სამეზობლო ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად, მოსალოდნელია სასიკეთო ძვრები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროებში, აგრეთვე სამოქალაქო სექტორში. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვა სამეზობლო პოლიტიკის გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტისათვის, როგორც ეროვნულ ისე რეგიონულ დონეზე, გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონში.

პროექტის მთავარ ელემენტს წარმოადგენდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით ხელმოწერილი სამოქმედო გეგმების გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების ნაწილების შესრულების ეფექტურობის დამოუკიდებელი შეფასება და მისი განხილვა შესაბამისი (პროექტით მოცული) ქვეყნების მთავრობებთან, ევროკომისიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეფასება ჩატარდა პროექტით გათვალისწინებულ ხუთ ქვეყანაში - აზერბაიჯანში, მოლდავეთში, სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში.

მეთოდოლოგია

საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის შესრულების ეფექტურობის შეფასება განხორციელდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ევროპის პოლიტიკის ოფისისა და ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ევროკავშირის რეგიონული ოფისის მიერ ერთობლივად შემუშავებულ სახელმძღვანელოში ("ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმების განხორციელების შეფასება გარემოს დაცვის სფეროში") შემოთავაზებული მეთოდოლოგიის მიხედვით[1].

სახელმძღვანელო შემუშავდა იმგვარად, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იყოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით მომზადებული ნებისმიერი სამოქმედო გეგმის შესაფასებლად. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ყველა სამოქმედო გეგმას გააჩნია მსგავსი მიზნები, სტრუქტურა და მახასიათებლები. შესაფასებელი საკითხების დასადგენად შერჩეულ იქნა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში. შეფასებაში ასევე დამატებულ იქნა ორი ზოგადი სფერო, რომლებიც ერთის მხრივ, აფასებენ ქვეყნების მთავრობების მისწრაფებას, განახორციელონ სამოქმედო გეგმები, ხოლო მეორეს მხრივ, სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად ევროკავშირის მიერ გატარებულ ქმედებებს. ამრიგად, სახელმძღვანელოში შეფასებულია შემდეგი საკითხები:

- ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება;
- ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დონის შეფასება;
- საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ოქმების რატიფიცირება;
- გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების შემუშავება;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღების ხელშეწყობა (სექტორული მიდგომა — წყალი და ნარჩენები);
- ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება;
- სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით;
- ნებართვის გამცემი და მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუმჯობესება;
- საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის გაუმჯობესება;
- გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება;
- სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება;
- გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაცია სხვა სექტორებში;
- კიოტოს ოქმისა და გაერო-ს კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენციის მოთხოვნების შესრულება;
- ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორის პოლიტიკის მდგრადობის ზრდა.

ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საკითხთან (სფეროსთან) დაკავშირებით ქვეყანაში არსებული სიტუაციის დასადგენად, შემუშავებულ იქნა კითხვარები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრა ამ სფეროებში განხორციელებული საქმიანობების ეფექტურობა. კითხვარებზე გაცემული პასუხების საფუძველზე, გამოითვალა შესრულების მდგომარეობის მაჩვენებელი პროცენტული ინდიკატორი. ამგვარი მეთოდოლოგია, მომდევნო წლებში შეფასების ჩატარების შემთხვევაში, შესაძლებელს გახდის ინდიკატორების საშუალებით შეფასდეს პროგრესი.

კითხვარებში თითოეულ შეკითხვაზე შესაძლო პასუხის ოთხი ვარიანტია მოცემული:

- "დიახ" - გამოყოფილია სამი დონე, საუკეთესოდან უარესამდე (3, 2 ან 1)
- "არა" - აღინიშნა 0-ით.

თითოეულ პროცენტულ ინდიკატორს, მოჰყვება მოკლე განმარტება, რომელიც ხსნის, თუ რატომ არის მინიჭებული ესა თუ ის ინდიკატორი. გარდა პროცენტული ინდიკატორისა, შეფასებაში განხილულია თითოეულ საკითხთან დაკავშირებით არსებულ პრობლემათა სპექტრი, აგრეთვე მოცემულია რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის მიზნების

[1] სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.boell.be/download_en/Greening_the_ENP_Handbook.pdf

შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

წარმოდგენილი შეფასება მოიცავს 2007-2008 წლების პერიოდს - ევროკავშირისა და საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით შემუშავებული სამოქმედო გეგმის ხელმოწერიდან (2006 წლის 14 ნოემბერი) 2008 წლის დასასრულამდე. ამდენად შეფასება შესაძლებელია, განხილულ იქნეს როგორც საბაზისო კვლევა, შემდგომ წლებში პროგრესის შეფასებისთვის.

შეფასების განხორციელების პროცესი მოიცავდა შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- შეფასების ჩამტარებელ ექსპერტთა წრის განსაზღვრა;
- დამატებითი, ქვეყნისთვის სპეციფიური კითხვების შემუშავება;
- მონაცემთა შეგროვება — ოფიციალური ინფორმაციის წყაროები, კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან, ევროკომისიასთან და სხვ.;
- დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
- კითხვარისა და შეფასების სამუშაო ვერსიის განხილვები საბოლოო ანგარიშის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

პროექტის მიზნებისა და მეთოდოლოგიის პრეზენტაცია შედგა 2008 წლის 15 ივლისს, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების ეროვნული სამუშაო შეხვედრის "ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტის" ფარგლებში. შეხვედრაში მონაწილეობდა 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის, ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. პროექტის ფარგლებში აგრეთვე გაიმართა პროექტში მონაწილე ექსპერტების რამოდენიმე შეხვედრა მეთოდოლოგიის განსახილველად. შეფასების სამუშაო ვერსია ხელმისაწვდომი იყო მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე www.greenalt.org, შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა საშუალება გამოეთქვა აზრი შეფასების სამუშაო ვერსიაზე.

2009 წლის 13 თებერვალსა და 29 აპრილს გაიმართა მრგვალი მაგიდა "ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების ნაწილის შესრულების ეფექტურობის შეფასება". მრგვალი მაგიდის მიზანი იყო შეფასების სამუშაო ვერსიის განხილვა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების მიღება სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებისგან. მრგვალ მაგიდის მუშაობაში 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციისა და მთავრობის წარმომადგენლმა მიიღო მონაწილეობა.

შეფასების წინასწარი შედეგების წარდგენა შედგა 2009 წლის 24 თებერვალს ბრუსელში (ბელგია) საზოგადოებრივი სემინარზე "ეკოლოგიური ბარომეტრი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ნაწილში", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროკომისიის, ევროკავშირში აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთისა და უკრაინის მისიების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის პირველ ნაწილში მოკლედაა მიმოხილული ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის მიღების ისტორია და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის მონიტორინგის პროცედურები. მეორე ნაწილში განხილულია საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში განხორციელებული ქმედებების ეფექტურობის შეფასებისას გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები; მესამე ნაწილში კი, წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები თითოეული მიზნის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ანგარიშის დანართში წარმოდგენილია კითხვარები, რომლებშიც დაინტერესებული მკითხველი უფრო დეტალურად გაეცნობა სამოქმედო გეგმის თითოეული მიზნის მიღწევის მდგომარეობას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმა

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (შემდგომში, ესპ), რომელიც ჩამოყალიბდა 2004 წლის მაისში გამოქვეყნებულ სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიაში, განსაზღვრავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. მისი მიზანია სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მეზობელ ქვეყნებში. 2004 წელს საქართველო, 15 სხვა ქვეყანასთან ერთად (ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბია, ლიბანი, მაროკო, პალესტინა, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა) გახდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანა. პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზისო პრინციპია, დაეხმაროს მეზობელ ქვეყნებს შიდა რეფორმების განხორციელებაში, თანასწორი თანამშრომლობის საფუძველზე, რაც გულისხმობს საერთო ფასეულობებზე ურთიერთვალდებულებების გაზიარებას შემდეგ სფეროებში: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები, კარგი სამეზობლო ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება.

ევროკავშირი ცალკეული მეზობელი ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებით ადგენს სამოქმედო გეგმას, რომელიც წარმოადგენს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების ძირითად ინსტრუმენტს. სამოქმედო გეგმების მიზანია, განსაზღვროს მეზობელი ქვეყნისა და ევროკავშირის ერთობლივი დღის წესრიგი პოლიტიკური თანამშრომლობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით. შესაბამისად, გარკვეულ სექტორებში დგება ერთობლივად განსაზღვრული პრიორიტეტები.

2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმას[2], რომლის მოქმედება ვრცელდება 2013 წლამდე. სამოქმედო გეგმის პრიორიტეტები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა, ვაჭრობა და პარტნიორების მომზადება ევროკავშირის შიდა ბაზარზე თანდათანობით ადგილის დასამკვიდრებლად, კანონის უზენაესობა და საშინაო საკითხები, მდგრადი განვითარება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საზოგადოების ინფორმირება, გარემოს დაცვა და მეცნიერება, ასევე სოციალური პოლიტიკა და ხალხთა შორის ურთიერთობა.

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელება ოფიციალურად დაიწყო 2007 წლიდან. ევროკომისიამ გამოაქვეყნა ქვეყნის სტრატეგიული ანგარიში და ინდიკატორული პროგრამა, რომლებიც განსაზღვრავენ ევროკომისიის საქმიანობას და საქართველოსთვის გამოყოფილ რესურსებს მომავალი სამი წლის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ, თავის მხრივ, შეიმუშავა საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების სამთავრობო სტრატეგია, სადაც განსაზღვრულია გეგმის ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებები.

საქართველოს მთავრობა წელიწადში ორჯერ ამზადებს ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის ამსახველ ანგარიშს, ხოლო ევროკომისია ასეთ ანგარიშს გამოსცემს წელიწადში ერთხელ (ე.წ. პროგრესის ანგარიში). დღეისათვის ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულია 2007 და 2008 წლების პროგრესის ანგარიშები[3].

არასამთავრობო ორგანიზაციები[4] პერიოდულად ამზადებენ ანგარიშებს, რომლებიც ასახავენ საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობას სხვადასხვა სექტორში[5]. სამწუხაროდ, ამ ანგარიშებიდან ნათელი ხდება, რომ საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მართა-

[2] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.delgeo.ec.europa.eu

[3] ხელმისაწვდომია ევროკომისიის ვებ-გვერდზე: http://ec.europa.eu/world/enp/documents_en.htm

[4] ესპ-ს მონიტორინგის კოალიციის წევრი ორგანიზაციები. კოალიციის წევრები არიან: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კავკასიის ოფისი, ევრაზიის ფონდი, ღია საზოგადოება-საქართველო და მწვანე ალტერნატივა

[5] ნაწილი ანგარიშებისა ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.enp.ge

ლია, გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ისეთ სექტორებში, როგორიცაა საბიუჯეტო შემოსავლები, კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესის ხელშეწყობა, საბაჟო და საგადასახადო სისტემის რეფორმა, კვლავ ძალზე ბევრია ნაკლოვანებები, მაგალითად, საკვების უსაფრთხოების, შრომის კოდექსის, საკუთრების უფლების დაცვის, სასამართლო რეფორმის და ადამიანის ძირითად უფლებებათა დაცვის სფეროებში. არ შეიმჩნევა პროგრესი ისეთ სექტორებში, როგორიცაა მედიისა და გამოხატვის თავისუფლება, სოციალური დიალოგის დამყარება სიღარიბის აღმოსაფხვრელად და სოციალური უსაფრთხოების სისტემის დასანერგად, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად და მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის.

საქართველო–ევროკავშირის სამოქმედო გეგმის გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექტორში განხორციელებული ქმედებების ეფექტურობის შეფასება

2.1 ძირითადი ტენდენციები

კვლევის შედეგად, ნათელი გახდა, რომ ესპ-ს სამოქმედო გეგმის შესრულება გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სექ-ტორებში, პრაქტიკულად, არ მომხდარა. 2007-2008 წლებში გაგრძელდა ე.წ. სწრაფი ეკონომიკური მოდერნიზაციის, სრული ლიბ-ერალიზაციისა და დერეგულაციის პრაქტიკა. 2004-2006 წლებში გაუქმდა სხვადასხვა ტიპის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის მარ-ეგულირებელი კანონების დაახლოებით 85 პროცენტი, მათ შორის, გარემოს დაცვის, სურსათის, მრეწველობისა და ავტომანქანებ-ის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფერ-ოში. ამას მოჰყვა მაკონტროლებელი სტრუ-ქტურების გაუქმება და შედეგად, დაურეგუ-ლირებელი დარჩა მთელი რიგი სფეროები.

მოსალოდნელი იყო, რომ სამოქმედო გეგ-მის ხელმოწერის შემდეგ მოხდებოდა გარე-მოსდაცვითი კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლო-ბასთან, თუმცა, პრაქტიკაში, 2007-2008 წლებში რაიმე სახის ღონისძიებები ამ მიმა-რთულებით არ გატარებულა. უფრო მეტიც, 2007-2008 წლებში გარემოსდაცვით კანონ-მდებლობაში განხორციელებულმა ცვლილე-ბებმა კიდევ უფრო დააშორა საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების (მათ შორის, 90/313/EC - ინ-ფორმაცია გარემოს დაცვის შესახებ, 85/337/EC და შესწორება 97/11/EC — გარემოზე ზე-მოქმედების შეფასება, 2001/42/EC -— გარე-მოზე ზემოქმედების შეფასება) მოთხოვნებს.

გარემოს დაცვის სფეროში სამოქმედო გეგმის შეუსრულებლობას ხელი შეუწყო ჯერ კიდევ 2004 წლიდან დამკვიდრებულმა სამთავრობო პროირიოტეტების ხშირი ცვლილების პრაქ-ტიკამ (ე.წ. 'ვარდების რევოლუციის' შემდეგ, საშუალოდ, წელიწადში ორჯერ მტკიცდება მთავრობის ახალი შემადგენლობა და მთავ-რობის ახალი სამოქმედო პროგრამა), ასევე სახელმწიფო უწყებების მმართველი გუნდის ხშირმა ცვლილებამ (როგორც წესი, უწყების მმართველი გუნდის წევრებს თანამდებობ-ბზე დანიშვნამდე არც კონკრეტულ სტრუქ-ტურაში უმუშავიათ და არც შეხება ჰქონიათ სფეროსთან). ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველ ახალ სამთავრობო პროგრამაში გარე-მოსდაცვით პრიორიტეტებს სულ უფრო ნა-კლები ადგილი ეთმობა, ბოლო პროგრამაში კი, საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

კვლევამ აჩვენა, რომ იმ სექტორებში, სადაც არსებობს დონორთა გარკვეული დაინტერ-ესება, ფინანსური ნაკადების მეტ-ნაკლები სტაბილურობა (მაგალითად, კლიმატის ცვლი-ლების შესახებ კონვენციის შესრულება) და/ან თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე, შე-დარებით მეტი ქმედითი ნაბიჯია გადადგმუ-ლი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშო-რისო პროექტებისა თუ პროგრამების დამთა-ვრების შემდეგ, სექტორში რაიმე წინსვლა, როგორც წესი, აღარ შეინიშნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის განხორციელების მდგო-მარეობის ამსახველი პროცენტული ინდიკა-ტორები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვი-თარების სფეროებში. ამასთან, როგორც შეს-ავალ ნაწილშია აღნიშნული, გარემოს დაცვი-სა და მდგრადი განვითარების სფეროში გან-საზღვრული მიზნების შეფასებასთან ერთად, შეფასებულია საქართველოს მთავრობის მის-წრაფება, განახორციელოს სამოქმედო გეგმა და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად ევროკავშირის მიერ გატარებული ქმედებები. მომდევნო ქვეთავებში განხილულია სამო-ქმედო გეგმის განხორციელების ზოგიერთი ყურადსაღები ტენდენცია.

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის მიზნები	პროცენტული ინდიკატორი
ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება	33%
ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დონის შეფასება	44%
საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ოქმების რატიფიცირება	20.8%
გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების შემუშავება	22.22%
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღების ხელშეწყობა (წყლის სექტორი)	11.54%
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღების ხელშეწყობა (ნარჩენების სფერო)	18.15%
ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება	26.7%
სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით	16.7%
ნებართვის გამცემი და მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუმჯობესება	54.16%
საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის გაუმჯობესება	23.16%
გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება	13.3%
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება	21.2%
თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან	43.5%
გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაცია სხვა სექტორებში	5.5%
კიოტოს ოქმისა და გაერო-ს კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენციის მოთხოვნების შესრულება	44%
ენერგეტიკისა და ტრანსპორტის პოლიტიკის მდგრადობის ზრდა	11.1%

2.2 ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განმტკიცება

საქართველოს მთავრობა უკანასკნელი წლების მანძილზე გამუდმებით აცხადებს, რომ ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებსა და ევროკავშირში ინტეგრაცია ქვეყნის უპირველესი პრიორიტეტია. 2003 წლის 28 მარტის პარლამენტის №2026 დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს საშინაო და საგრეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს და ავალებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, დაიწყოს მოლაპარაკებები. ყურადსაღებია, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს დღემდე არ გააჩნია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის ინტეგრაცია ევროკავშირში. უფრო მეტიც, საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, შეიძლება ითქვას, არ განიხილება საქართველოს მთავრობის მიერ მსგავსი პროცესისთვის საძირკველის მომზადების წინაპირობად.

ევროკავშირი ხაზს უსვამს, რომ სამოქმედო გეგმის სრულფასოვანი შესრულება საქართველოს ჩააყენებს მომგებიან პოლიტიკურ პოზიციაში, რაც მკვეთრად გააუმჯობესებდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს; ხოლო სამოქმედო გეგმაში ასახული რეფორმების გატარება ხელს შეუწყობდა საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებას და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობა სამოქმედო გეგმას თავიდანვე საკმაოდ დიდი ხარვეზებით ასრულებდა. 2006 წლის დასასრულს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სამინისტროების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოამზადა საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმა-მატრიცა, რომელიც მოიცავდა სამოქმედო გეგმაში გაწერილ მიზნებსა და განსახორციელებელ ამოცანებს, კონკრეტულ ნაბიჯებს, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებს, ვადებს, მოსალოდნელ შედეგებსა და ინდიკატორებს, დაფინანსების წყაროებს. სამოქმედო გეგმა-მატრიცა მოგვიანებით დაწუნებულ იქნა საქართველოს მთავრობის სხდომებზე განხილვის შედეგად. დაწუნება დასაბუთებული იყო იმით, რომ გეგმა იყო ძალზე დეტალური, ხოლო ნორმატიული დოკუმენტები, რომელთა მიღებასაც ითვალისწინებდა გეგმა, ხელს შეუშლიდა საბაზრო ეკონომიკის განვითარებას ქვეყანაში. ამასთან, მთავრობის განცხადებით, თითოეულ სამინისტროს ისედაც ჰქონდა შემუშავებული რეფორმის გეგმები და შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულება ამ გეგმების ნაწილად შესაძლებელია ყოფილიყო მოაზრებული. თუ ევროინტეგრაცია ქვეყნის პრიორიტეტად არის გამოცხადებული, მთავრობის უპირველესი ამოცანა სწორედ სამინისტროების გეგმების იმგვარი მოდიფიკაცია უნდა ყოფილიყო, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობა წელიწადში ორჯერ ამზადებს ესპ-ს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყურადსაღებია, რომ დღემდე არ არსებობს მონიტორინგისა და ობიექტური შეფასების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება მკაფიოდ განსაზღვრულ ინდიკატორებზე; შესაბამისად, შესრულების ანგარიშები ეყრდნობა სამინისტროების ინფორმაციას, რომელთა გადამოწმება, სამწუხაროდ, არ ხდება.

2.3 ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებები

ევროკომისიის 2006-2013 წლების საქართველოს ინდიკატორულ გეგმაში გარემოს დაცვა არ წარმოდგენს პრიორიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ ინდიკატორულ გეგმაში გარემოს დაცვა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტადაა აღიარებული.

ევროკავშირის მიერ განხორციელებული რეგიონული პროექტების მიმდინარეობის თვალსაჩინოება და ეფექტურობა საკმაოდ დაბალია სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის, სხვა დონორებთან არასათანადო კოორდინაციის გამო. მაგალითად, მტკვარი არაქსის აუზის მართვის სფეროში 2008 წელს დაიწყო ევროკავშირის პროექტის მეორე ფაზა. ამერიკული აკადემიური კვლევა, რომელიც რეგიონში წყლის მართვის სფეროში მიმდინარე პროექტებს სწავლობდა, ასკვნის: “ძირითადი რეგიონული პროექტები — მტკვარი-არაქსის აუზში ტრანსასაზღვრო წყლის რესურსების

მართვა — ხორციელდება როგორც ევროკავშირის ტასისი-ს მდინარეთა ერთობლივი მართვის პროექტის (TACIS JRMP), ასევე ნატოსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (the NATO-OSCE South Caucasus River Monitoring Project) და აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (South Caucasus Water Management Project) მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტები მიმართულია ერთი და იგივე საკითხების გადაჭრაზე, განმახორციელებელი ორგანიზაციები და სააგენტოები ან საერთოდ არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ან მათ შორის თანამშრომლობა ძალზე შეზღუდულია. ამასთან, თითქმის ყველა პროექტს აქვს მსგავსი მიზნები და საქმიანობები"[6].

აღსანიშნავია, რომ ზოგადად, ევროკომისიის დელეგაცია აქტიურადაა ჩართული და ხელს უწყობს ესპ-ს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ქართულ არასამთავრობო სექტორს და ევროკომისიის დელეგაციას აქვს კომუნიკაციისა და დიალოგის გამოცდილება, რომელიც თავად დელეგაციის წარმომადგენელთა მიერაა ინიცირებული, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დაწესებული სახელმძღვანელო პრინციპები და პასუხისმგებელი სტრუქტურა.

2.4 საზოგადოების შეზღუდული ინფორმირება და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

კვლევამ, სამწუხაროდ, აჩვენა, რომ 2007-2008 წლებში, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა. მაგალითისთვის, მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისას საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდულ ნორმებს, თუმცა, პრაქტიკულად ეს მოთხოვნები არ სრულდება კანონმდებლობის არასაკმარისი დეტალიზაციისა და ზოგადად, სახელმწიფო უწყებებში საზოგადოების მონაწილეობის შედეგად მიღებული სარგებლის გაუთვითცნობიერებლობის გამო.

[6] Vener, Berrin Basak and Michael E. Campana, 2008. *Conflict, Cooperation, and the New 'Great Game' in the Kura-Araks Basin of the South Caucasus. Proceedings,* Universities Council on Water Resources/National Institutes for Water Resources (UCOWR/NIWR), Annual Conference, Durham, NC, 2008

მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, კატასტროფულია იმ საქმიანობათა (პროექტების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ასეთ საქმიანობებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესაძლებლობებს საქართველოს კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს. ზოგიერთი საქმიანობა კი, საერთოდ გარემოსდაცვითი რეგულირების მიღმაა დარჩენილი (მაგალითად, წიაღისეულის მოპოვება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო და კვების, ხეტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავის და საფეიქრო წარმოება, ზოგიერთი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები).

3. დასკვნები და რეკომენდაციები

ამ თავში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ეფუძნება თითოეული მიზნის მისაღწევად გატარებული ქმედებების ანალიზს, რომელიც წარმოდგენილია კვლევის დანართში კითხვარების სახით.

მიზანი 1. ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლები განისაზღვრება ჯერ კიდევ 1996 წელს ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით[7] და ესპ-ს სამოქმედო გეგმით. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველ ვაჭრობის შეთანხმებასა და დაიწყება მოლაპარაკებები ასოციაციის ხელშეკრულებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ვინაიდან ევროინტეგრაცია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს, აუცილებელია განისაზღვროს ამ მიზნის მიღწევის სტრატეგია და შემუშავებულ იქნეს სამოქმედო გეგმა.

საქართველოში ჩამოყალიბებულია ესპ-ს

[7] შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის, ხელმოწერილია 1996 წლის 22 აპრილს, ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან.

შესრულების ინსტიტუციური ჩარჩო, თუმცა კვლავ არსებობს შესაბამის სამინისტროებსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის ქმედებათა კოორდინაციის და თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება.

აუცილებელია შემუშავდეს საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის განხორციელების დეტალური გეგმა, სადაც ნათლად იქნება აღწერილი განსახორციელებელი ღონისძიებები, შესრულების ვადები, დაფინანსების წყაროები, შესრულების მდგომარეობის ამსახველი ინდიკატორები და ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

აუცილებელია შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები და შემუშავდეს დაახლოების ახალი პროგრამა, განახლებული ვალდებულებებით და ისევ და ისევ, ვალდებულებების შესრულების დეტალური გეგმით.

მიზანი 2.
ევროკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეფასება

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ევროკავშირის მიერ განხორციელებული რეგიონული პროექტების მიმდინარეობის თვალსაჩინოება და ეფექტურობა საკმაოდ დაბალია, ამის ერთ-ერთ მიზეზად კი, სხვა დონორებთან არასათანადო კოორდინაცია დასახელდა. რაც შეეხება გარემოს დაცვას, ევროკომისიის 2006-2013 წლების საქართველოს ინდიკატორულ გეგმაში გარემოს დაცვა არ წარმოდგენს პრიორიტეტს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკომიის დელეგაციასა და საქართველოს არასამთავრობო სექტორს შორის ჩამოყალიბდა დიალოგის გარკვეული პრაქტიკა, აუცილებელია, ჩამოყალიბდეს საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული მექანიზმები, მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები და განისაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას დაგეგმვის (პროგრამირების) მთელი ციკლის განმავლობაში, მათ შორის, ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის და ეროვნული ინდიკატორული გეგმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესებში.

ევროკომისიის დელეგაციამ ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს შორის (ევროკავშირი, საქართველოს მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება) ე.წ. "ტრიალოგის" პროცესის ჩამოყალიბებას — ესპ-ს სამოქმედო გეგმის ცალკეულ სფეროებში ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული თემატური განხილვების მოწყობას.

ევროკომისიის დელეგაციამ უნდა ითამაშოს უფრო პროაქტიური როლი და ხაზი გაუსვას მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი საკითხების მნიშვნელობას საქართველოს მთავრობასთან პოლიტიკური დიალოგისას, როგორც ეს გაცხადებულია საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში. ევროკომისიის დელეგაციამ ასევე უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის ინიციატივების (როგორიცაა მაგალითად, კანონაღსრულება და ვაჭრობა სატყეო სექტორში, კლიმატის ცვლილება, წყლის ინიციატივა) მეტი თვალსაჩინოება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განხორციელებულ ქმედებებზე.

მიზანი 3.
საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ოქმების რატიფიცირება

2007-2008 წლების განმავლობაში მხოლოდ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულების — კარტახენის ოქმის - რატიფიცირება მოახდინა საქართველოს პარლამენტმა (2008 წლის 25 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ ოქმის რატიფიცირება იყო ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ საქართველოს მიეღო პრივილეგირებული სახელმწიფოს სტატუსი, მათ შორის, ევროკავშირის პრეფერენციების სისტემით და ესარგებლა GSP+-ით[8]. ამასთან, გასა-

[8] The EU's GSP grants products imported from GSP beneficiary countries either duty-free access or a tariff reduction, depending on which of the GSP arrangements a country enjoys. In addition, country can receive the special incentive arrangement for sustainable development and good governance (the "GSP+") which provides additional benefits for countries implementing certain international standards in human and labour rights, environmental protection, and good governance. Georgia enjoys that status of GSP+ since January 2006 till the end of 2008. The duty free access covers around 7200 products, including products mostly in the agriculture and fishery sectors

თვალისწინებელია, რომ ჯერჯერობით არ მომზადებულა ეროვნული კანონმდებლობა, რომელშიც მოხდება ოქმის გათვალისწინებული ვალდებულებების ასახვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები გაერო-ს ეკონომიკური კომისიის კონვენციების რატიფიკაციისა და მათი შემდგომი შესრულების თვალსაზრისით.

მიზანი 4.
გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების შემუშავება

2007-2008 წლებში შემუშავებულ იქნა ან შემუშავების პროცესში იყო რამოდენიმე გარემოსდაცვითი გეგმა და პროგრამა (მათ შორის, გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, დაცული ტერიტორიების სისტემის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ეროვნულ მოქმედებათა გეგმა, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის (სზიმ) სტრატეგია, სახელმწიფო სატყეო პოლიტიკა), თუმცა მათი ადგილი ქვეყნის განვითარების დაგეგმვის საერთო სისტემაში გაუგებარი რჩება. ნაწილობრივ ამის გამო, არ ხდება შემუშავებული გეგმებისა და პროგრამების ფორმალური მიღება/დამტკიცება; ამითვე შეიძლება აიხსნას გეგმებისა და პროგრამების მიმართ საკუთრების შეგრძნების ნაკლებობაც იმ სახელმწიფო უწყებებში, რომელთა სახელმძღვანელოდაც მზადდება ესა თუ ის გეგმა ან პროგრამა. სახელმწიფო უწყებებში საკუთრების შეგრძნების არქონა, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების ინტერესის ნაკლებობას შემუშავების პროცესში მყოფი დოკუმენტისადმი, რასაც შედეგად მივყავართ იქამდე, რომ საზოგადოება არ იყენებს თუნდაც შეზღუდულ, მაგრამ მაინც არსებულ მონაწილეობის შესაძლებლობას.

დღეს გამჭვირვალობა და მონაწილეობა, ისიც გარკვეული ხარისხით, უზრუნველყოფილია მხოლოდ დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდამჭერით განხორციელებულ დახმარების პროგრამებში, ვინაიდან, როგორ წესი, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მოთხოვნები სწორედ ამ პროგრამებითაა განსაზღვრული. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვაც კი, არ ქმნის იმის გარანტიას, რომ პროცესი გამჭვირვალედ და მონაწილეობით წარიმართება.

აუცილებელია, შემუშავდეს გეგმებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და მათთან კონსულტაციის ჩატარების დეტალური პროცედურები.

ასევე აუცილებელია, შეიქმნას დაგეგმვის საერთო სისტემა, რომელიც განსაზღვრავს გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების ადგილს ქვეყნის განვითარების დაგეგმვის საერთო სისტემაში.

მიზანი 5.
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (წყლის სექტორი)

წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში, ჯერჯერობით, პრაქტიკულად არ განხორციელებულა ცვლილებები ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ინტეგრირების მიზნით.

ბოლო წლების განმავლობაში მთავრობა გეგმავს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების დანერგვას. ამ მიზნით მომზადდა ორი კონცეფცია წყლის პოლიტიკის შესახებ, რომელთაგან ერთი შეიმუშავა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID-ის) წყლის პროგრამის დახმარებით, მეორე კი — რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა. ორივე კონცეფცია სხვადასხვაგვარად განმარტავს მდინარეთა სააუზო მართვას. ამასთან, არცერთის საზოგადოებრივი განხილვა არ მომხდარა.

გარდა ამისა, სამინისტრო ამზადებს ახალ წყლის კანონს, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია მდინარეთა სააუზო მართვის საკითხები; ამ კანონპროექტშიც მდინარეთა სააუზო მართვის ცნება ხსენებული ორი დოკუმენტისგან განსხვავებულადაა გაგებული[9]. კანონპროექტში ასევე არ არის

[9] ცნობილია, რომ წყლის შესახებ ახალი კანონპროექტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2 წლის წინ შემუშავდა და რომ მან იმავე

მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუციური მოწყობის საკითხები. მაგალითად, გაუგებარია, სად იმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილებები წყლის რესურსების მართვის საკითხებში. წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები და წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების ნორმები არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირის კანომდებლობასთან. არ არის უზრუნველყოფილი მონიტორინგის დროში გაწერილი პროგრამა, ისეთი სახით, როგორც ევროკავშირის წყლის შესახებ დირექტივაშია მოცემული. აქვე, ყურადსაღებია, რომ დღემდე არ განხორციელებულა აუზების და სააუზო რაიონების იდენტიფიცირება და ოფიციალური დადგენა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სრულიად ახალი ჩარჩო კანონის შემუშავება, რომელიც მიახლოებული იქნებოდა ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან და მასზე დაყრდნობით კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება.

მიზანი 5.
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (ნარჩენების სექტორი)

ნარჩენები, გარემოს დაცვის სფეროში ის ერთ-ერთი სექტორია, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ძალზე შეზღუდულად და შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ფაქტიურად, არასდროს რეგულირდებოდა. პრაქტიკულად, არ არის უზრუნველყოფილი ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების მონიტორინგიც. მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობა ნარჩენების შესახებ ძალზე მწირი და ფრაგმენტულია, გაუგებარი მიზეზების გამო, არაერთი დონორული დახმარების მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა ნარჩენების შესახებ ჩარჩო კანონის მიღება, რომელიც მოახდენდა ნარჩენების კლასიფიკაციას, განსაზღვრავდა ნარჩენების მართვის პრინციპებს, ინსტრუმენტებსა და პასუხისმგებელ ორგანოებს.

ნარჩენების მართვის სფეროს განვითარებისათვის, გადაუდებლად აუცილებელია ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება.

მიზანი 6.
ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება

საქართველოში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა შესაბამისი გარემოსდაცვითი ინსიტიტუციები, თუმცა დღეს მათ არ გააჩნიათ არც პოლიტიკური ნება და არც ძალაუფლება, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვით მოსაზრებებს ეკონომიკური მოსაზრებების თანაბარი თუ არა, დღევანდელზე უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. ბოლო წლები შესაძლებელია მოკლედ ასე აღიწეროს: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელი პირების ხშირი ცვლილება; დაუსრულებელი სტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც წინ არ უძღვის მანამდე ჩატარებული ცვლილებების ეფექტურობის შესწავლა; ყოველი სტრუქტურული ცვლილების შემდეგ ძველი პერსონალის დათხოვნა და ახალი თანამშრომლებით დაკომპლექტება, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და სახელმწიფო უწყებებში მუშაობის გამოცდილება; წინა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ვალდებულების და საკუთრების შეგრძნების არქონა, დაწყებული მინისტრის დონიდან და დამთავრებული რიგითი თანამშრომლებით, რომლებსაც ყველაფერთან ერთად, არ გააჩნიათ თავისი საქმიანობის გაუმჯობესების არანაირი მოტივაცია.

რაც შეეხება სტრატეგიულ დაგეგმვაში საზოგადოების მონაწილეობას, ეს, როგორც წესი, არ ხორციელდება ან ატარებს მხოლოდ ინფორმირების ხასიათს. იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საზოგადოება ჩართული იყო სტრატეგიის/პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, კონსულტაციები შედგა მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ზეწოლის შედეგად. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში

დასახელების არსებული კანონი უნდა ჩაანაცვლოს. ეს კანონპროექტი ჯერ ოფიციალურად არ გავრცელებულა განსახილველად. ამდენად, მასთან დაკავშირებული კომენტარები ეყრდნობა 2007 წლის მარტში მოპოვებულ არაოფიციალურ ვერსიას.

საზოგადოების მონაწილეობა სპორადული და არათანმიმდევრულია; საზოგადოებას არ გააჩნია შესაძლებლობა თავისი წვილილი შეიტანოს და ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, არც სტრატეგიულ და არც უფრო დაბალ დონეებზე.

აუცილებელია, რომ სახელმწიფოს მიერ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება არ დარჩეს დეკლარაციად და ის პრაქტიკულ ნაბიჯებში აისახოს. გარემოს დაცვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და მიღება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ამ მიმართულებით, მაგრამ ამასთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების გაძლიერებაც იმგვარად, რომ მათ შეძლონ გარემოსდაცვითი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა ქვეყნის განვითარების მიმართულებებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

მიზანი 7.
სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, დასაბუთების გარეშე, მუდმივად ამტკიცებს, რომ ამჟამად არსებული გზშ კანონმდებლობა შეესაბამება ორჰუსის კონვენციისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებს. ამავე დროს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და პრაქტიკა ცხადყოფს აბსოლუტურად საპირისპიროს. ყველაზე ხშირად დავა მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებზე. ამჟამინდელი მოწყობით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონი ინვესტორს/მეწარმეს აკისრებს ინფორმირებისა და მონაწილეობის ვალდებულებას იმ ეტაპზე, როდესაც გზშ ანგარიში ჯერ კიდევ მზადების პროცესშია (სამინისტროსთვის განცხადებით მიმართვამდე), ანუ გადაწყვეტილების მიღების ოფიციალური პროცედურის დაწყებამდე. სამინისტრო ასევე არ არის ვალდებული შეატყობინოს საზოგადოებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. როგორც ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია აღნიშნავს თავის 2006 წლის სარეკომენდაციო ანგარიშში[10], კომისიისთვის უცნობია რომელიმე ქვეყნის მაგალითი, სადაც ინვესტორი ვალდებულია მოაწყოს საჯარო განხილვა, გაითვალისწინოს საზოგადოების შენიშვნები და შეატყობინოს საზოგადოებას თავისი შენიშვნების გათვალისწინება/გაუთვალისწინებლობის შესახებ. კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს, როგორც წესი, სახელმწიფო უწყებების ვალდებულებებია.

სასურველია, ჩატარდეს საქართველოში ამჟამად არსებული გზშ კანონმდებლობისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი შეფასება და მის საფუძველზე მომზადდეს რეკომენდაციები კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად.

მიზანი 8.
ნებართვის გამცემი და მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუმჯობესება

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის ეგიდით 2005 წლის 24 ივნისს მიღებულმა "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" მოახდინა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სისტემის უნიფიცირება და გამარტივება. ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსი და ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამგვარი კანონის მიღებას დადებითად აფასებენ, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ამოქმედებიდან დღემდე არავის შეუსწავლია კომპლექსურად ამ კანონით შემოღებული რეგულირების მექანიზმების ეფექტურობა. თუმცა, ერთი რამ ნათელია - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროს, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ამ კანონით განსაზღვრული საერთო წესების ქვეშ მოქცევამ, ძალზე სავალალო შედეგები გამოიღო. კანონი გამორიცხავს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ყველანაირ შესაძლებლობას იმ საქმიანობებზე ლიცენზიის ან ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, ბევრი საქმიანობა, რომელიც კანონისა და

[10] ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.commissiemer.nl/ncea/pdfs/adv_scrt/2006-04.pdf

მისი თანმყოლი კანონქვემდებარე აქტების მიღებამდე რეგულირდებოდა ლიცენზიებისა და ნებართვების საშუალებით, კანონის მიღების შემდეგ აღარ რეგულირდება; ამგვარი ცვლილების დასაბუთება კი არასდროს ყოფილა წარმოდგენილი. ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სისტემის "წარმატებული" რეფორმირების ნათელ მაგალითად გამოდგება თუნდაც ის, რომ 2007 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით, წყალაღება წყლის ობიექტებიდან აღარ ექვემდებარება რეგულირებას.

მდგომარეობა გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემ სტრუქტურაში, განსაკუთრებით, რესურსებით (ადამიანური, ფინანსური) უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არ გაუმჯობესებულა და შეიძლება ითქვას, გაუარესდა კიდეც. იგივეს ვერ ვიტყვით მაკონტროლებელ სტრუქტურაზე (გარემოს დაცვის ინსპექცია), სადაც შეიმჩნევა წინსვლა, თუმცა აქაც რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი ასევე პრობლემურია.

რა თქმა უნდა, სასურველია, გაგრძელდეს ნებართვების გაცემასა და კანონაღსრულებაში ჩართულ სახელმწიფო მოხელეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, მაგრამ ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად სასარგებლოა მათი ტრეინინგი ისეთ პირობებში, როდესაც მათ გააჩნიათ შეზღუდული რესურსები და უფლებამოსილებები. მნიშვნელოვანია ასევე, რომ შეიცვალოს კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ამჟამად არსებული მიდგომები; მიდგომა უნდა იყოს უფრო სტრუქტურირებული, ემყარებოდეს რეალურ საჭიროებებს და საქმიანობის გაუმჯობესების მოტივაციაზე ნათელ წარმოდგენას.

ამ სფეროში, გადაუდებლად აუცილებელია "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის ეფექტურობის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების მომზადება.

მიზანი 9.
საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის გაუმჯობესება

ორჰუსის კონვენციის სამი კომპონენტიდან, საქართველოში მეტნაკლებად კარგად უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომპონენტი. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და განსაზღვრავს მისი მოთხოვნის წესებს, თუმცა, პრაქტიკაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები. კერძოდ: ხშირად ინფორმაცია გაიცემა დაგვიანებით; არ არსებობს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სპეციალური პერსონალი; არ არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხი; ცალკეულ შემთხვევებში, იქმნება პრობლემები პერსონალური ინფორმაციის დაცვის და ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხებთან დაკავშირებით; არ არსებობს საიდუმლო ინფორმაციის დამუშავების და გასაიდუმლოებული ნაწილის გამოცალკევების პრაქტიკა. ასევე, არ არის განსაზღვრული, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა ფლობდეს ესა თუ ის საჯარო დაწესებულება.

პრაქტიკულად, არ არის უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პროცედურები. საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის არსებული მექანიზმის მიხედვით, საზოგადოებასთან კონსულტაციებს აწარმოებს არა თავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, არამედ, საქმიანობის განმახორციელებელი. ეს ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების რეალურ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ხორციელდება. ასევე, არ ხდება საზოგადოების ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

პრობლემურია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხები. ქვეყანაში არ არსებობს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა, რაც პრობლემურს ხდის საზოგადოების წარმომადგენლების და არასამთავრობო ორგანიზაციების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში. გარემოსდაცვით სფეროში სას-

ამართლო შემთხვევები იშვიათია.

ამ საკითხის აქტუალობა, რა თქმა უნდა, სცდება გარემოს დაცვის სფეროს და მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყანაში დემოკრატიის და ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის ხარისხთან. ფარგლების შეზღუდვის შემთხვევაში კი, აუცილებელ გასატარებელ ღონისძიებად უნდა იქნეს განხილული საქართველოს კანონმდებლობის ორჰუსის კონვენციასთან და ევროკავშირის რელევანტურ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მიზანი 10.
გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება

დღემდე მომზადებულ (2001-2005 წ.წ.) გარემოს მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ეროვნულ მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი ძალზე დაბალია; ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია და ანალიზი ძალზე შეზღუდული. არსებული სიტუაციის გამოსწორება, რა თქმა უნდა, დიდწილადაა დამოკიდებული გარემოს მდგომარეობის ხარისხის მონიტორინგისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ვინაიდან ეს ხანგრძლივი პროცესია, სავარაუდოა, რომ მოხსენების სამ წელიწადში ერთხელ მომზადების შემთხვევაშიც კი, ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებული მდგომარეობა მკვეთრად ვერ გაუმჯობესდება.

მოკლევადიან პერსპექტივაში სიტუაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად შესაძლებელია განხილულ იქნეს თავად მოხსენების შედგენის პრაქტიკის გაუმჯობესება. ამაში, სტრუქტურისა და ანალიზის ხარისხის გაუმჯობესებასთან და მოხსენებების მომზადებისას საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარებასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოხსენებებში გარემოს ხარისხთან დაკავშირებული ვითარების პირუთვნელად წარმოჩენა იმ საინფორმაციო ნაკლოვანებებზე ხაზგასმით, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მკითხველს ნათელი წარმოდგენა უნდა შეუქმნას მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფილებისა და სანდოობის ხარისხზე.

სასურველია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის სტრუქტურებს) გაეწიოს მეთოდური დახმარება მოხსენების შედგენაში, მათ შორის, საერთაშორისო გამოცდილების (კარგი პრაქტიკის) გაზიარების გზით. ამასთან, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსგავსი პრობლემატიკის გამოვლენის შემთხვევაში, კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა და/ან "ორჰუსის ცენტრებმა" სამივე ქვეყანაში, შესაძლოა, სასარგებლო როლი ითამაშონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებების შედგენის პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

მიზანი 11.
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება

ზოგადად, სახელმწიფოს დახმარება სამოქალაქო საზოგადოებისადმი სუსტია, არ არსებობს დაფინანსების და/ან დახმარების სპეციფიური მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. კომუნიკაცია სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას შორის საკმაოდ სუსტია. სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრაქტიკულად არ არის უზრუნველყოფილი.

უმრავლეს შემთხვევაში, დებატების/დისკუსიების ინიცირება ხდება სამოქალაქო საზოგადოების მიერ. მათივე ინიციატივით ხდება ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების ზრდა დაგეგმვის, ასევე საბიუჯეტო პროცესებსა და/ან განვითარების პოლიტიკის შესახებ დებატებში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო ჯგუფების ერთობლივი მუშაობით, მომზადდა ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი მოქმედებათა გეგმა. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს ამჟამად ქალაქ ფოთშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ასეთი ინიციატივები არც თუ ხშირია.

სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდისათვის, აუცილებელია ადექვატური სამართლებრივი პროცედურების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. პარალელურად, აუცილებელია საზოგადოების ცალკეულ ჯგუფთა შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ხელისუფლების ორგანოებთან თანაბარ საწყისებზე დიალოგში მონაწილეობა. ამისათვის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ამაღლებისაკენ მიმართული პროგრამები უნდა იყოს უფრო კოორდინირებული და შედეგზე ორიენტირებული.

მიზანი 12.
თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან

საქართველო დგამს გარკვეულ ნაბიჯებს საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, განსაკუთრებით რეგიონულ კონტექსტში. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა შავი ზღვის კონვენციისა და მისი ოქმების შესრულების მიზნით. სამინისტროს ხელმძღვანელობის ხშირი ცვლით გამოწვეული წმინდა ტექნიკური პრობლემების გამო, საქართველო დღემდე არ არის შეერთებული ბუქარესტის კონვენციის ოქმს "შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების კონსერვაციის შესახებ" და შავი ზღვის 2008-2011 წ.წ. სტრატეგიულ მოქმედებათა გეგმას.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული თანამშრომლობა ძირითადად მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში; ეს ეხება როგორც დოკუმენტების შემუშავებას, ინფორმაციის გაცვლას, შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე, ასევე პრაქტიკულ შედეგებს, როგორიცაა ლაბორატორიების აღჭურვა და მონიტორინგის ქსელის აღდგენა/განახლება. ხშირ შემთხვევაში, პროექტების ფარგლებში მიღებული დოკუმენტები რჩება რეკომენდაციების სახით და არ მიმდინარეობს მათი განხილვა-დამტკიცება სამთავრობო დონეზე.

მართალია, საქართველო უამრავი საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულების თუ ინიციატივის მონაწილეა, მაგრამ მათი შესრულების მდგომარეობა დაბალია, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ თავად გარემოს დაცვა სამწუხაროდ არ წარმოადგენს ქვეყნის პრიორიტეტს. ამდენად, ამ სფეროში სიტუაციის გამოსწორებისათვის აუცილებელია დონორმა ორგანიზაციებმა და ევროკავშირმა უფრო მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებას და მოსთხოვონ მთავრობას აღებულ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

მიზანი 13.
გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაცია სხვა სექტორებში

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობას და კონკრეტული ნაბიჯების განხორციელების საჭიროებას გარემოს დაცვის სხვა სექტორებში ინტეგრაციისათვის. მიუხედავად ამისა, 2007-2008 წლებში გარემოსდაცვით კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და ზოგადად, საქართველოს მთავრობის საქმიანობა არათუ თანხვდება ზემოთ აღნიშნულ პრიორიტეტს, პირიქით, სულ უფრო შორდება მას. მაგალითისთვის, 2004-2006 წლებში გაუქმდა სხვადასხვა ტიპის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის მარეგულირებელი კანონების დაახლოებით 85 პროცენტი, მათ შორის, გარემოს დაცვის, სურსათის, მრეწველობისა და ავტომანქანების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ამას მოჰყვა მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუქმება და შედეგად, დაურეგულირებელი დარჩა მთელი რიგი ისეთი სექტორები, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნიათ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. 2007-2008 წ.წ.-ში არ გადადგმულა არცერთი ნაბიჯი ამ სიტუაციის გამოსასწორებლად.

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს ხელახლა ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების კომისია (შეიცვალა კომისიის შემადგენლობა), რომელსაც თავჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, სამწუხაროდ, საქმე კომისიის შემადგენლობის განახლებას არ გასცდა არც 2007-2008 წლების განმავლობაში. 2007-2008 წლების განმავლობაში არ შემდგარა კომისიის არცერთი სხდომა და არ გადადგმულა არცერთი ნაბიჯი მდგრადი განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად.

მდგრადი განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის მთავრობამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს სტრატეგიის შემუშავებისა და მიღების დეტალური პროცედურა, განსაზღვროს პასუხისმგებელი ორგანოები და პროცესი უზრუნველყოს ფინანსურად.

მიზანი 14.
კიოტოს ოქმის" და "კლიმატის ცვლილების შესახებ" გაერო-ს კონვენციის დებულებების განხორციელება, მათ შორის, სუფთა განვითარების მექანიზმის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის გზით

გაერო-ს "კლიმატის ცვლილების შესახებ" კონვენციის შესრულების მდგომარეობა, სხვა გარემოსდაცვითი კონვენციების შესრულების მდგომარეობასთან შედარებით, უკეთესია, რაც შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებებით: (1) კონვენციის სირთულით, რაც მოითხოვს შესაბამის სტრუქტურაში გამოცდილი და სპეციფიური ცოდნის მქონე პერსონალის არსებობას; (2) კონვენციის სამდივნოს აქტიური მუშაობითა და მკაცრი ანგარიშგების სისტემით, რომელიც ექვემდებარება კონვენციის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს; (3) ქმედებათა განხორციელებისათვის აუცილებელი უწყვეტი ფინანსურ ნაკადებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორიცაა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF) და გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP); (4) კონვენცია და მის შესრულებასთან დაკავშირებული მექანიზმები (მაგალითად, განახლებადი ენერგეტიკა, სუფთა განვითარების მექანიზმი) განიხილება უფრო მომგებიან საქმიანობად და ნაკლებად, გარემოს დაცვად. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად დაინტერესებისა, კონვენციის ჩარჩოს ქვეშ განხორციელებადი პროექტები, მაინც აწყდებიან გარკვეულ ბარიერებს სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს კლიმატის ცვლილებების საკითხებთან დაკავშირებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის შესაძლებლობების ზრდა, დაამტკიცოს გეგემები და პროგრამები, რომლებიც მომზადდა მეორე ეროვნული შეტყობინების ეგიდით და უზრუნველყოს იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც აუცილებელია ემისიების შემცირებისა და ადაპტაციისათვის, მათ შორის, ფინანსური წყაროების გამოყოფისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გზით.

მიზანი 15.
ენერგეტიკის და ტრანსპორტის პოლიტიკის მდგრადობის ზრდა

სამწუხაროდ, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორის მდგრადობის ამაღლების მიზნით სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

არ გადაგმულა ქმედითი ნაბიჯები მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ტრანსპორტის სექტორის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მასშტაბი ქვეყანაში პრაქტიკულად შეუსწავლელია. გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული სარკინიგზო ქსელისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მაგრამ ძირითადად საერთაშორისო პროექტების ფარგლებში.

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა მოითხოვს, კარგად გათვლილი და გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, რომელიც თანდათანობით დაუახლოვდება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის მიზნებს, ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოების ჩათვლით. საქართველოში, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ნაბიჯები არ გადადგმულა. საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობა მიზნად არ ისახავს თავისუფალი და კონკურენტული ელექტრო- და გაზმომარაგების ბაზრების შექმნას, მომხმარებელთა დაცვას და სახელმწიფოებრივი და გლობალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ელექტრომომარაგების სქემა არასწორადაა განაწილებული და მას მონოპოლისტი სადისტრიბუციო სტრუქტურები მართავენ.

სამოქმედო გეგმა ხაზგასმით მოითხოვს, კანონმდებლობის მიღებას ენერგოეფექტურობის და ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ. მიუხედავად ამისა, 2008 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად შეაჩერა ენერგეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის შესახებ კანონის

მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მუშაობა, ხოლო სამშენებლო კოდექსის პროექტის შემუშავებისას მთავრობამ სრულიად უგულვებელყო ენერგეტიკის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სათანადო დამატებები, რომლებიც ენერგეფექტურობას უზრუნველყოფდა.

ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის განვითარების ნაცვლად, საქართველოს მთავრობა უპირატესობას ანიჭებს ელექტროგენერაციის ტრადიციული სქემების განვითარებას. 2005 წელს მთავრობამ დაიწყო სამუშაოები ცხრა დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის, კერძოდ, ნამახვანჰესების კასკადის (700 მეგავატის), ხუდონჰესის (638 მეგავატის), ონის კასკადის (272 მეგავატის) და კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგურის (სულ 1 747 მეგავატის გენერაციით)[11]. ხუდონის (მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით) და ნამახვანის პროექტების წინასწარი შესწავლა დამთავრებულია და ამ ეტაპზე მთავრობა ცდილობს, მოიძიოს 1.5 მილიარდი ევრო დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისთვის.

ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების შესახებ ჩარჩო კანონის, სტრატეგიისა და გეგმების არარსებობა უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობაზე, განავითარონ ამ სფეროში პროექტები. "გაზისა და ელექტროენერგიის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები არ არის საკმარისი განახლებადი ენერგეტიკის განვითარებისათვის. უცილებელია, ევროკავშირში არსებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში, მოხდეს განახლებადი ენერგიების ჩარჩო კანონის, ინდიკატორული მიზნების (MW ან %) დადგენა, ქმედებების დასახვა მიზნის მისაღწევად, თანხების (შეღავათიანი კრედიტების და/ან გრანტების) გამოყოფა.

[11] ჰიდროგენერაციის პროექტების დეტალებისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
http://www.georgiahydroinvest.com/proj_intro.html

მიზანი 1

ევროკავშირთან თანამშრომლობის განმტკიცება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:
ეს მიზანი არ არის დაკავშირებული სამოქმედო გეგმის კონკრეტულ მოთხოვნებთან. აქ წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა ქვეყნის ვალდებულებაზე, განავითაროს თანამშრომლობა ევროკავშირთან, განახორციელოს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შეთანხმება და სამოქმედო გეგმა.

შეფასება

კითხვა	დიახ: საუკეთესო	დიახ: ადეკვატური	დიახ: ცუდი	არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	
პოლიტიკა					
არის, თუ არა მიღებული ევროკავშირთან თანამშრომლობის/ ინტეგრაციის პოლიტიკა?	X				საქართველოს ხელმოწერილი აქვს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეკრულება, ასევე ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით. ევროკავშირთან ინტეგრაცია ხაზგასმულია, რომ წარმოადგენს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს. ეს აღიარებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 28 მარტის №2026 დადგენილებით, რომლითაც პარლამენტი ავალებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, დაიწყოს მოლაპარაკებები. ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საჭიროება ხაზგასმულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, ყოველწლიურ სამთავრობო პროგრამებსა და ასევე, საგარეო პოლიტიკის 2006-2009 წლის დოკუმენტში.
მიღებულია, თუ არა სტრატეგიული პოლიტიკური ინსტრუმენტი სამოქმედო გეგმის შესასრულებლად? **თუ მიღებულია, აქვს, თუ არა მას იურიდიული სტატუსი?**			X		2007 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის სხდომაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ესწრებოდა განხილული იყო სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელების გეგმა-მატრიცა (Action Plan Implementation Plan, APIP). სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა საქართველოს მთავრობის წევრებს, ყურადღებით გაცნობოდნენ აღნიშნულ დოკუმენტს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სასურველია დოკუმენტის დროულად მიღება, მაგრამ არ არის აუცილებელი ნაჩქარევად დამტკიცება, ვინაიდან ის წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთიან ვალდებულებას ევროკავშირის წინაშე. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ყოველი ვალდებულება, კარგად უნდა იყოს გააზრებული და შეესაბამებოდეს ქვეყნის სტრატეგიულ ამოცანებს. პრეზიდენტის თანახმად, მრავალი წლის განმავლობაში აღნიშნული დოკუმენტი იქნება საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამა, რომლის განხორციელებაში მონაწილეობის საშუალება ყველას ექნება. გამოითქვა სხვა კომენტარებიც იმის შესახებ, რომ გეგმა ძალიან დეტალურია და საქართველოს მთავრობა ვერ შეძლებს მის შესრულებას; ზედმეტი ნორმატიული დოკუმენტები, რომელთა მიღებაც გათვალისწინებულია გეგმით, ხელს შეუშლის საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ მთავრობა მოიწონებს განხორციელების წლიურ სტრატეგიულ გეგმას.
ითვალისწინებენ, თუ არა იურიდიული პროგრამული დოკუმენტები სამოქმედო გეგმისათვის აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მიღებას? თუ ითვალისწინებენ, დადგენილია, თუ არა ნათლად ვადები?				X	გეგმა-მატრიცაში (იხ. ზემოთ) განსაზღვრული იყო შესაბამისი იურიდიული დოკუმენტების მიღება და აგრეთვე დადგენილი იყო ვადები. სამოქმედო გეგმის განხორციელების წლიური სტრატეგიული გეგმა უფრო ზოგადია და არ მოიცავს მკაფიო ვადებს, დეტალურ განსახორციელებელ ქმედებებს.

ითვალისწინებენ, თუ არა შესაბამისი სამინისტროების სამოქმედო გეგმები კონკრეტულ ნაბიჯებს სამოქმედო გეგმის შესასრულებლად? თუ ითვალისწინებენ, დადგენილია, თუ არა ნათლად ვადები?			X		გეგმა-მატრიცა მომამზადა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სამინისტროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამინისტროების გეგმები თანხვდება 2006-2009 წლების საშუალოვადიან გეგმაში წარმოდგენილ პრიორიტეტებს. გარკვეულ შემთხვევებში, მატრიცა იყო პროგრესული, რადგანაც მიჰყვებოდა სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს და მიზნებს. გეგმა-მატრიცადან გარკვეული ვალდებულებები შემდგომ გადატანილ იქნა წლიურ სტრატეგიულ გეგმაში, თუმცა შესრულების თარიღებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ხსენების გარეშე.
შესრულდა, თუ არა სინამდვილეში მიღებული დოკუმენტები?			X		გარკვეული ქმედებები განხორციელდა, თუმცა, იმის გამო, რომ წლიური გეგმები ძალზე ზოგადად განსაზღვრავენ მიზნებს და განსახორციელებელ ქმედებებს, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი განიხილება როგორც ვალდებულების შესრულება.
გამოყოფილია, თუ არა ფინანსური რესურსები და ეფექტურადაა, თუ არა გადანაწილებული?			X		ზოგადად, პროგრამის შესასრულებლად თანხები არ არის გამოყოფილი, ასევე არ არის ნათელი, თუ როგორ ხდება ბიუჯეტიდან ამ პრიორიტეტების დაფინანსება. ყურადსაღებია, რომ გეგმა-მატრიცა, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, საბოლოოდ არ იქნა მიღებული, განსაზღვრავდა სამოქმედო გეგმის შესასრულებლად საჭირო ფინანსურ რესურსებს და მათ წყაროებს.
არსებობს, თუ არა მონიტორინგის მექანიზმები და გამოიყენება, თუ არა მისი შედეგები შემდგომი ქმედებების დაგეგმვისა და შესრულებისთვის?			X		მონიტორინგი ხორციელდება ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, სამინისტროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. მონიტორინგის ანგარიში წელიწადში ორჯერ წარედგინება ევროკომისიას. აღსანიშნავია, რომ არ ხდება არც მთავრობის და არც ევროკომისიის მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა, სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა და შემდგომში მისი გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.
ინსტიტუციური ასპექტები					
არსებობს, თუ არა საგარეო საქმეთა სამინისტროში ინტეგრაციის/ თანამშრომლობის დეპარტამენტი?	X				საქართველოში შექმნილია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეებია ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედის ყველა მინისტრი და შექმნილია უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც შედგება ყველა სამინისტროს წარმომადგენლისგან. ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციაში შედის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინარება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებობს ევროინტეგრაციის დეპარტამენტი და ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი.
გადიან, თუ არა მთავრობის წარმომადგენლები ტრენინგებს ევროპასთან თანამშრომლობასა და ინტეგრაციის საკითხებში?		X			ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აგრეთვე ზოგიერთი სამინისტროს წარმომადგენლებს უტარდებათ ტრენინგები სამეზობლო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ტრენინგების ორგანიზატორები არიან სხვადასხვა ევროპული სტრუქტურები და წევრი სახელმწიფოების მთავრობები.

აძლევს, თუ არა მთავრობა ინ-ფორმაციას საზოგადოებას ევროკავშირთან თანამშრომ-ლობის პოლიტიკასა და ქმედე-ბებზე?			X		არსებობს ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხ-ებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდი, რომელზეც წარმოდგენილია ინფორმაცია აპარატის მიერ გაწეულ სამუშაობზე; წელიწადში ორჯერ მთავრობა აწყობს მაღალი დონის შეხვედრას ესპ-ს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის თაობაზე; შეხვედრა გარკვეულწილად ღიაა არასამთავრობო ორგანიზაციე-ბისთვის.
ახორციელებს, თუ არა მთავრო-ბა რეგულარულ და ოფიციალ-ურ სამოქმედო გეგმის შეს-რულების მონიტორინგს?			X		წელიწადში ორჯერ მთავრობა ევროკომისიას წარუდ-გენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, თუმცა, კონკრეტული ვადებისა და ინდიკატორების არარსებობის პირობებში, ეს ანგარიშები არაეფექტურია; ხშირად, სამი-ნისტროების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესრულე-ბული ღონისძიებების შესახებ არ შეესაბამება სინამდვი-ლეს. ე.წ. პროგრესის ანგარიში, რომელსაც წელიწადში ერთხელ ამზადებს ევროკომისია, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ყველაზე სრულყოფილი ანგარიშია.
თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში					
არის, თუ არა პოლიტიკის ინს-ტრუმენტი მიღებული სამოქმე-დო გეგმის შესრულებისთვის? აღწერს თუ არა სპეციფიურ ქმე-დებებს და ვადებს გარემოსდა-ცვითი მიზნების მისაღწევად?			X		ზემოხსენებულ 2007-2010 გეგმა-მატრიცაში (რომელიც არ იქნა დამტკიცებული) გათვალისწინებული იყო გარკვეუ-ლი სპეციფიური ქმედებები და ვადები გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.
უზრუნველყოფილია, თუ არა იურიდიული დაგეგმვის ინ-სტრუმენტები, რათა მოხდეს სამოქმედო გეგმის გარემოს-დაცვითი მიზნების მისაღწ-ევად საჭირო კანონმდებლობის მიღება?				X	სამოქმედო გეგმა მოითხოვდა ზოგიერთ სფეროში იურიდ-იული დოკუმენტების შემუშავებას, რადგანაც გარკვეული მიზნების მიღწევა სხვა მხრივ წარმოუდგენელია. მიუხ-ედავად ამისა, დღეისათვის არ არსებობს არანაირი დროში გაწერილი სამუშაო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის საჭირო საკანონ-მდებლო ინიციატივების გატარებასა და მათ დამტკიცე-ბას.
ითვალისწინებს, თუ არა გარე-მოს დაცვის სამინისტროს სამუშაო გეგმა კანონმდებლო-ბის მიღებას, რომელიც აუცი-ლებელია სამოქმედო გეგმის გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად?			X		გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინ-ისტროს წლიური გეგმა, ასევე 2006-2009 და 2008-2011 წლების ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუ-მენტი ითვალისწინებს გარკვეულ პრიორიტეტულ ქმედე-ბებს სამოქმედო გეგმიდან, მაგალითად, წყლის სააუზო მართვის დანერგვა, ნარჩენების მართვა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს კანონმდებლობის შემუშავე-ბას, თუმცა არცერთი დოკუმენტი თუნდაც აქ აღნიშნულ სფეროებში, არ ყოფილა მიღებული.
შესრულდა, თუ არა მიღებული დოკუმენტები?				X	
არსებობს, თუ არა ფინანსური რესურსები გარემოსდაცვითი ნაწილის შესრულებისთვის?			X		სამოქმედო გეგმის გარემოსდაცვითი ნაწილის შესას-რულებლად ძირითადად გამოიყენება დონორული დახ-მარება.

არსებობს, თუ არა მონიტორინგის მექანიზმები და გამოიყენება, თუ არა გარემოსდაცვითი საკითხების შემდგომი გადაწყვეტისათვის?			X		გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აწვდის გარკვეულ ინფორმაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, თუმცა, ინფორმაცია, ხშირად, არასწორია. ევროკომისიის მიერ მომზადებულ შესრულების მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებში (ე.წ. "პროგრესის ანაგარიშებში") აისახება გარემოს დაცვის სფეროში არსებული პრობლემები, თუმცა არაა განსაზღვრული მთავრობის მიერ გასატარებელი პრიორიტეტული ქმედებები.
ქვეყნისთვის სპეციფიური კითხვები					
მოითხოვს, თუ არა ქვეყნის კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას?			X		საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 43-ე მუხლით, საქართველო იღებს ვალდებულებას მოახდინოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 14 ივნისის №613 განკარგულების შესაბამისად, შემუშავდა "საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სტრატეგია", ხოლო 2004 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა"
გააჩნია, თუ არა ქვეყანას ევროინტეგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა?				X	იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა პოლიტიკურ დონეზე აცხადებს, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტია, აუცილებელია საქართველომ შეიმუშავოს ევროინტეგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
ჰქონდა, თუ არა ადგილი სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემდგომ ჰარმონიზაციას?				X	ამ მხრივ ნაბიჯები საერთოდ არ გადადგმულა, ზოგიერთ სფეროში რეგრესიც კი აღინიშნება (მაგალითისთვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელ კანონმდებლობაში).
ზოგადი შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 60-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	19				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	31.6%	%			

მიზანი 2

ევროკავშირის ნაკისრი ვალდებულების დონის შეფასება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

ეს მიზანი არ არის დაკავშირებული სამოქმედო გეგმის კონკრეტულ თავებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საუბარია ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს საქმიანობაზე. ამ შემთხვევაში, მიზნადაა დასახული, წარმოჩინდეს ევროკავშირის მიერ ნაკისრი იმ ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა, რომლებიც მეზობელი ქვეყნებისთვის ასოცირების/თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და ესპ-ს სამოქმედო გეგმების გეგმების შესრულებაში დახმარებასთანაა დაკავშირებული.

ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან დაკავშირებული შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან: გარემოსდაცვით საკითხებზე თანამშრომლობის განმტკიცება; შესაძლო მონაწილეობა ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს ზოგიერთ კონკრეტულ ღონისძიებაში.

შეფასება

შეკითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
ევროკომისიის დახმარება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის					
რამდენად აქტიურია ევროკომისია სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და მის მხარდაჭერაში? კერძოდ, ადვილად ხელმისაწვდომია, თუ არა თქვენთვის დელეგაციის თანამდებობის პირები და რამდენად მზად არიან ისინი, გაგიზიარონ ინფორმაცია? დააფუძნა, თუ არა ევროკომისიამ შესაძლებლობების განვითარების სისტემა და/ან საინფორმაციო მექანიზმები სამოქალაქო საზოგადოებისთვის?		X			საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის თანამშრომლები, როგორც წესი, ადვილად ხელმისაწვდომია. არ არის რთული საჯარო ინფორმაციის მოპოვება, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში. დელეგაციის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ევროკომიის დელეგაციის მიერ გაწეულ სამუშაოზე, აქვე ხელმისაწვდომია საქართველოსთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი. სამოქალაქო საზოგადოებისთვის სპეციფიკური შესაძლებლობის ზრდის და/ან ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები დელეგაციას არ გააჩნია.
რამდენად აქტიურია ევროკომისია პროგრამების, ანგარიშების და სხვა სახის დოკუმენტების მომზადებასა და მიღებაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის თვალსაზრისით?		X			ქართულ არასამთავრობო სექტორს და ევროკომისიის დელეგაციას აქვთ წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება, რომელიც თავად დელეგაციის წარმომადგენელთა ღიაობას შეიძლება მივაწეროთ. მსგავსი კონსულტაციების/ თანამშრომლობის ეფექტურობა გაიზრდება, თუ იარსებებს საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული მექანიზმები, მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები და განისაზღვრება პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას დაგეგმვის (პროგრამირების) მთელი ციკლის განმავლობაში, მათ შორის, ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის და ეროვნული ინდიკატორული გეგმის შემუშავებისა და გადახედვის პროცესებში.
ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტი					
მიმართულია, თუ არა ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტით დაფინანსებული პროექტები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული გარემოსდაცვითი მიზნების შესრულებაზე?			X		ეროვნულ ინდიკატორულ გეგმაში გარემოს დაცვა არ არის პრიორიტეტულ სექტორად იდენტიფიცირებული. ამასთან, რეგიონული ინდიკატორული გეგმები და ტრანსასაზღვრო პროგრამები მოიცავენ როგორც ენერგეტიკული, ტრანს-ევროპული ქსელების განვითარებას რეგიონში, ისე გარემოსდაცვითი მიზნების შესრულებას. აღმოსავლეთ რეგიონის ინდიკატორული გეგმა ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლის რესურსების მდგრად მართვას.

დამაკმაყოფილებლად პასუხობს, თუ არა ინსტრუმენტით დაფინანსებული, მიმდინარე წლიური გეგმებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი პროექტები სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ გარემოსდაცვით პრიორიტეტებს?			X		გარემოსდაცვითი მიზნების შესრულებას ითვალისწინებენ მხოლოდ ტრანსასაზღვრო პროგრამები და ზოგიერთი რეგიონული პროგრამა, ამასთან, უფრო მეტად რეგიონულ, ვიდრე ეროვნულ დონეზე.
ასახავს, თუ არა სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებს ქვეყნის პროგრამის ფარგლებში გარემოსდაცითი პროექტებისათვის გამოყოფილი თანხების წილი?				X	გათვალისწინებული არ არის ქვეყნის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების გარემოს დაცვაზე მიმართვა.
არის, თუ არა გარემოსდაცვითი პროექტებისთვის ინსტრუმენტით გათვალისწინებული დაფინანსება ხელმისაწვდომი სამოქალაქო საზოგადოებისათვის? დადებითი პასუხის შემთხვავაში, რამდენად ადვილად ხელმისაწვდომია ეს ფინანსები (მაგ., გრანტის მოცულობა, თანადაფინანსება, პროცედურა და სხვ.)?			X		არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ თემატური გარემოსდაცვითი პროგრამა. არასამთავრობო სექტორისთვის პრობლემურ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება: თანხის ოდენობა, თანადაფინანსების საკითხები, პროგრამის პრიორიტეტების თანხვედრა ქვეყნის პრიორიტეტებთან.
ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტოს საქმიანობა					
ეხმარება, თუ არა ევროკავშირი რეგიონს (მათ შორის ფინანსურადაც) რათა მონაწილეობა მიიღოს ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს საქმიანობაში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ღებულობს, თუ არა ქვეყანა ამ პროგრამიდან სარგებელს (მაგ., შესაძლებლობების ზრდა, მონაცემების შეგროვება)?				X	
ორმხრივი თანამშრომლობა					
არსებობს, თუ არა ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და საქართველოს შორის გარემოს დაცვის სფეროში?	X				მსგავსი თანამშრომლობა არსებობს რამოდენიმე ქვეყანასთან მაგალითად, ფინეთთან, ჰოლანდიასთან, შვედეთთან, გერმანიასთან, ნორვეგიასთან.
იმ შემთხვევაში, თუ არსებობს, პასუხობს, თუ არა წევრი ქვეყნების მიერ დაფინანსებული პროექტები საქართველოს იმ საჭიროებებს, რომლებიც მიმართულია სამოქმედო გეგმის გარემოსდაცვითი მიზნების შესრულებაზე?		X			
ზოგადი შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 27-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	12				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	44%	%			

ფონური ინფორმაცია		
შეკითხვა		განმარტება
რამდენია ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის გარემოსდაცვითი პროექტების წილი ქვეყნის წინა წლიურ გეგმაში?	0%	
რამდენია ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის გარემოსდაცვითი პროექტების დაგეგმილი წილი ქვეყნის მიმდინარე წლიურ გეგმაში?	0%	
გარემოსდაცვითი პროექტები რომლებითაც ისარგებლა თქვენმა ქვეყანამ ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის წინა წლიური გეგმიდან და მათი რაოდენობა. თუ შესაძლებელია, დაყავით ის ქვეყნის, რეგიონულ და ტრანსსაზღვრო პროგრამებად.	0%	TACIS-ის რეგიონული თანამშრომლობის სტრატეგიული დოკუმენტისა და 2004-2006 წლების ინდიკატორული გეგმის თანახმად, 2008 წელს ხელი მოეწერა მტკვარი-არაქსის აუზთან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დაკავშირებულ ტრანსსასაზღვრო მდინარეთა მართვის II ფაზის პროექტს, რათა გაგრძელდეს ევროკავშირის წყლის დირექტივის შესრულება. ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით გათვალისწინებული თანხების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი.
იგივე რაც ზემოთ, მიმდინარე გეგმისთვის.		CBC პროექტით "Black Sea basin Program", გარემოს დაცვაზე გამოყოფილია 6.250 მლნ ევრო, 2008 წლის ბიუჯეტით, ტენდერები გამოცხადება 2009 წელს. ამასთან, არ არის ნათელი, რამდენი დაიხარჯება საქართველოზე. 2007-2013 წლის ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის რეგიონული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო "ტყის სფეროში კანონაღსრულების და მმართველობის გაუმჯობესება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ქვეყნებსა და რუსეთში"; ამ პრიორიტეტისთვის გამოყოფილ იქნა 6 მლნ. ევრო. ამასთან, არ არის ნათელი, რამდენი დაიხარჯება საქართველოზე.
ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტის გეგმით გათვალისწინებული ის პროექტები, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე; ამ პროექტების დაფინანსება; თუ შესაძლებელია, დაყავით ის ქვეყნის, რეგიონულ და ტრანსსაზღვრო პროგრამებად.		
იგივე რაც ზემოთ, მიმდინარე გეგმისთვის	N/A	
გარემოსდაცვითი პროექტები, რომლითაც ისარგებლა საქართველომ წინა წლის გეგმით გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ენერგეტიკის (EN-RTP) თემატური პროგრამით; მათი თანხები.		ევროკავშირის პროექტი "გარემოსდაცვითი თანამშრომლობა შავი ზღვისათვის" (საქართველო, მოლდავეთი, უკრაინა, რუსეთი), მთლიანი ბიუჯეტია 2,2 მლნ ევრო. პროექტი საქართველოს შემთხვევაში ორ კომპონენტს ითვალისწინებს: ევროკავშირის წყლის მოთხოვნებთან დაახლოება და სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვა.

იგივე რაც ზემოთ, მიმდინარე გეგმისთვის		TACIS-ის პროექტი - წყლის მმართველობა დასავლეთ EECCA რეგიონში (ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი). პროექტის მიზანია წყლის კანონმდებლობის გაუმჯობესება, განხორციელების ხელშეწყობა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება. გარდა ამისა, პროექტი მიმართულია წყლის რესურსების სამართლიანი გადანაწილების უზრუნველყოფაზე მიმღებ ქვეყნებსა და მომხმარებლებს შორის. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია 2.2 მლნ ევრო; პროექტის დაწყება გათვალისწინებული იყო 2008 წელს.
სარგებლობს, თუ არა თქვენი ქვეყანა შესაძლებლობების ზრდისა და ტექნიკური დახმარების პროგრამებით (მაგ., "თაექსი", "თვინინგი", მონაწილობა ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტოს საქმიანობაში), რომლებიც მიმართულია ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაზე?		ჯერჯერობით არა, თუმცა საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო "თვინინგის" პროგრამის ერთ-ერთი შესაძლო მიმღებია.

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

ზოგადად, ევროკავშირის როლი და მნიშვნელობა გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსებაში საკმაოდ მცირეა, როგორც ფონდების სიმცირის, ასევე იმის გამო, რომ ადგილი აქვს საქმიანობების გადაფარვას სხვა საერთაშორისო დონორებთან. საჭიროა დონორთა შორის კოორდინაციასა და გამჭვირვალობის ზრდაზე მიმართული უკეთესი სტრატეგიის არსებობა. დაინტერესებული მხარეების ინფორმაციით უზრუნველყოფისთვის, აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის, ვებ-მონაცემების გამოყენება.

ქვემოთ წარმოდგენილია ციტატა აკადემიური კვლევიდან, რომელიც ეხება მტკვარი-არაქსის აუზის მართვას: " რეგიონში ძირითადი პროექტები ტრანსასაზღვრო წყლის რესურსების მართვისთვის არის ევროკავშირის TACIS-ის მდინარეთა ერთობლივი მართვის პროექტი (TACIS JRMP), ნატო-ეუთოს სამხრეთ კავკასიის მდინარეთა მონიორინგის პორექტი (the NATO-OSCE *South Caucasus River Monitoring Project)* და აშშ-ს განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის წყლის მართვის პროექტი (USAID's *South Caucasus Water Management Project.*). მიუხედავად, იმისა რომ ამ პროექტების უმრავლესობა ერთი და იგივე საკითხების გადაჭრაზეა მიმართულია, განმახორციელებელი ორგანიზაციები და სააგენტოები ან არ თანამშრომლობენ, ან მათ შორის თანამშრომლობა ძალზე შეზღუდულია. ამასთან, თითქმის ყველა პროექტს აქვს მსგავსი მიზნები და ითვალისწინებს მსგავს საქმიანობებს ან საქმიანობებს, რომლებიც ფარავენ ერთმანეთს".[1]

ვინაიდან რეგიონული პროექტების რიცხვი სექტორში უფრო მაღალია, ვიდრე ეროვნული პროექტებისა, საინფორმაციო ვებ-გვერდის არსებობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რათა შეიქმნას მთლიანი სურათი, თუ რა პროექტები ხორციელდება ევროკავშირის მიერ ესპ-ს ფარგლებში.

[1] Vener, Berrin Basak and Michael E. Campana, 2008. Conflict, Cooperation, and the New 'Great Game' in the Kura-Araks Basin of the South Caucasus. *Proceedings,* Universities Council on Water Resources/National Institutes for Water Resources (UCOWR/NIWR), Annual Conference, Durham, NC, 2008

მიზანი 3

საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ოქმების რატიფიცირება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

გარემოსდაცვით საკითხებზე თანამშრომლობის განმტკიცება "კიოტოს ოქმის" და "კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონვენციის" დებულებების განხორციელება, მათ შორის "სუფთა განვითარების მექანიზმის" (Clean Development Mechanism) ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის გზით;

"აქტიური მონაწილეობა" "დუნაი - შავი ზღვის სპეციალური ჯგუფის" და "შავი ზღვის კომისიის" ფარგლებში, რათა განხორციელდეს ტრანსსასაზღვრო მიდგომა წყლის მართვის სფეროში; აქტიური მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა "ევროკავშირის წყლის ინიციატივის" შემადგენელ "აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის" კომპონენტში;

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UN-ECE) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონვენციების რატიფიცირება;

შეფასება

შეკითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
დაურთეთ ახალი სექცია ყოველი შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის					
საერთაშორისო შეთანხმების მიღება					
რატიფიცირებულ იქნა, თუ არა შესაბამისი კონვენცია/შეთანხმება/ოქმი რატიფიცირებული სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ?				X	
გადადგა, თუ არა მთავრობამ ნაბიჯები რატიფიცირებისათვის?				X	
საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულება[1]					
იყო, თუ არა მიღებული ან შეცვლილი, შესაბამისი კანონმდებლობა საერთაშორისო ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად? თუ კი, დამაკმაყოფილებელია, თუ არა ეს ცვლილებები ხელშეკრულებაში განწერილი ვალდებულებების შესასრულებლად?				X	
იყო, თუ არა, გადაგმული სხვა ნაბიჯები საერთაშორისო ხელშეკრულების შესასრულებლად?			X		კლიმატის ცვლაილების კონვენციის შესრულება, სხვა მხრივ პროგრესი, ფაქტიურად, არ შეიმჩნევა.
არსებობს, თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების ანგარიშგების სისტემა საქართველოში? თუ არსებობს, ჩააბარა თუ არა უკვე საქართველომ ანგარიში შეთანხმების შესრულებაზე?			X		ქვეყანაში არ არსებობს კონვენციათა შესრულების და ანგარიშგების ერთიანი სისტემა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აწარმოებს ანგარიშგებას კონვენციების მიერ წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად. მაგალითად, 2007-2008 წლებში მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის" (ორჰუსის კონვენცია) განხორციელების მეორე ეროვნული ანგარიში. პროცესი არ იყო საკმარისად მონაწილეობითი, და არ იქნა გათვალისწინებული არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი.

აქვს, თუ არა კომპეტენტურ ორგანოს შესაბამისი რესურსები და კომპეტენცია, რათა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ხელშეკრულების შესასრულებლად?			X		ჩვეულებრივ, ამა თუ იმ კონვენციის საკონტაქტო პირია (focal point) ერთი საშუალო ან შედარებით მაღალი თანამდებობის პირი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, გარდა კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენციისა, სადაც არსებობს მთელი სტრუქტურული ერთეული სამინისტროში.
ქვეყნისთვის დამახასიათებელი კითხვები					
აიღო, თუ არა ქვეყანამ სხვა ისეთი საერთასორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ვალდებულება, რომელიც არ არის ნახსენები სამოქმედო გეგმაში?		X			კარტახენას ბიოუსაფრთხოების ოქმი რატიფიცირებულია 2008 წლის 25 სექტემბერს.
იყო, თუ არა ქვეყანა მხილებული რომელიმე საერთაშორისო შეთანხმებასთან შეუსაბამობაში და კერძოდ, ხელშეკრულების ორგანოს მიერ?				X	
ზოგადი შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 24-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	5/24				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	20.8%	%			

[1] ეს ნაწილი ეხება სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს

მიზანი 4
გარემოსდაცვითი გეგმებისა და პროგრამების შემუშავება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან (მათ შორის, ნებისმიერი იდენტიფიცირებული გეგმა ან პროგრამა):

- ჩარჩო კანონმდებლობისა და ძირითადი პროცედურების შემუშავება, აგრეთვე, დაგეგმვის უზრუნველყოფა ძირითად გარემოსდაცვით სექტორებში — ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა
- არსებული სახელმწიფო გეგმებისა და პროგრამების განხორციელება (მაგალითად, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის, ტყის მართვის და წყლის მართვის შესახებ)

შეფასება

კითხვა	დიახ: საუკეთესო	დიახ: ადეკვატური	ცუდი	არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	

მომზადება და მიღება

მიღებულ იქნა, თუ არა შესაბამისი გეგმები ან პროგრამები სამოქმედო გეგმის ხელმოწერის / წინა შეფასების ჩატარების შემდეგ?			X		გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა: გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ხუთწლიანი ეროვნული პროგრამა 2000 წელს იქნა მიღებული; 2008-2012 წლების მეორე ეროვნული გეგმის შემუშავება 2006 წელს დაიწყო და 2007 წელს დასრულდა გეგმის პროექტზე მუშაობა. ორივე გეგმის შემთხვევაში არ იყო ნათელი გეგმის მიღების/დამტკიცების პროცედურა, ვინაიდან კანონმდებლობა დღემდე არ განსაზღვრავს ამგვარი გეგმების შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების პროცედურას. გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული გეგმა შემუშავდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. გეგმის შემუშავების პროცესს ოფიციალურად უძღვებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, თუმცა მთელი სამუშაო, ფაქტიურად, განიეს "გარე" ექსპერტებმა; ექსპერტები წარუძღვენ ასევე საზოგადოებასთან კონსულტაციის პროცესს. გეგმის მიმართ სამინისტროს მხრიდან გამოხატული მცირე ინტერესისა და საკუთრების ნაკლებობის გამო, არც საზოგადოებას გამოუხატავს დიდი ინტერესი დოკუმენტისადმი. გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები არ იქნა ასახული 2008 წლის ბიუჯეტში. დოკუმენტის საბოლოო ბედი დღემდე გაურკვეველია. დაცული ტერიტორიების სისტემის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა: დაცული ტერიტორიების სისტემის ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის პროექტი შემუშავებულ იქნა ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) სამხრეთ კავკასიის პროგრამის ოფისის მიერ და სავარაუდოდ, ორივე დოკუმენტს მალე დაამტკიცებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო. ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის პროექტის საჯარო განხილვები არ ჩატარებულა; მთავარი დაინტერესებული მხარეებიც კი არ იყვნენ ინფორმირებულნი ამ ინიციატივის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ მონაწილეობაზე. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა: 2007 წლის დასაწყისში გაერო-ს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ჩაატარა ყველა სახის ნარჩენის ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაცია ჩატარდა იმ გათვლით, რომ დასრულებიდან უმოკლეს ხანში შემუშავდებოდა ნარჩენების მართვის ხანგრძლივვადიანი (10-12 წელი) სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. ჰოლანდიის მთავრობას გამოყოფილი აქვს ფინანსურ დახმარება სტრატეგიისა და გეგმის მოსამზადებლად, თუმცა სამინისტრო არ დგამს რაიმე მნიშვნელოვან ნაბიჯებს ამ დოკუმენტების შესამუშავებლად. მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (მოდ) ეროვნულ მოქმედებათა გეგმა: 2007-2022 წლების მოდ-ების ეროვნულ მოქმედებათა გეგმის შემუშავება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 2006 წელს დაასრულა, გაერო-ს განვითარების პროგრამის / გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2006 წელს დასრულდა, ის დღემდე არ არის ოფიციალურად დამტკიცებული (სამინისტროს განმარტებით, ის უნდა დაამტკიცოს მთავრობამ). სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის (სზიმ) სტრატეგია: სზიმ სტრატეგიის პროექტი შეიმუშავა სზიმ სამუშაო ჯგუფმა. სამუშაო ჯგუფი ხელახლა იქნა ინიცირებული 2007 წელს EuropeAid-ის პროექტის "შავი ზღვის გარემოსდაცვითი თანამშრომლობა" ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტრო, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვა შედგა 2008 წლის 26 სექტემბერს. სახელმწიფო სატყეო პოლიტიკა: 2007 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა სახელმწიფო სატყეო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი. დოკუმენტი დღემდე არ არის დამტკიცებული. მოსალოდნელია, რომ დოკუმენტის მიღებას მოჰყვება სახელმწიფო ტყის მართვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავება.

დამტკიცდა, თუ არა ეს გეგმები ან პროგრამები ოფიციალურად მინისტრის ან მთავრობის მიერ?				X	არცერთი ზემოთ აღნიშნული სტრატეგია, პროგრამა თუ გეგმა დღემდე არ არის ოფიციალურად დამტკიცებული.
					პროცესი
იყვნენ, თუ არა სხვადასხვა, მაგალითად, ტრანსპორტის, მრეწველობის, ენერგეტიკის, ჯანმრთელობის და სხვა სამინისტროები აქტიურად ჩართულნი ამ გეგმების და პროგრამების მომზადებაში? მონაწილეობდა, თუ არა აქტიურად გარემოს დაცვის სამინისტრო ამ გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში?			X		ყველა ზემოაღნიშნული სტრატეგიის, პროგრამისა თუ გეგმის პროექტების შემუშავების პროცესს ოფიციალურად უძღვებოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მზადდებოდა მოწვეული ექსპერტების დახმარებით და დონორების ფინანსური მხარდაჭერით. დღემდე კანონმდებლობა არ განსაზღვრას ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი და/ან სექტორული სტრატეგიების, გეგმების ან პროგრამების შემუშავებისა და მიღების პროცედურებს. ზოგადად, საქართველოში არ არსებობს დაგეგმვის მარეგულირებელი კანონმდებლობა. არსებობს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის სტრატეგიების/პროგრამების/გეგმების პროექტების განსახილველად დაგზავნის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც ზოგჯერ მოჰყვება საკონსულტაციო შეხვედრაც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი ტიპის დოკუმენტებისადმი ინტერესი, როგორც წესი, დაბალია, ვინაიდან საბოლოოდ მათი დამტკიცება იშვიათად ხდება (უფრო სწორად, მუდმივად გადაიდება) და დამტკიცების შემთხვევაშიც კი, მათი შესრულება იშვიათად ხდება, რაც გამოწვეულია ამგვარი დოკუმენტების სამართლებრივი სტატუსისა და საბიუჯეტო სისტემაში ადგილის განუსაზღვრელობით. სახელმწიფო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესის ნაკლებობას ასევე იწვევს იმ სამინისტროში არსებული საკუთრების შეგრძნების დაბალი დონე, რომელიც უძღვება ამგვარი დოკუმენტების შემუშავების პროცესს.
მონაწილეობდნენ, თუ არა აქტიურად ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოები ამ გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში?				X	სახელმწიფო ორგანოთა სტრატეგიების, პროგრამების ან გეგმების შემუშავებაში ჩართვის პრაქტიკა ყოველთვის არ ვრცელდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ჩართვა მომზადების პროცესში ძალზე იშვიათად ხდება; მათ აზრს იშვიათად ეკითხებიან.
მონაწილეობდნენ, თუ არა აქტიურად სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, მრეწველობა, და სხვ.)?			X		ისინი მონაწილეობდნენ, მაგრამ არა აქტიურად. იხილეთ ასევე განმარტებები ზემოთ.
					შინაარსი
განსაზღვრავენ, თუ არა მკაფიოდ გეგმები ან პროგრამები ვალდებულებებს მათ განსახორციელებლად?			X		იშვიათად.
მოიცავენ, თუ არა გეგმები/პროგრამები მკაფიო და რეალისტურ ფინანსურ გეგმებს დადგენილი რესურსებით, საჭიროებებითა და საჭიროებების დაკმაყოფილების გზებით?			X		იშვიათად. იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოიცავენ ფინანსურ გეგმებს, ეს გეგმები უფრო მეტად ფოკუსირებულია დონორების მხარდაჭერაზე, ვიდრე საბიუჯეტო სახსრების მობილიზებაზე.
არის, თუ არა ასახული გეგმებსა და პროგრამებში პრიორიტეტული ღონისძიებები?			X		ასახულია, გარკვეულ შემთხვევებში.

გათვალისწინებულია, თუ არა გეგმებსა და პროგრამებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები?				X	არა.
თუ გათვალისწინებულია, არსებობს თუ არა მონიტორინგის სისტემები და თუ არსებობს, გამოიყენება, თუ არა ისინი?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის
განხორციელება					
გადაიდგა, თუ არა ნაბიჯები ამ გეგმებისა და პროგრამების განსახორციელებლად?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის
გამოყოფილ იქნა, თუ არა რესურსები ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის
ზოგადი შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 27-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	6/27				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	22.22%				

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ჩანს, ბოლო წლების განმავლობაში გარკვეულ სფეროებში მომზადდა გეგმები და პროგრამები, მაგრამ მათი ადგილი ქვეყნის განვითარების დაგეგმვის საერთო სისტემაში გაუგებარი რჩება. ნაწილობრივ ამის გამო, არ ხდება შემუშავებული გეგმებისა და პროგრამების ფორმალური მიღება/დამტკიცება; ამითვე შეიძლება აიხსნას გეგმებისა და პროგრამების მიმართ საკუთრების შეგრძნების ნაკლებობაც იმ სახელმწიფო უწყებებში, რომელთა სახელმძღვანელოდაც მზადდება ესა თუ ის გეგმა ან პროგრამა. სახელმწიფო უწყებებში საკუთრების შეგრძნების არქონა, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოების ინტერესის ნაკლებობას შემუშავების პროცესში მყოფი დოკუმენტისადმი, რასაც შედეგად მივყავართ იქამდე, რომ საზოგადოება არ იყენებს თუნდაც შეზღუდულ, მაგრამ მაინც არსებულ მონაწილეობის შესაძლებლობას.

საკუთრების შეგრძნების ნაკლებობას (და ხშირად კი, უბრალოდ არ ქონას) ასევე განაპირობებს, როგორც სამთავრობო პრიორიტეტების ხშირი ცვლილება (ე.წ. 'ვარდების რევოლუციის' შემდეგ, საშუალოდ, წელიწადში ორჯერ მტკიცდება მთავრობის ახალი შემადგენლობა და მთავრობის ახალი სამოქმედო პროგრამა), ისე სახელმწიფო უწყებების მმართველი გუნდის ხშირი ცვლილებაც (როგორც წესი, უწყების მმართველი გუნდის წევრებს თანამდებობებზე დანიშვნამდე არც კონკრეტულ სტრუქტურაში უმუშავიათ და არც შეხება ჰქონიათ სფეროსთან). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ ახალ სამთავრობო პროგრამაში გარემოსდაცვით პრიორიტეტებს სულ უფრო ნაკლები ადგილი ეთმობა, ბოლო პროგრამაში კი, საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

კვლავ ძალზე პრობლემურად რჩება გეგმებისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოების და/ან დაინტერესებული მხარეების კონკრეტული ჯგუფების ინფორმირებისა და მათთან კონსულტაციის ჩატარების საკითხი. მართალია, საქართველოში ორჰუსის კონვენცია ძალაშია ჯერ კიდევ 2001 წლიდან და მას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, კონვენციის მოთხოვნათა ტრანსპოზიცია ეროვნულ კანონმდებლობაში რაიმე ცალკე ნორმატიული აქტის სახით, არ მომხდარა. შესაბამისად, ინფორმირებისა და მონაწილეობის კონკრეტული პროცედურების არარსებობის გამო, არ სრულდება კონვენციის მე-7 მუხლით (გარემოსთან დაკავშირებულ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში საზოგადოების მონაწილეობა) გათვალისწინებული ვალდებულებები, გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებაში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ.

დღეს გამჭვირვალობა და მონაწილეობა, ისიც გარკვეული ხარისხით, უზრუნველყოფილია მხოლოდ დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებულ დახმარების პროგრამებში, ვინაიდან, როგორ წესი, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მოთხოვნები სწორედ ამ პროგრამებითაა განსაზღვრული. თუმცა, როგორც ზემოთ აღვწერეთ, საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართვაც კი, არ ქმნის იმის გარანტიას, რომ პროცესი გამჭვირვალედ და მონაწილეობით წარიმართება.

მიზანი 5
გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (წყლის სექტორი)

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმაში:

ჩარჩო კანონმდებლობისა და საბაზისო პროცედურების შემუშავება, აგრეთვე, დაგეგმვის უზრუნველყოფა ძირითად გარემოსდაცვით სექტორებში ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი, ნაგვის გადამუშავება, ბუნების დაცვა;

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადექვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
ზოგადი					
იყო, თუ არა მიღებული ახალი კანონმდებლობა, ან განხორციელდა თუ არა ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში მოთხოვნის შესაბამისად?				X	შემუშავებულია წყლის შესახებ კანონპროექტის რამდენიმე ვერსია, რომლებიც ჯერ-ჯერობით არ არის დამტკიცებული. ასევე, ჯერ-ჯერობით, არ განხორციელებულა შესაბამისი ცვლილებები წყლის შესახებ კანონმდებლობაში.
იყო, თუ არა კარგად იდენტიფიცირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მთავარი პრინციპები და მახასიათებლები?			X		ჰარმონიზაციის ეროვნულ პროგრამაში განსაზღვრულია ევროკავშირის დირექტივები, რომლებთანაც უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია წყლის რესურსების მართვისა და დაცვის სფეროში. თუმცა, სპეციალური კვლევა, კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების იდენტიფიცირებისათვის არ ჩატარებულა. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ წყლის რესურსების სააუზო მართვაზე.
ჩატარდა, თუ არა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის და ინსტუტუციური მოწყობის ადექვატური ანალიზი, რათა განსაზღვრულიყო რამდენად არის მასში ინტეგრირებული ევროკავშირის პრინციპები და მახასიათებლები?			X		გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მომზადდა წყლის შესახებ კანონპროექტის წყლის შესახებ ევროკავშირის დირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი. დოკუმენტიმოცემულიაცხრილისსახით,რომელსაც თან არ ერთვის არანაირი ტექსტობრივი ანალიზი და შეფასება. გარდა ამისა, მოცემული ანალიზი შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეფასება განხორციელდა მხოლოდ ერთი დირექტივის მიხედვით.
იყო, თუ არა ჩატარებული განხორციელების ხარჯების ადექვატური ეკონომიკური შეფასება?				X	
კანონმდებლობის ან კანონმდებლობის სამუშაო ვერსიის შინაარსი					
განსაზღვრულია, თუ არა ტერმინები ევროკავშირის განსაზღვრებათა შესაბამისად?			X		არსებობს მთელი რიგი ტერმინოლოგიური შეუსაბამობებისა წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასა და ევროკავშირის დირექტივებს შორის.
არის, თუ არა პასუხისმგებელი სტრუქტურების უფლებები და მოვალეობები მკაფიოდ განსაზღვრული?			X		წყლის შესახებ ეროვნული კანონპროექტის მიხედვით, კვლავ გაუგებარია სად იმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილებები.
რამდენად კოჰერენტულია კანონმდებლობის სხვადასხვა ნაწილები?			X		წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არის მთელი რიგი შეუსაბამობები.

არის, თუ არა კანონმდებლობის მუხლები შესაბამისობაში სხვა მონათესავე კანონმდებლობასთან? იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შესაბამისობა არ არის, განხორციელდა თუ არა, ან მომზადდა თუ არა საჭირო ცვლილებები, რათა მოხდეს შესაბამისობის უზრუნველყოფა?			X		წყლის შესახებ კანონმდებლობა, კონკრეტულ შემთხვევებში, ასევე შეუსაბამოა საქართველოს სხვა კანონებთან. ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემაში 2005 წელს განხორციელებული ცვლილებები გათვალისწინებული იყო კანონპროექტში წყლის შესახებ, თუმცა, ამჟამად ეს ცვლილებები უკვე მოძველებულია.
იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის სრული განხორციელება მოითხოვს კანონქვემდებარე აქტების მიღებას, ხდება თუ არა მათი დროულად მიღება?				X	წყლის შესახებ კანონპროექტის მიხედვით, მისაღებია 29 კანონქვემდებარე აქტი. წყლის შესახებ მოქმედი კანონის მიხედვით კი 26 კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც დღემდე არ შემუშავებულა.
წყლის კანონმდებლობა					
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა საუზო მართვის მიდგომებს?				3	გათვალისწინებულია მხოლოდ კანონპროექტში.
არის, თუ არა აუზების იდენტიფიცირების პროცესი მკაფიოდ გაწერილი?				X	აუზების დადგენის ვადები არ არის განსაზღვრული.
მოხდა, თუ არა აუზების დადგენა?				X	აუზების და საუზო რაიონების იდენტიფიცირება და ოფიციალურად დადგენა არ განხორციელებულა. **შესაბამისად, არ განხორციელებულა ადმინისტრაციული ღონისძიებები** და არც აუზების მართვის გეგმებია შემუშავებული.
იმ შემთხვევაში, თუ აუზების დადგენა განხორციელდა, არის თუ არა უზრუნველყაოფილი შესაბამისი ადმინისტრაციული მოწყობა თითოეული აუზისათვის?					არარელევანტურია საქართველოსთვის
არის, თუ არა უზრუნველყოფილი სათანდო კოორდინაცია კომპეტენტურ სტრუქტურებსშორის?				X	
არსებობს, თუ არა შესაბამისი სტრუქტურები და პროცედურები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა, იმ შემთხვევაში, როცა მდინარის აუზი სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს?				X	
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა მდინარის საუზო მართვის გეგმას, მათ შორის ღონისძიებათა გეგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნას წყლის კარგი ხარისხის მიღწევა?				X	
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა საზოგადოებასთან კონსულტაციებს მდინარეთა აუზების მართვის გეგმების შემუშავებისას?				X	კანონპროექტში არაფერია ნათქვამი წყლის რესურსების ინტეგრირებულ მართვაზე და მონაწილეობის პრინციპზე.

უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა წყლის ობიექტების კლასიფიკაციას ევროკავშირის წყლის შესახებ ჩარჩო დირექტივაში მოცემული კლასიფიკაციის შესაბამისად?				X	წყლის ობიექტების კლასიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ არის ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებული კლასიფიკაციის იდენტუწრი.
ამ შემთხვევაში, არის, თუ არა უზრუნველყოფილი წყლის ობიექტების იდენტიფიცირება ამ კლასიფიკაციის შესაბამისად?				X	
არის, თუ არა კანონმდებლობაში მოცემული მკაფიო გარემოსდაცვითი მიზნები?			X		წლის შესახებ კანონმდებლობაში არ არის ნათლად მოცემული წყლის რესურსების საუზო მართვის, და ზოგადად ინტეგრირებული მართვის საჭიროება და მიზნები. გარდა ამისა, ევროკავშირის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, არ არის მოცემული კონკრეტული, შესრულებადი მიზნები. მაგ. წყლის ობიექტებში წყლის კარგი ხარისხის მიღწევა განსაზღვრულ ვადაში.
არის, თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის ხარისხის ნორმები ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობაში?				X	წყლის ხარისხობრივი ნორმების განახლება (გარდა სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმებისა), ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არ განხორციელებულა.
არის, თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩაშვების ლიმიტები ინტეგრირებული ეროვნულ კანონმდებლობაში?				X	
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა დაბინძურების წერტილოვანი წყაროების კონტროლის რეგულაციას ან მათ წინაწარ ავტორიზაციას?			X		დღესდღეობით, წერტილოვანი დაბინძურების წყაროების ეფექტური კონტროლი ვერ ხორციელდება.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა წინასწარ ავტორიზაციას ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყალაღების და შევსებისათვის?				X	წყალაღების ნებართვები ამჟამად გაუქმებულია. მიწისქვეშა წყლების გამოყენება რეგულირდება მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ლიცენზიებით, თუმცა, მიწისქვეშა წყლების შევსება არ არის გათვალისწინებული.
კრძალავს, თუ არა კანონმდებლობა საშიში ნივთიერებების პირდაპირ ჩაღვრას მიწისქვეშა წყლებში?				X	საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 18 თებერვლის დადგენილებაში №146, წიაღით სარგებლობის ლიცენზირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე მოცემულია წიაღში მავნე ნივთიერებათა და გაჭუჭყიანებული წყლების ჩაშვების და ნარჩენების დამარხვის წესები. ამდენად, მიწისქვეშა წყლებში ჩაშვება არ არის აკრძალული.
მოიცავს, თუ არა კანონმდებლობა ღონისძიებებს დიფუზური დაბინძურების აღკვეთის ან კონტროლის უზრუნველსაყოფად?				X	პრაქტიკულად არ არსებობს დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების რეგულირების მექანიზმები.
მოიცავს, თუ არა კანონმდებლობა წყლის მონიტორინგის პროგრამებს?				X	მონიტორინგის დროში გაწერილი პროგრამა, ისეთი სახით, როგორც ევროკავშირის დირექტივაშია ნაგულისხმევი, საქართველოში არ არსებობს.

ზოგადი შეფასება			
საერთო შეფასება: 0-დან 78-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	9		
საერთო ქულა = მიღწევად მაქსი-მალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	11.54%		

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში ჯერჯერობით პრაქტიკულად არ განხორციელებულა ცვლილებები ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ინტეგრირების მიზნით. არ განხორციელებულა აუზების და სააუზო რაიონების იდენტიფიცირება და ოფიციალურად დადგენა. როგორც წყლის შესახებ მოქმედ კანონში, ისე კანონპროექტში არის მთელი რიგი ტერმინოლოგიური შეუსაბამობებისა. ასევე არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ინსტიტუციური მოწყობის საკითხები. მაგალითად, გაუგებარია სად იმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილებები წყლის რესურსების მართვის საკითხებში. წყლის ობიექტების კლასიფიკაცია, წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები და წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვების ნორმები არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირის კანომდებლობასთან. არ არის უზრუნველყოფილი მონიტორინგის დროში გაწერილი პროგრამა, ისეთი სახით, როგორც ევროკავშირის წყლის შესახებ დირექტივაშია მოცემული. წინააღმდეგობები და შეუსაბამობებია როგორც თავად წყლის შესახებ კანონმდებლობაში, ისე წყლის კანონმდებლობასა და საქართველოს სხვა კანონებს შორის. ამდენად, მიზანშეწონილია სრულიად ახალი ჩარჩო კანონის შემუშავება, რომელიც მიახლოებული იქნებოდა ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან და მასზე დაყრდნობით კანონქვემდებარე აქტების მიღება.

მიზანი 5

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიღება (ნარჩენების სექტორი)

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმაში:
ჩარჩო კანონმდებლობისა და საბაზისო პროცედურების შემუშავება, აგრეთვე, დაგეგმვის უზრუნველყოფა ძირითად გარემოსდაცვით სექტორებში ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი, ნაგვის გადამუშავება, ბუნების დაცვა;

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადექვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
ზოგადი					
იყო, თუ არა მიღებული ახალი კანონმდებლობა, ან განხორციელდა, თუ არა ცვლილებები არსებულ კანონმდებლობაში მოთხოვნის შესაბამისად?				X	
იყო, თუ არა კარგად იდენტიფიცირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მთავარი პრინციპები და მახასიათებლები?				X	
ჩატარდა, თუ არა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის და ინსტუტუციური მოწყობის ადექვატური ანალიზი, რათა განსაზღვრულიყო რამდენად არის მასში ინტეგრირებული ევროკავშირის პრინციპები და მახასიათებლები?				X	
იყო, თუ არა ჩატარებული განხორციელების ხარჯების ადექვატური ეკონომიკური შეფასება?				X	
კანონმდებლობის ან კანონმდებლობის სამუშაო ვერსიის შინაარსი					
განსაზღვრულია, თუ არა ტერმინები ევროკავშირის განსაზღვრებათა შესაბამისად?			X		საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული მთელი რიგი ტერმინოლოგიისა ნარჩენების სფეროში.
არის, თუ არა პასუხისმგებელი სტრუქტურების უფლებები და მოვალეობები მკაფიოდ განსაზღვრული?			X		კანონით განსაზღვრულია პასუხისმგებლობები მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სფეროში. პასუხისმგებლობები სხვა დანარჩენი ტიპის ნარჩენების მართვის სფეროში განსაზღვრულია ნარჩენების შესახებ კანონპროექტებში, თუმცა ეს პასუხისმგებლობები საკმაოდ დაქსაქსული და ურთიერთგადაფარვადია.
რამდენად თანმიმდევრულია კანონმდებლობის სხვადასხვა ნაწილები?			X		ნარჩენების შესახებ კანონმდებლობაში არის მთელი რიგი შეუსაბამობები.
არის, თუ არა კანონმდებლობის მუხლები შესაბამისობაში სხვა მონათესავე კანონმდებლობასთან? იმ შემთხვევაში, თუ არ არის შესაბამისობაში, განხორციელდა, თუ არა, ან მომზადდა თუ არა საჭირო ცვლილებები, რათა მოხდეს შესაბამისობის უზრუნველყოფა?			X		რამდენადაც ნარჩენების შესახებ კანონმდებლობა არ განახლებულა, არის მთელი რიგი შეუსაბამობები საქართველოს სხვა კანონებთან.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობის სრული განხორციელება მოითხოვს კანონქვემდებარე აქტების მიღებას, ხდება თუ არა მათი დროულად მიღება?				X	
ნარჩენების შესახებ კანონმდებლობა					
განსაზღვრულია, თუ არა ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკა და/ან არსებობს, თუ არა კანონი ნარჩენების მართვის შესახებ?				X	
არის, თუ არა მკაფიოდ განსაზღვრული ნარჩენების მართვის ინსტიტუციური მოწყობის საკითხები და პასუხისმგებელი სტრუქტურების უფლება-მოვალეობანი?			X		ნარჩენების შესახებ კანონის არარსებობის გამო პასუხისმგებლობები განსაზღვრულია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სფეროში.
არსებობს, თუ არა ნარჩენების მკაფიო კლასიფიკაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ კლასიფიკაციასთან?				X	
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა სახიფათო ნარჩენების ცალსახა და ზუსტ განმარტებას? უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა სახიფათო ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას?				X	
უზრუნველოფს, თუ არა კანონმდებლობა სახიფათო ნარჩენების განთავსება/გადამუშავება/ ტრანსპორტირების მკაფიოდ განსაზღვრას და რეგულაციას?			X		კანონით დარეგულირებულია მხოლოდ სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი
არსებობს, თუ არა კანონმდებლობა სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის თაობაზე?	X				დარეგულირებულია ბაზელის კონვენციით და კანონით საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ.
არსებობს, თუ არა კანონმდებლობა ნარჩენი ზეთების შესახებ?				X	
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა ადექვატური, ქმედითი წესების არსებობას ნარჩენების განთავსება/ გადამუშავებისათვის? არსებობს, თუ არა ღონისძიებები რომლებიც უზრუნველყოფს ნარჩენების განთავსება/ გადამუშავების განხორციელებას ისე, რომ არ მოხდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა ან იმ საშუალებების ან მეთოდების გამოყენება, რომლებიც ზიანს მიაყენებენ გარემოს?				X	

არის, თუ არა დადგენილი მოთხოვნები ნაგავსაყრელებისათვის მისი მდებარეობის, პირობების, მართვის, კონტროლის, კონსერვაციის საკითხების მიმართ, ისევე როგორც დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გარემოზე მიყენებული ზიანის რისკის თავიდან აცილება მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში (მათ შორის, მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკების)?			X		ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში არ არის ნათლად წარმოდგენილი ნარჩენების გაუვნებლებისა და უსაფრთხოდ განთავსების, დრენაჟის სისტემის, წყლისა და ჰაერის დაბინძურების პრევენციის მოთხოვნები და ინსტრუქციები. ასევე არ არის განსაზღვრული ნაგავსაყრელის კონტროლისა და მონიტორინგის წესები.
არის, თუ არა დადგენილი იმ ნარჩენების სია, რომლებიც შეიძლება ან არ შეიძლება განთავსდეს ნაგავსაყრელზე?				X	
არის, თუ არა კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ღონისძიებები ნაგავსაყრელებზე მეთანის შემცირების მიზნით?				X	
არის, თუ არა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით ნარჩენების დახარისხებულად შეგროვების, რეციკლირების, ბიოდეგრადირებადი ნარჩენების გადამუშავების ღონისძიებები?				X	
საჭიროებს, თუ არა გარემოს დაცვით ნებართვას ნარჩენების განთავსების ან გადამუშავების ღონისძიებათა განხორციელება?	X				
მოეთხოვებათ, თუ არა ნარჩენების განთავსების/გადამუშავების სამუშაოების განმახორციელებელ სუბიექტებს ნარჩენების რაოდენობის, თვისებების, წარმოშობის წყაროს და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების აღრიცხვა?				X	
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირება/განთავსება/ გადამუშაების სამუშაოების განმახორციელებელი სუბიექტების პერიოდული კონტროლის განხორციელებას კომპეტენტური ორგანოების მხრიდან?				X	
არსებობს, თუ არა შესაბამისი ღონისძიებები რომელიც კრძალავს ნარჩენების მიტოვებას, დაყრას, უკონტროლოდ განთავსებას?		X			საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინებულია შესაბამისი ჯარიმები.
უზრუნველყოფს, თუ არა კანონმდებლობა პრინციპის 'დამაბინძურებელი იხდის' განხორციელებას?				X	
არსებობს, თუ არა კანონმდებლობა რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების გადამუშავებას ან გადამუშავებული ნარჩენებიდან ნედლეულის ან ენერგიის მიღებას?				X	

		შეფასება	
საერთო შეფასება: 0-დან 81-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	15		
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	18.5%		

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

ნარჩენების შესახებ არსებული კანონმდებლობა ძალზე მწირი და ფრაგმენტულია. ჯერ კიდევ არ არის მიღებული კანონი ნარჩენების შესახებ. ნარჩენების შესახებ არსებული კანონპროექტები ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ინტეგრირებას. არ არის განსაზღვრული ნარჩენების კლასიფიკაცია. არ არის განმარტებული მთელი რიგი ტერმინოლოგია ნარჩენების სფეროში. ნარჩენების შესახებ კანონის არარსებობის პირობებში არ არის განსაზღვრული ნარჩენების სხვადასხვა ტიპების (გარდა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა) მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები. არ არის განსაზღვრული ნარჩენების მართვის პოლიტიკა და პრიორიტეტები ნარჩენების მართვის სფეროში. არსებული კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში მოძველებულია და შეუსაბამობაშია ნარჩენების შესახებ სხვა კანონმდებლობასთან. პრაქტიკულად არ არის უზრუნველყოფილი ნარჩენებით გამოწვეული დაბინძურების მონიტორინგი.

ნარჩენების მართვის სფეროს განვითარებისათვის აუცილებელია ნარჩენების მართვის ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამისი მარეგულირებელი კანონების შემუშავება.

მიზანი 6
ადმინისტრაციული სტრუქტურისა და პროცედურების გაძლიერება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიული დაგეგმვა და კოორდინირება შესაბამის სუბიექტებს შორის

შეფასება

კითხვა		დიახ		არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
ადმინისტრაციული სტრუქტურები ეროვნულ დონეზე					
არის, თუ არა გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი სამინისტროს ვალდებულებები ნათლად განსაზღვრული?		X			გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხისმგებელია ყველა გარემოსდაცვით საკითხზე, თუმცა არის გარკვეული საკითხები, სადაც სამინისტრო ინაწილებს პასუხისმგებლობას სხვა სახელმწიფო (მაგალითად, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკური განვითარების, შინაგან საქმეთა სამინისტროები) და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. ამ უწყებებს შორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები ყოველთვის ნათლად არ არის გამიჯნული; ასევე არის საკითხები, რომლებიც არ ექცევა არცერთი უწყების რეგულირების ქვეშ (მაგალითად, ნარჩენების მართვის გარკვეული ასპექტები, გმო-ები, ინვაზიური სახეობები).
შესაფერისი და ეფექტურია, თუ არა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის სტრუქტურები/პროცედურები?			X		არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო პროცედურები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამთავრობო უწყებებს შორის კონსულტაცია სამართლებრივი აქტების მომზადების პროცესში (მაგალითად, ინიციატორი უწყების მიერ თანხმობის მოპოვება სხვა უწყებებიდან), მაგრამ ეს პროცედურები ეხება მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი აქტების მომზადებას და ამასთან, ისინი არ არის საკმარისად ეფექტური.
გაეზარდა, თუ არა სახელმწიფო ორგანოებს რესურსები თავისი მისიის შესასრულებლად?			X		გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო დაფინანსება დროთა განმავლობაში მატულობს, თუმცა კლებულობს მშპ-ში მისი წილი 0.2%-დან 0.1%-მდე (მთავრობის საშუალოვადიანი სტრატეგია 2007-2010 წლებისთვის)

რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე					
აქვთ, თუ არა რეგიონულ/ ადგილობრივ ორგანოებს კომპეტენცია გარემოსდაცვით საკითხებზე? ნათლად არის, თუ არა გადანაწილებული კომპეტენციები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის?			X		მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმასა და დეცენტრალიზაციას ძალზე დადებითად აფასებს, დეცენტრალიზაციის გამიზნული და თანმიმდევრული სტრატეგიის არ ქონის პირობებში, ხელისუფლება თავს იკავებს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის უფლებებისა და რესურსების დელეგირებისგან. ეს, როგორც წესი, მართლდება ადგილობრივ დონეზე კვალიფიკაციის ნაკლებობით და ადგილობრივი კორუფციით. მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების ამგვარი წინააღმდეგობრივი მიდგომისა, შეინიშნება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ "ცენტრში" ადგილობრივი ინტერესების ლობირების მცდელობები. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა ცნობს სუბსიდიარობის პრინციპს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების გადანაწილებაში, თუმცა ეს პრინციპი არასდროს ყოფილა პრაქტიკაში გამოყენებული. ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის მარეგულირებელი კანონი ანიჭებს მათ გარკვეულ უფლებამოსილებებს გარემოსდაცვით საკითხებში, თუმცა ეს ნორმები ძალზე ზოგადი და დეკლარატიული ხასიათისაა, ისევე როგორ გარემოს ცალკეული ელემენტების მარეგულირებელი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, თვითმმართველობების შემთხვევაში. ამჟამად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში (ზოგ შემთხვევაში — სხვა უწყებებთან ერთად; იხ. ზემოთ) თავმოყრილია გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების მთელი ძალაუფლება. სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია ბუნებრივი რესურსების მართვის შემთხვევაში. ბოლო ორი წლის განმავლობაში გატარებული ცვლილებების შედეგად, ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ტერიტორიული სტრუქტურებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ უფლება გასცენ თანხმობა შეშისა და პირადი მოხმარების სამასალე მერქნის მოპოვებაზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ასევე უფლებამოსილია გასცეს ლიცენზია ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთ სასარგებლო წიაღისეულზე). ზემოაღნიშნული ცვლილებები გატარებულ იქნა იმ კონფლიქტური სიტუაციის საპასუხოდ, რომელიც შეიქმნა ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების ძლიერი ცენტრალიზაციის გამო, რასაც მოჰყვა ბუნებრივი რესურსებზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ეს ცვლილებები არ არის გამყარებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და/ან ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მიღებული კანონმდებლობით.
გაიზარდა, თუ არა რესურსები ხელისუფლების ორგანოების მიერ თავისი მისიის შესასრულებლად?			X		ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მცირედ გაიზარდა ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ნარჩენების მართვის ადგილობრივი სისტემების გასაუმჯობესებლად გამოყოფილი ასიგნებები.
სტრატეგიული დაგეგმვა					
არსებობს, თუ არა ან იგეგმება, თუ არა გარემოსდაცვითი სტრატეგიის შემუშავება? თუ არსებობს, რამდენად კარგი ხარისხისაა?				X	გარემოსდაცვითი სტრატეგია არ არსებობს და არც იგეგმება მისი შემუშავება.
გადაიდგა, თუ არა რაიმე ნაბიჯები სტრატეგიის შესასრულებლად?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის.

ხდება, თუ არა სტრატეგიის რეგულარული გადახედვა (მაგ., სამ წელიწადში ერთხელ)?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
არსებობს, თუ არა მთლიანი სტრატეგიის დამხმარე სექტორული სტრატეგიები?			X		არსებობს სექტორული სტრატეგიების პროექტები ზოგიერთ სფეროში, რომლებიც ჯერ არ არის დამტკიცებული. იხ. ასევე განმარტებები "მიზანი 4"-ში.
დაწესებულია, თუ არა პროცედურები, მაგალითად, საკონსულტაციო პროცედურები სამინისტროებს/ხელისუფლების ორგანოებს შორის? **თუ დაწ**ესებულია, გამოიყენება, თუ არა ისინი?				X	ასეთი პროცედურები არ არსებობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონსულტაციის ფორმა და ინტენსივობა დამოკიდებულია იმ უწყების ნება-სურვილზე, რომელიც უძღვება შემუშავების პროცესს.
თუ დაწესებულია, არის თუ არა გარემოს დაცვის სამინისტროს ან გარემოსდაცვითი ორგანოების როლი მნიშვნელოვანი ამ პროცედურებში?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
არსებობს, თუ არა ხელისუფლების ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის (სამოქალაქო საზოგადოება, მეცნიერები) კოორდინაციის ფორმალური პროცედურები?				X	სახელმწიფო უწყებებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის ფორმალური პროცედურები არ არსებობს.
გაუმჯობესდა, თუ არა სხვადასხვა მხარეს შორის თანამშრომლობა სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ?			X		თანამშრომლობა სხვადასხვა მხარეს შორის ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდად არ გაუმჯობესებულა და ეს დიდწილად შესაძლებელია აიხსნას ხელისუფლებაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობით. ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობა სულ უფრო მეტ კრიტიკას იმსახურებდა ძალაუფლების კონსოლიდაციის, მედიაზე კონტროლის გაძლიერებისა და სასამართლო რეფორმების დაგვიანების გამო. ეს კრიტიკა საბოლოოდ გადაიზარდა 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერის მასობრივ გამოსვლებში, რასაც მოჰყვა მომიტინგეთა დაშლა და პოლიტიკური კრიზისის შესარბილებლად შეთავაზებული 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნები. 2008 წლის აგვისტოს სამხედრო ინტერვენციამ ქვეყანა და ხელისუფლება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. 2008 წლის დასასრული და 2009 წლის დასაწყისი კვლავ ხასიათდებოდა მინისტრთა კაბინეტის ცვლილებებით. ამჟამად ხელისუფლება (მათ შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) ცდილობს გამოავლინოს საკუთარ გადაწყვეტილებებზე დებატების სურვილი, თუმცა სპორადული "ღიაობა" ფორმალური დემოკრატიული პროცედურების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გარეშე, სკეპტიკურად აღიქმება სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

ზოგადი შეფასება

საერთო შეფასება: 0-დან 30-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	8/30		
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	26.6%		

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

საქართველოში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა შესაბამისი გარემოსდაცვითი ინსიტიტუციები, თუმცა დღეს მათ არ გააჩნიათ არც პოლიტიკური ნება და არც ძალაუფლება, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსდაცვით მოსაზრებებს ეკონომიკური მოსაზრებების თანაბარი თუ არა, დღევანდელზე უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს. ბოლო წლები შესაძლებელია მოკლედ ასე აღიწეროს: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელი პირების ხშირი ცვლილება; დაუსრულებელი სტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც წინ არ უძღვის მანამადე ჩატარებული ცვლილებების ეფექტურობის შესწავლა; ყოველი სტრუქტურული ცვლილების შემდეგ ძველი პერსონალის დათხოვნა და ახალი თანამშრომლებით დაკომპლექტება, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში, არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და სახელმწიფო უწყებებში მუშაობის გამოცდილება; წინა ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი ვალდებულების და საკუთრების შეგრძნების არქონა, დაწყებული მინისტრის დონიდან და დამთავრებული რიგითი თანამშრომლებით, რომლებსაც ყველაფერთან ერთად, არ გააჩნიათ თავისი საქმიანობის გაუმჯობესების არანაირი მოტივაცია.

რაც შეეხება სტრატეგიულ დაგეგმვაში საზოგადოების მონაწილეობას, ეს, როგორც წესი, არ ხორციელდება ან ატარებს მხოლოდ ინფორმირების ხასიათს. იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საზოგადოება ჩართული იყო სტრატეგიის/პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, კონსულტაციები შედგა მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ზეწოლის შედეგად. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა სპორადული და არათანმიმდევრულია; საზოგადოებას არ გააჩნია შესაძლებლობა თავისი წვილილი შეიტანოს და ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, არც სტრატეგიულ და არც უფრო დაბალ დონეებზე.

მიზანი 7

სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:
სტრუქტურებისა და პროცედურების გაძლიერება გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების მიზნით

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
			ზოგადი		
მოითხოვს, თუ არა არსებული კანონმდებლობა გზშ-ს ჩატარებას იმ საქმიანობებისთვის, რომელთა განხორციელებასაც, შესაძლებელია, მოჰყვეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე? თუ არა, დაგეგმილია, თუ არა მსგავსი კანონმდებლობის მიღება?			X		გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) მარეგულირებელი ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარკვეული სახის საქმიანობებზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემამდე აუცილებელია გზშ-ს ჩატარება. საქმიანობათა შერჩევის კრიტერიუმი, ამასთან, არ არის ნათელი — არ არის ნათელი, გააჩნიათ თუ არა საერთოდ ამ საქმიანობებს ზემოქმედება გარემოზე, რომ არაფერი ვთქვათ ზემოქმედების მნიშვნელოვნებაზე. კანონში უბრალოდ ჩამოთვლილია ის საქმიანობები, რომლებიც ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას, თუმცა რატომ ექვემდებარება ეს საქმიანობები ექსპერტიზას, გაუგებარი რჩება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონი ადგენს იმ საქმიანობების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთაც უნდა ჩაუტარდეთ გზშ. ჩამონათვალი არ მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო და კვების, ხე-ტყის გადამამუშავებელი, ქაღალდის, ტყავის და საფეიქრო წარმოება, ზოგიერთი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტები (ეს საქმიანობები 2005 წელს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მიღებამდე ექვემდებარებოდა გზშ-ს). საქმიანობათა ამჟამად არსებული ჩამონათვალი არ შეესაბამება ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივის პირველი დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს და ორჰუსის კონვენციის პირველი დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალს. კანონი ასევე არ მოიცავს ე.წ. "ღია" დებულებას გარკვეული ტიპის საქმიანობებისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივით (მე-2 დანართის საქმიანობები). გარდა ზემოაღნიშნულისა, ყურადსაღებია, რომ საქმიანობებისთვის გზშ-ს ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ მათ ახორციელებენ კერძო პირები; სახელმწიფო პროექტების შემთხვევაში, გზშ-ს ჩატარება აღარ არის სავალდებულო, ეს მაშინ, როდესაც კანონით განსაზღვრული საქმიანობების უმრავლესობა ფაქტიურად შეიძლება განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ. გარდა ამისა, კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" შესაძლებელს ხდის კერძო პროექტების განხორციელების შემთხვევაშიც კი, გზშ-ს ჩატარებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებისგან თავის არიდებას, იმ პირობით რომ ეს ვალდებულება მომავალში შესრულდება.

დაკავშირებულია, თუ არა გზშ-ს პროცესი საქმიანობის დაწყების უფლებასთან და პირობების დაყენებასთან?			X		გზშ-ს პროცესი არ წარმოადგენს საქმიანობის დაწყების უფლების მინიჭების ნაწილს. საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ასეთ ცნებას. გზშ ანგარიშები წარედგინება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. დადებითი დასკვნის პირობები ავტომატურად აისახება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობებში. "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება ნებართვის გარეშე აკრძალულია. გარკვეულ შემთხვევებში გზშ პროცესი უკავშირდება სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესს (იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა მშენებლობის ნებართვის მოპოვებაც). ასეთ შემთხვევაში, გზშ ანგარიში წარედგინება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ, ანგარიშს აწვდის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის დადებითი დასკვნა, ასეთ შემთხვევაში, ხდება მშენებლობის ნებართვის ნაწილი და მისი პირობა; გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ასეთ შემთხვევაში, აღარ გაიცემა. ამ სქემას უამრავი ნაკლოვანება გააჩნია, მაგალითისთვის, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს — მშენებლობის ნებართვა გაიცემა მშენებლობის ვადით, მაშინ როდესაც ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ისევე როგორც გზშ ანგარიში), როგორც წესი, მოიცავს პირობებს/ვალდებულებებს ექსპლუატაციის ფაზისთვის. ეს კი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მშენებლობის ნებართვის ვადის ამოწურვის შემდეგ გარემოსდაცვითი პირობების/ ვალდებულებების შესრულების სავალდებულოობას.
სტრუქტურები					
არის, თუ არა ნათლად განსაზღვრული და განანილებული ვალდებულებები ხელისუფლების ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის. რეგიონულ (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს გზშ სისტემაში არანაირი როლი არ გააჩნიათ (არც გადაწყვეტილების მიღებაში და არც შემდგომ, შესრულების მონტორინგსა და კონტროლში). გადაწყვეტილებების ექსკლუზიური მიმღებია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.
არის, თუ არა მარეგულირებელი ორგანოების შესაძლებლობები საკმარისი?			X		არა, აბსოლუტურად არ არის საკმარისი.
პროცედურა					
არსებობს, თუ არა ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავენ, ექვემდებარება, თუ არა ესა თუ ის საქმიანობა გზშ-ს?			X		არა. ბევრ შემთხვევაში საქმიანობები წარმოდგენილია ზღვრების გარეშე, რაც გზშ-ს საჭიროების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ტვირთს აკისრებს სამინისტროს და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა გარემოზე.
არსებობს, თუ არა წინასწარი სკრინინგის პროცედურა, რათა გადაწყდეს საჭიროებს, თუ არა ესა თუ ის პროექტი გზშ-ს ჩატარებას?				X	საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს სკრინინგის პროცედურას.

არსებობს, თუ არა სკოპინგის პროცედურა, რათა დადგინდეს შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედებები და შემდგომ ეტაპზე შესაფასებელი ძირითადი ალტერნატივები?				X	საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს რაიმე სახის დებულებებს სკოპინგის შესახებ.
ნათლად არის დადგენილი, თუ არა, რა სახის ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პროექტის განმახორციელებელმა გზშ ანგარიშში? ანუ დაწესებულია, თუ არა მინიმალური მოთხოვნები გზშ-ს შინაარსისადმი?			X		გზშ-ს შინაარსისადმი მინიმალური მოთხოვნების განმსაზღვრელი დებულება გაუქმებულ იქნა 2007 წლის 14 დეკემბერს მიღებული კანონით "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ". იგივე კანონმა დაავალდებულა სამინისტრო 2008 წლის 1 იანვრამდე ხელახლა მიელო დებულება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო კანონის სრულფასოვანი ფუნქციონირება მისი ამოქმედებისას (2008 წლის 1 იანვარი). დებულება, სამწუხაროდ, მიღებულ იქნა სულ ახლახანს, 14-თვიანი დაგვიანებით, 2009 წლის 9 მარტს. უნდა ითქვას, რომ დებულება კვლავ დაბალი ხარისხისაა.
არსებობს, თუ არა საკონსულტაციო პროცედურები იმ სახელმწიფო ორგანოებთან, რომელთაც შესაძლოა გააჩნდეთ თავისი მოსაზრებები/ პოზიცია პროექტთან დაკავშირებით და რამდენად კარგად გამოიყენება ისინი?				X	არა, ასეთი პროცედურები არ არსებობს.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა მკაფიოდ შესაბამისი ქვეყნის ორგანოების და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში?				X	არა, ასეთი მოთხოვნები არ არსებობს.
მოითხოვს, თუ არა კანონმდებლობა მკაფიოდ შესაბამისი ქვეყნის ორგანოებსა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ჩატარებას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შემთხვევაში?				X	არ მოითხოვს.
არსებობს, თუ არა პროცესის ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ეფექტური ინფორმირების ნათლად განსაზღვრული პროცედურები?				X	არ არსებობს.
აქვს, თუ არა საზოგადოებას შესაძლებლობა ადრეულად და ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებში?				X	არა; საზოგადოებას არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღებაში ადრეულ ეტაპზე.

მიიღება, თუ არა მხედველობაში საზოგადოებასთან და შესაბამის გარემოსდაცვით ორგანოებთან კონსულტაციების შედეგები გადაწყვეტილების მიღების პროცესში?				X	არა, არ არსებობს პროცედურა, რომელიც შესაძლებელს გახდის საზოგადოების ან ცენტრალური, რეგიონული თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებების გამოვლენას. თუ გზშ პროცესი უკავშირდება მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესს (იხ. განმარტება მე-2 კითხვაზე), მაშინ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ითვალისწინებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოსაზრებებს (რომლებიც ჩამოყალიბებულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში).
მოეთხოვება, თუ არა კომპეტენტურ ორგანოს, შეატყობინოს საზოგადოებას გადაწყვეტაილება ნებართვის/ ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ?				X	არ მოეთხოვება. საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს სახელმწიფო უწყებებს შეატყობინონ საზოგადოებას ნებართვის ან ლიცენზიის, მათ შორის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ.
მოეთხოვება, თუ არა კომპეტენტურ ორგანოს, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შემთხვევაში, აცნობოს იმ ქვეყნების ორგანოებს, რომლებთანაც გაიარა კონსულტაცია, გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებაზე თანხმობის ან უარის თქმის შესახებ?					კითხვა არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
ნათლად არის, თუ არა განსაზღვრული ინფორმაციის მიღების უფლებიდან გამონაკლისები, მაგ, კომერციული საიდუმლო?			X		არსებობს რამოდენიმე ზოგადი დებულება კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე.
შეუძლია, თუ არა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს დადებით გადაწყვეტილებას დაურთოს პირობები?			X		იხ. განმარტება მე-2 კითხვაზე ზემოთ.
ნათლად არის, თუ არა განსაზღვრული საზოგადოების უფლება გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება და როგორ სრულდება?			X		საზოგადოებას აქვს გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება და არსებობს პროცედურებიც, თუმცა უამრავი პრობლემაა ამ უფლების განხორციელებაში. აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმეს: მაღალი საბაჟო გადასახადი, ძალზე ხანგრძლივი სასამართლო პროცედურები, სასამართლოთა შეზღუდული დამოუკიდებლობა და შესაბამისად, სასამართლოს მიმართ დაბალი ნდობა. გზშ-ს პროცესთან და ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული უშუალო პრობლემა, გარდა ზემოაღნიშნულისა, არის ის, რომ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ არის ვალდებული შეატყობინოს საზოგადოებას ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს გადაწყვეტილება მისი მიღების შემდგომ. გაცემული ნებართვები ხელმისაწვდომია მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში (თუ საზოგადოებამ რაიმე გზით შეიტყო ნებართვის გაცემის შესახებ), მაგრამ ამ დროისთვის ნებადართული საქმიანობები უკვე ხორციელდება და ხშირად გასაჩივრება უკვე აზრს კარგავს (განსაკუთრებით, ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლოზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია).

მოიცავს, თუ არა გზშ-ს პროცედურა მოთხოვნებს ნებართვის გაცემის შემდგომ მონიტორინგისა და კონტროლის შესახებ? თუ მოიცავს, რადენად კარგად გამოიყენება ეს მოთხოვნები?			X		ნებართვის გაცემის შემდგომ მონიტორინგისა და კონტროლის შესახებ დებულებები ძალზე სუსტია. ამის სამაგალითოდ საკმარისი იქნება ერთი მაგალითის მოყვანა — გარემოს დაცვის ინსპექცია არ არის დარწმუნებული, შეუძლია, თუ არა მას მოთხოვოს საწარმოების ოპერატორებს გზშ ანგარიშებში დაფიქსირებული ვალდებულებების შესრულება.
			საერთო შეფასება		
საერთო შეფასება: 0-დან 54-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	9/54				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	16.7 %				

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

საქართველოში ამჟამად არსებული გზშ სისტემა არ არის ეფექტური არც საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და არც გადაწყვეტილების მიმღებთათვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების დახმარების თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ ნებართვის გაცემის შემდგომ მონიტორინგსა და კონტროლზე. საქართველოს გზშ-ს მარეგულირებელი კანონმდებლობა არ შეესაბამება არც ორჰუსის კონვენციის და არც ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებს.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, დასაბუთების წარმოდგენის გარეშე, მუდმივად ამტკიცებს, რომ ამჟამად არსებული გზშ კანონმდებლობა შეესაბამება ორჰუსის კონვენციისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებს. ამავე დროს გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და პრაქტიკა აბსოლუტურად საპირისპიროს ცხადყოფს. ყველაზე ხშირად დავა მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებზე. ამჟამინდელი მოწყობით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კანონი ინვესტორს/მეწარმეს აკისრებს ინფორმირებისა და მონაწილეობის ვალდებულებას იმ ეტაპზე, როდესაც გზშ ანგარიში ჯერ კიდევ მზადების პროცესშია (სამინისტროსთვის განცხადებით მიმართვამდე), ანუ გადაწყვეტილების მიღების ოფიციალური პროცედურის დაწყებამდე. სამინისტრო ასევე არ არის ვალდებული შეატყობინოს საზოგადოებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. როგორც ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია აღნიშნავს თავის 2006 წლის სარეკომენდაციო ანგარიშში (ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.commissiemer.nl/ncea/pdfs/adv_scrt/2006-04.pdf), კომისიისთვის უცნობია რომელიმე ქვეყნის მაგალითი, სადაც ინვესტორი ვალდებულია მოაწყოს საჯარო განხილვა, გაითვალისწინოს საზოგადოების შენიშვნები და შეატყობინოს საზოგადოებას შენიშვნების გათვალისწინება/გაუთვალისწინებლობის შესახებ. კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს, როგორც წესი, სახელმწიფო უწყებების ვალდებულებებია.

რეკომენდაცია: სასურველია, ჩატარდეს საქართველოში ამჟამად არსებული გზშ კანონმდებლობისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი შეფასება.

მიზანი 8
ნებართვის გამცემი და მაკონტროლებელი სტრუქტურების გაუმჯობესება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:
ადმინისტრაციული პოტენციალის განმტკიცება, ნებართვების გაცემის, კანონაღსრულებისა და ინსპექტირების მიზნით

შეფასება

კითხვა					
		დიახ		არა	
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		განმარტება
ქულა	3	2	1	0	
ნებართვების გაცემა					
არსებობს, თუ არა ქვეყანაში ნებართვების გაცემის დამაკმაყოფილებელი სისტემა როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით?[1]			X		1990-იანი წლების დასაწყისიდან ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა სხვადასხვა სახის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურების ერთი მარეგულირებელი ჩარჩო-აქტის ქვეშ მოქცევას და გარკვეული საერთო წესების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, გარემოსდაცვითი ნებართვის, ისევე როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში არსებული სხვა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემაც ექვემდებარებოდა ზოგად, მინიმალურ წესებს, მაგრამ ამავე დროს მათი გაცემის დეტალური წესები, მათ შორის, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის პროცედურებიც განისაზღვრებოდა სპეციალური გარემოსდაცვითი კანონებითა და საერთაშორისო კონვენციებით. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2005 წლის 24 ივნისს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" ახალი კანონის მიღებით, რომელმაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროც, ყველანაირი გამონაკლისის გარეშე, საერთო წესების ქვეშ მოაქცია. საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, ყველაზე სავალალო ის არის, რომ კანონი გამორიცხავს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის ყველანაირ შესაძლებლობას იმ საქმიანობებზე ლიცენზიის ან ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. გარდა ამისა, ბევრი საქმიანობა, რომელიც კანონის მიღებამდე რეგულირდებოდა ლიცენზიებისა და ნებართვების საშუალებით, კანონის მიღების შემდეგ აღარ რეგულირდება; ამგვარი ცვლილების დასაბუთება კი, არასდროს ყოფილა წარმოდგენილი (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ასევე მე-7 მიზნის პირველი კითხვის განმარტება). ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით წყალაღება წყლის ობიექტებიდან ასევე აღარ ექვემდებარება რეგულირებას.

არის, თუ არა ნებართვების სისტემა ინტეგრირებული, მაგალითად, არსებობს, თუ არა ერთიანი ინტეგრირებული ნებართვა? რამდენად კარგად არის ინტეგრირებული ნებართვები წყლის, ჰაერის ან დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციისა და კონტროლის ტიპის მოწყობილობებზე?			X		საქართველოში არ არსებობს ინტეგრირებული ნებართვების სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ითავალისწინებს ასეთი სისტემის დანერგვის მოთხოვნას. მაგალითისთვის, 1999 წელს მიღებული "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონი (მე-17 მუხლი) მოითხოვს კანონის მიღებას "გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის შესახებ". "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონი ასევე ადგენდა ამ უკანასკნელის მიღების ვადასაც — 2006 წლის 1 იანვრამდე, თუმცა ამ ვადაში კანონი არ იქნა მიღებული. 2007 წლის დეკემბერში "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" კანონში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები. "გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის შესახებ" კანონის მიღების ვალდებულება ცვლილებების შემდეგ კვლავ უცვლელად დარჩა, თუმცა აღარ არის განსაზღვრული გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული კონტროლის სისტემის დანერგვისა და შესაბამისი კანონის მიღების ვადა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო ინტეგირერებული ნებართვის შემოღების გარკვეული მცდელობა, მაგრამ ეს მცდელობა არ იყო კარგად გათვლილი და თანმიმდევრული. ეს უფრო იყო მთავრობის მიერ მოწოდებული "ერთი სარკმლის" პრინციპის დანერგვის გამოძახილი, რომელიც თავის მხრივ, უნდა მომსახურებოდა ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას.
გამოყოფილია, თუ არა გარემოზე პასუხისმგებელ უწყებაში რესურსები გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის სისტემისთვის?[2]			X		რესურსები გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის სისტემისთვის გამოყოფილია, მაგრამ ეს რესურსები ძალზე შეზღუდულია.
გაიზარდა, თუ არა ნებართვის სისტემისთვის გამოყოფილი რესურსები (ადამიანური და ფინანსური) სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ?				X	არა, არ გაზრდილა. ორივე, ადამიანური და ფინანსური რესურსებიც შემცირდა.
გატარდა, თუDარა ინიციატივები ნებართვის გამცემი ორგანოების შესაძლებლობების გასაძლიერებლად (მაგ., ჩატარდა ტრეინინგი, მომზადდა სახელმძღვანელოები)?			X		იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემ სტუქტურაში მომუშავე მოხელეების ტრეინინგზე მიმართული რაამოდენიმე ინიციატივა. ტრეინინგები, როგორც წესი, სპორადულია და შედეგები არამდგრადი, სახელმწიფო მოხელეთა ხშირი ცვლის გამო.
შესაძლებელია, თუ არა ნებართვის გამცემი ორგანოების ადვილად იდენტიფიცირება და დაკავშირება?	X				დიახ, ნებართვის გამცემი ორგანოების იდენტიფიცირება და დაკავშირება ადვილია.
ითვალისწინებს, თუ არა კანონმდებლობა დროით საზღვრებს ნებართვის გაცემისთვის? თუ ითვალისწინებს, გამოიყენება, თუ არა ის დამაკმაყოფილებლად?		X			ყველა სახის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის ვადებს ადგენს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", მათ შორის ლიცენზიებისა და ნებართვების, რომლებსაც გასცემს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. დამატებით, იხილეთ განმარტება მე-16 კითხვაზე.
მაკონტროლებელი სტრუქტურები					
არსებობს, თუ არა გარემოსდაცვითი ინსპექტირების ორგანო ქვეყანაში?	X				გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია გარემოს დაცვის ინსპექცია.

არის, თუ არა პოლიციაში (ან მსგავს სტრუქტურაში) სპეციალური დანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გარემოსდაცვით საკითხებზე?	X				პოლიციაში ასეთი დანაყოფები არ არის, მაგრამ ყურადსაღებია, რომ თავად გარემოს დაცვის ინსპექცია ასრულებს პოლიციის ფუნქციებს გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში. კანონით, გარემოს დაცვის ინსპექციას აქვს შემდეგი უფლებამოსილებები: **შეადგინოს ადმინისტრაციულ** სამართალდარღვევათა ოქმები, განიხილოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები და სამართალდამრღვევების მიმართ გამოიყენოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები; გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივ-საშტატო იარაღი; განახორციელოს ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა; მოახდინოს ნივთებისა და საგნების დათვალიერება, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების გაჩერება-დათვალიერება, ასევე მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთების შემოწმება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არის ასევე საგამოძიებო დეპარტამენტი (ჩამოყალიბდა 2007 წლის ივლისში), რომელიც უფლებამოსილია გამოიძიოს სისხლის სამართლის დანაშაულები გარემოს დაცვის სფეროში. 2007 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა კანონი გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის ინსპექციისა და საგამოძიებო დეპარტამენტის გაერთიანებას (ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად) და ახალი სტრუქტურის — გარემოს დაცვის სამსახურის — ჩამოყალიბებას სამინისტროს სტრუქტურაში. კანონის ამოქმედება თავდაპირველად გადაიდო 2009 წლის 1 იანვრამდე, მეორედ — 2010 წლის 1 იანვრამდე.
ნათლად არის, თუ არა გაწერილი მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები და გადანაწილებული კომპეტენციები?		X			
აქვს, თუ არა გარემოს დაცვის ინსპექციას გეგმა ან ხომ არ მუშავდება?	X				2007 წელს გარემოს დაცვის ინსპექციამ მიიღო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2007-2010 წლებისთვის. ორივე დოკუმენტი მომზადდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის (**OECD EAP Task Force**) დახმარებით.
ჩატარდა, თუ არა რიამე ინიციატივები, რათა გაძლიერდეს მაკონტროლებელი ორგანოების შესაძლებლობები (მაგ., ჩატარდა ტრენინგები, მომზადდა სახელმძღვანელოები)?		X			იყო და ამჟამადაც მიმდინარეობს გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომელთა ტრეინინგზე მიმართული ინიციატივები, თუმცა ისევე როგორც ნებართვების გამცემი სტრუქტურის შემთხვევაში, ტრეინინგების შედეგები არ არის მდგრადი თანამშრომელთა ხშირი ცვლის გამო. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის დახმარებით გარემოს დაცვის ინსპქციაში ახლახანს დასრულდა ინსექციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასება, რასაც მოკლე ვადაში მოჰყვება კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შემუშავებაც.
არსებობს, თუ არა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატისტიკა აღმოჩენილი გარემოსდაცვითი გადაცდომების რაოდენობაზე? თუ არსებობს, ხდება თუ არა რეგულარულად მისი განახლება?		X			არსებობს სტატისტიკა, მაგრამ ის ძირითადად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში დაფიქსირებულ სამართალდარღვევებს.

ტარდება, თუ არა სტატისტიკიდან მიღებული მონაცემების დეტალური ანალიზი, რათა შესაძლებელი გახდეს აღსრულების ხარისხზე მსჯელობა?				X	არა, არ ტარდება.
გაიზარდა, თუ არა რესურსები (ადამიანური და ფინანსური) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულებისათვის სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ?			X		ადამიანური რესურსების რაოდენობა იზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შესაბამისად იზრდება კვალიფიკაციის დონეც ინსპექციაში.
ქვეყნისთვის დამახასიათებელი კითხვები					
არის, თუ არა კანონმდებლობით დაწესებული ნებართვის გაცემის ვადები ადექვატური გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის?			X		გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ნებართვის შემთხვევაში, ნებართვის გაცემისთვის "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონით დაწესებული ვადა არარელევანტურია (ძალზე შეზღუდულია). მაგალითისთვის, გზშ ანგარიშისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მისაღებად კანონი ითვალისწინებს 20-დღიან ვადას (ამ კანონის მიღებამდე ვადა სამ თვეს შეადგენდა).
საერთო შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 48-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	26/48				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	54.16%				

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

მდგომარეობა გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემ სტრუქტურაში, განსაკუთრებით, რესურსებით (ადამიანური, ფინანსური) უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არ გაუმჯობესებულა და შეიძლება ითქვას, გაუარესდა კიდეც. იგივეს ვერ ვიტყვით მაკონტროლებელ სტრუქტურაზე (გარემოს დაცვის ინსპექცია), სადაც შეიმჩნევა წინსვლა, თუმცა აქაც რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი ასევე პრობლემურია.

რა თქმა უნდა, სასურველია, გაგრძელდეს ნებართვების გაცემასა და კანონაღსრულებაში ჩართულ სახელმწიფო მოხელეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, მაგრამ ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად სასარგებლოა მათი ტრეინინგი ისეთ პირობებში, როდესაც მათ გააჩნიათ შეზღუდული რესურსები და უფლებამოსილებები. მნიშვნელოვანია ასევე, რომ შეიცვალოს კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ამჟამად არსებული მიდგომები; მიდგომა უნდა იყოს უფრო სტრუქტურირებული, ემყარებოდეს რეალურ საჭიროებებს და საქმიანობის გაუმჯობესების მოტივაციაზე ნათელ წარმოდგენას.

ამ სფეროში, გადაუდებლად აუცილებელია "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის ეფექტურობის შეფასება და შესაბამისი ცვლილებების მომზადება.

[1] კითხვა განხილულია და ქულა მინიჭებულია გარემოს დაცვის სექტორში არსებული სანებართვო სისტემის კონტექსტში

[2] შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა რესურსებით უზრუნველყოფის ხარისხი, მაგალითად, არანაირი რესურსი, შეზღუდული რესურსები, მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეები და ა.შ.

მიზანი 9
საზოგადოების ინფორმირების და მონაწილეობის გაუმჯობესება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

ისეთი კანონმდებლობის და პროცედურების შემუშავება, რომლებიც გარემოსდაცვით ინფორმაციას უფრო ხელმისაწვდომს გახდიან და უზრუნველყოფენ გარემოსდაცვით
საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობას, "ორჰუსის კონვენციის" განხორციელების ჩათვლით;

შეფასება

კითხვა	დიახ, საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი	არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	
ზოგადი					
რატიფიცირებული აქვს, თუ არა ქვეყანას კონვენცია?	X				
მიღებულია, თუ არა შესაბამისი ნორმატივები რათა მომხდარიყო ორჰუსის კონვენციის ტრანსპოზიცია?				X	მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ მომზადდა კანონპროექტი ორჰუსის კონვენციის პრინციპებზე დაყრდნობით, და ამ პრინციპების დანერგვის მიზნით, მას შემდგომი განვითარება არ ჰქონია.
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა					
არსებობს, თუ არა სათანადო ადმინისტრაციული სისტემები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის დროული დაკმაყოფილება?		X			საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. თუმცა, პრაქტიკაში არის გარკვეული ხარვეზები.
არსებობს, თუ არა სათანადო სახელმძღვანელო პრინციპები საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებული ინფორმაციის და ამ ინფორმაციის მოთხოვნის წესების შესახებ?		X			საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წესები განსაზღვრულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. თუმცა, არ არის დადგენილი რა სახის საჯარო ინფორმაციას უნდა ფლობდეს ესა თუ ის საჯარო დაწესებულება.
არსებობს, თუ არა ქვეყანაში კარგად ფუნქციონირებადი არხები გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელებისათვის (მაგ. კანონების, პრეცენდენტული კანონმდებლობის, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების)?			X		კანონები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემა "საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, პრეცენდენტული კანონმდებლობის ან რაიმე სახის გარემოსდაცვითი ინფორმაციის გამოქვეყნება არ ხდება. წელიწადში ერთხელ, გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა გამოაქვეყნოს ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, თუმცა ბოლო ანგარიში, რომელიც მომზადების პროცესშია 2005 წლით თარიღდება.
არის, თუ არა ინფორმაცია უფსო ან იაფი?		X			ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური ინფორმაციის გაცემისათვის გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. თუმცა, მთელ რიგ საჯარო დაწესებულებებს გააჩნიათ პრობლემები ასლის გადაღების მოსაკრებლის ამოღების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.
არსებობს, თუ არა უსაფრთხო მონაცემთა მართვის სისტემა რათა მოხდეს პერსონალური მონაცემების & კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის დაცვა?		X			პერსონალური ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მართვის საკითხები განსაზღვრულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში. თუმცა, არის გარკვეული ხარვეზები პერსონალური ინფორმაციის დაცულობის და ინფორმაციის გასაიდუმლოების წესების ბუნდოვანების თვალსაზრისით.

არსებობს, თუ არა ხელისოფლების ორგანოებისათვის ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები თუ როგორ უნდა მოხდეს კომერციული საიდუმლოების მოთხოვნების გამოყენება, მათ შორის გამოქვეყნება საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით?			X		ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესს. გარდა ამისა, 42-ე მუხლის თანახმად, გარემოს შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება.
საზოგადოების მონაწილეობა					
არსებობს, თუ არა ქვეყანაში საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები, მაგ, არის თუ არა გაწერილი პროცედურები წერილობით შენიშვნების მიღების, საზგადოებრივი მოსმენების და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირების შესახებ?				X	არ არსებობს გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმი. ასევე არ ხდება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.
არსებობს, თუ არა ინსტრუმენტები მონაწილეობის უფლების მქონე საზოგადოების იდენტიფიცირებისათვის? კერძოდ, თუ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, გულისხმობს თუ არა ის საზოგადოების მონაწილეობას?				X	გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. თუმცა, საზოგადოებასთან კონსულტაციებს აწარმოებს არა უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, არამედ საქმიანობის განმახორციელებელი, რაც ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობად.
თუ კი, რამდენად კარგად არიან მოქალაქეები ინფორმირებულნი ამ პროცედურების შესახებ?				X	
ხდება, თუ არა საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის შედეგების მხედველობაში მიღება სათანადო დონეზე? მაგ, აქვს, თუ არა საზოგადოებიდან წამოსულ შენიშვნებს ხელშესახები ზეგავლენა მიღებული გადაწყვეტილების შინაარსზე?				X	საზოგადოების მონაწილეობის არსებული მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების პროცესში საზოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების პროცესზე საზოგადოების აზრის გავლენას.
არსებობს, თუ არა გარკვეული სტიმულები რომლებიც უზრუნველყოფს მონაწილეების დიალოგში ჩართვას ადრეულ სტადიაზე, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის ფარგლებში?				X	
მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა					
გააჩნია, თუ არა ქვეყანას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ორგანოები, მათ შორის სასამართლო?				X	
არსებობს, თუ არა ნათლად ჩამოყალიბებული წესები ინდივიდებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მართლმსაჯულების და სხვა ტიპის განხილვისადმი ხელმისაწვდომობის შესახებ, კონვენციის და/ან ეროვნული გარემოსდაცვითი კანონის დარღვევის შემთხვევაში?			X		ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის ან ინფორმაციის უკანონოდ გასაიდუმლოების გასაჩივრების წესები. ასევე, გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრება. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული გასაჩივრების წესები სპეციფიური გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ან ორჰუსის კონვენციის დარღვევის შემთხვევაში.

არსებობს, თუ არა საშუალებები გარემოსათვის საშიში გადაწყვეტილების შესრულების შეჩერებისათვის, (მაგ., წინასწარი აღმკვეთი სასამართლო გადაწყვეტილება, როდესაც გადაწყვეტილება საჩივრდება)?				X	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, და ასევე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის თანახმად თანახმად, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). თუმცა, არ არის ნათელი რა ზომები იქნება მიღებული სხვა სახის ქმედებების გასაჩივრების შემთხვეაში, რომლებიც ადმინისტრაციული აქტის გამოცემას არ ითვალისწინებს.
არსებობს, თუ არა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებას ინფორმაციით მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროცედურების შესახებ?				X	
არსებობს, თუ არა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების დახმარებას სასამართლო პროცესებში (მაგ., ფინანსური დახმარება ადვოკატის ხარჯების ასანაზღაურებლად საჭიროების შემთხვევაში)?				X	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რაიმე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის. ადვოკატის ან სხვა ხარჯებს ადმინისტრაციული ორგანო ანაზღაურებს მხოლოდ საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში. სასამართლო პროცესის შემთხვევაში ბაჟის გადახდა სარჩელის დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ბაჟის ოდენობას, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საკმაოდ მაღალია.
არსებობს, თუ არა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი დროის ლიმიტი სარჩელის შეტანიდან სასამართლოს/პასუხისმგებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე? თუ არა, მისაღებია თუ არა პროცედურის პრაქტიკაში არსებული საშუალო ხანგრძლივობა?			X		მიუხედავად იმისა, რომ კანონით დადგენილია სასამართლო განხილვის ვადები, სასამართლოში საქმის განხილვის ვადები შეიძლება გაგრძელდეს 8-10 და 18 თვეც კი.
ქვეყნისთვის დამახასიათებელი კითხვები					
მოეთხოვებათ, თუ არა საჯარო დაწესებულებებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის შეგროვება და განახლება?				X	დღესდღეობით, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი ინფორმაცია არსებული გარემოს მდგომარეობის შესახებ არ არსებობს.
არსებობს, თუ არა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, თუ რა სახის და მოცულობის გარემოსდაცვით ინფორმაციას ფლობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო?				X	
რამდენად, გამართულად მუშაობს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ამოღების სისტემა?			X		მიუხედავად იმისა, რომ კანონით განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდის წესი და ადგილი, პრაქტიკაში საჯარო დაწესებულებების მნიშვნელოვან ნაწილს სერიოზული პრობლემა ექმნება მოსაკრებლის ამოღების თვალსაზრისით. კერძოდ, ბევრ საჯარო დაწესებულებას არ გააჩნია სალაროს სისტემა და ვერ ახდენს მოსაკრებლის ამოღებას. გარდა ამისა, პრობლემურია მოსაკრებლის გადახდა სხვა რაიონში ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

მოეთხოვებათ, თუ არა საჯარო დაწესებულებებს ანგარიშგება მიღებული მოთხოვნების, მათზე გაცემული უარყოფითი პასუხების და მათი მიზეზების შესახებ?			X		ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველწლიურად წარუდგინოს პრეზიდენტს და პარლამენტს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. პრაქტიკაში საჯრო დაწესებულებების დიდი ნაწილი ასეთ ანგარიშს არ ამზადებს.
შესაძლებელია, თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საჩივრის წარდგენა პირდაპირ სასამართლოში, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გარეშე?				X	ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, არ დაიშვება სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საჩივრის წარდგენა თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის ერთჯერადი შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკა არ არის საკმარისად ქმედითი, ამ ცვლილებამ დამატებითი ბარიერი შეიქმნა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.
ზოგადი შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 72-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	17				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	23.6%				

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

ორჰუსის კონვენციის სამი კომპონენტიდან, საქართველოში ყველაზე კარგად უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომპონენტი. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და განსაზღვრავს მისი მოთხოვნის წესებს.. თუმცა, პრაქტიკაში არსებობს გარკვეული ხარვეზები. კერძოდ: ხშირად ინფორმაცია გაიცემა დაგვიანებით; არ არსებობს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი სპეცალური პერსონალი; არ არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხი; ცალკეულ შემთხვევებში, იქმნება პრობლემები პერსონალური ინფორმაციის დაცვის და ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხებთან დაკავშირებით; არ არსებობს საიდუმლო ინფორმაციის დამუშავების და გასაიდუმლოებული ნაწილის გამოცალკევების პრაქტიკა. ასევე, არ არის განსაზღვრული თუ რა სახის ინფორმაციას უნდა ფლობდეს ესა თუ ის საჯარო დაწესებულება.
პრაქტიკულად არ არის უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პროცედურები. საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის არსებული მექანიზმის მიხედვით, საზოგადოებასთან კონსულტაციებს აწარმოებს არა თავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, არამედ, საქმიანობის განმახორციელებელი. რაც ნიშნავს იმას რომ, ფაქტობრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ხორციელდება.. ასევე, არ ხდება საზოგადოების ინფორმირება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

პრობლემურია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხები. არ არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული წესები, საზოგადოების წარმომადგენლების და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში. ასევე არ არის მექანიზმი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროცედურების შესახებ საზოგადობის ინფორმირებისათვის. ხშირია სასამართლო პროცესების ვადების დარღვევის შემთხვევები.

მიზანი 10
გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

გაგრძელდეს გარემოს მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
განხორციელება					
მომზადდა, თუ არა გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიში სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ ან მიმდინარეობს, თუ არა მასზე მუშაობა?				X	გარემოს მდგომარეობის შესახებ ბოლო ანგარიში მომზადდა 2005 წელს. არ არის ნათელი როდის მომზადდება მომდევნო ანაგარიში. დღემდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და პრეზიდენტის აქტებით დამტკიცდა 2001-2005 წლების ყოველწლიური ანგარიშები.
არსებობს, თუ არა მსგავსი ანგარიშის მომზადების სამართლებრივი მოთხოვნა?			X		"გარემოს დაცვის შესახებ" კანონი (1996 წ.) ავალდებულებდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ყოველწლიურად გამოეცა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებები. 2007 წლის 14 დეკემბერს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმად, სამინისტრო ვალდებულია მოამზადოს მოხსენება სამ წელიწადში ერთხელ. ამასთან, კანონიდან გაუგებარი რჩება, კონკრეტულად როდის უნდა მომზადდეს მომდევნო მოხსენება (ბოლო, როგორც აღვნიშნეთ მომზადდა 2005 წელს) და გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. კანონში შეტანილი ცვლილება განმარტებით ბარათში დასაბუთდა იმით, რომ მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილი იყო და ამის გამო, სამინისტრომ გაზარდა მოხსენებების მომზადების ვადა. ნათქვამთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილების ფონზე სამინისტროს არ გაუწევია ძალისხმევა და არც გეგმავს რაიმეს გარემოსდაცვითი მონაცემების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
პროცესი					
ჩატარდა თუ არა კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ანგარიშის მომზადებისას?				X	არასამთავრობო ორგანიზაციები არასდროს ყოფილან ჩართული 2001-2005 წლების ანგარიშების მომზადებაში.
ჩართული იყო, თუ არა სამეცნიერო/ აკადემიური წრეები პროცესში?				X	2005 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით გაუქმდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებული გარემოს დაცვის ინსტიტუტი — ინსტიტუტი, რომელიც კოორდინაციას უწევდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებების მომზადების პროცესს. 2005 წლის დეკემბერიდან მოხსენებების მომზადების ვალდებულება დაეკისრა სამინისტროს ახლადჩამოყალიბებულ მდგრადი განვითარების დეპარტამენტს. სამინისტრო ამჟამად გეგმავს დეპარტამენტის რეორგანიზაციას.

შინაარსი					
მოიცავს, თუ არა ანგარიში ყველაზე მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებს ქვეყანაში?			X		1999 წელს მიღებული კანონქვემდებარე აქტი "გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადების წესების შესახებ" განსაზღვრავს მოხსენების სტრუქტურას და იმ ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს მოხსენებაში. კერძოდ, მოხსენება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს ხარისხის, ეროვნული ეკონომიკის გარემოზე ზეგავლენის და გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვის შესახებ, ასევე პროგნოზსა და რეკომენდაციებს მომავალი ქმედებების შესახებ. პრაქტიკაში, ეროვნული მოხსენებები ძალზე აღწერითი ხასიათისაა და ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, თუ რა გაკეთდა ამა თუ იმ უწყების მიერ და არაფერია აღნიშნული იმაზე, თუ რა ზეგავლენა ჰქონდა ამ ქმედებებს გარემოს ხარისხზე (გაუმჯობესდა, თუ არა გარემოს ხარისხი). მოხსენებებში არ არის მოცემული გარემოს ხარისხის ინდიკატორები; როგორც წესი, არ არის გამოკვეთილი პრობლემები; წარმოდგენილია დაბინძურების მონაცემები, თუმცა არ არის ახსნილი, უქმნის, თუ არა არსებული დაბინძურება საშიშროებას ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.
ეფუძნება, თუ არა ანგარიში მიმდინარე მონაცემებს?				X	სუსტი მონიტორინგისა და კანონაღასრულების გამო, მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სანდო, განსაკუთრებით სამრეწველო დაბინძურების შესახებ.
ხდება, თუ არა ანგარიშში მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც უნდა გადაიჭრას?			X		იხ. განმარტება მე-5 კითხვაზე.
გავრცელება					
აქვს, თუ არა ანგარიშს მკაფიო და გასაგები მოკლე შინაარსი?				X	ანგარიშებს არ ჰქონიათ მკაფიო და გასაგები მოკლე შინაარსი.
ხელმისაწვდომია, თუ არა ანგარიში ინტერნეტით?			X		არც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და არც საქართველოს მთავრობას არასდროს გაუხდია მოხსნებები ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. 2007 წელს მოხსენებები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა პროექტის "ორჰუსის ცენტრი საქართველოში" ვებ-გვერდზე; პროექტი ხორციელდება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქართველოს მისიის (OSCE Mission to Georgia) მიერ.
ავრცელებს, თუ არა მთავრობა ანგარიშს ფართოდ პრესაში, სკოლებში და სხვა ჯგუფებში?				X	საზოგადოების ინფორმირება ეროვნული მოხსენების საშუალებით სავალდებულოა კანონით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოხსენებები არასდროს გამოქვეყნებულა ოფიციალურად და არ ყოფილა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის (არც ნაბეჭდი და არც ელექტრონული სახით). საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნორმატიული აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ეროვნული მოხსენებების შემთხვევაში, ბეჭდვით ორგანოში ქვეყნდებოდა მხოლოდ ის აქტები, რომლებითაც დამტკიცდა მოხსენებები, მაგრამ არა თავად მოხსენებები.

		საერთო შეფასება	
საერთო შეფასება: 0-დან 30-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	4/30		
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	13.3%		

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

დღემდე მომზადებულ (2001-2005 წ.წ.) გარემოს მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ეროვნულ მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი ძალზე დაბალია; ინფორმაცია, როგორც წესი, არასრულია და ანალიზი ძალზე შეზღუდული. არსებული სიტუაციის გამოსწორება, რა თქმა უნდა, დიდწილადაა დამოკიდებული გარემოს მდგომარეობის ხარისხის მონიტორინგისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესებასთან, მაგრამ ვინაიდან ეს ხანგრძლივი პროცესია, სავარაუდოა, რომ მოხსენების სამ წელიწადში ერთხელ მომზადების შემთხვევაშიც კი, ინფორმაციის ხარისხთან დაკავშირებული მდგომარეობა მკვეთრად ვერ გაუმჯობესდება.

მოკლევადიან პერსპექტივაში სიტუაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ გზად შესაძლებელია განხილულ იქნეს თავად მოხსენების შედგენის პრაქტიკის გაუმჯობესება. ამაში, სტრუქტურისა და ანალიზის ხარისხის გაუმჯობესებასთან და მოხსენებების მომზადებისას საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარებასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოხსენებებში გარემოს ხარისხთან დაკავშირებული ვითარების პირუთვნელად წარმოჩენა იმ საინფორმაციო ნაკლოვანებებზე ხაზგასმით, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მკითხველს ნათელი წარმოდგენა უნდა შეუქმნას მოხსენებებში წარმოდგენილი ინფორმაციის სრულყოფილებისა და სანდოობის ხარისხზე.

სასურველია, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის სტრუქტურებს) გაეწიოს მეთოდური დახმარება მოხსენების შედგენაში, მათ შორის, საერთაშორისო გამოცდილების (კარგი პრაქტიკის) გაზიარების გზით. ამასთან, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსგავსი პრობლემატიკის გამოვლენის შემთხვევაში, კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა და/ან "ორჰუსის ცენტრებმა" სამივე ქვეყანაში, შესაძლოა, სასარგებლო როლი ითამაშონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენებების შედგენის პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

მიზანი 11

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების სუბიექტების მხარდაჭერა.

შეფასება

კითხვა					
		დიახ,			
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი	არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	
სამოქალაქო საზოგადოების როლი					
არსებობენ, თუ არა ქვეყანაში აქტიური გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ან არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელები, რომლებიც მუშაობენ გარემოსდაცვით საკითხებზე?		X			გარემოსდაცვითი სექტორი საკმაოდ სუსტადაა განვითარებული ქვეყანაში.
არსებობს, თუ არა კანონით განსაზღვრული, სავალდებულო პროცედურები, რომლებიც მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში?				X	"გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" კანონი, რომლის მოქმედებაც შეწყდა 2005 წელს "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ, ითვალისწინებდა საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის გარკვეულ პროცედურებს, დღეს არსებული კანონმდებლობით არ არის გაწერილი სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
არიან, თუ არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პრაქტიკაში, ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?			X		არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით და ზეწოლის შედეგად გარკვეულ შემთხვევებში ხდება სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
არიან, თუ არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პრაქტიკაში, ჩართულნი ეროვნულ დონეზე პოლიტიკის განვითარებაში?			X		არ არსებობს მონაწილეობის კონკრეტული მექანიზმი, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, ადგილი აქვს სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ეროვნულ დონეზე პოლიტიკის განვითარებას, ხოლო თუ პოლიტიკის შემუშავება მიმდინარეობს დონორი ორგანიზაციიების მიერ, ხდება მათი შიდა პოლიტიკის გამოყენება საზოგადოებრივი ორგანიზავიების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
არიან, თუ არა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პრაქტიკაში, ჩართულნი ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას?			X		იგივე
ხდება, თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან (ფინანსურად ან სხვანაირად)?				X	
თუ კი, გაიზარდა თუ არა დახმარება წინა შეფასების შემდეგ?					არ არის რელევანტური საქართველოსთვის
ადგილობრივი ხელისუფლების როლი					
არის, თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება რეგულარულ კონტაქტში სამოქალაქო საზოგადოებასთან?			X		ამგვარ კონტაქტებს ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეული პროექტების ფარგლებში, რომელთაც არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ.

თავისუფლად აწვდის, თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება ინფორმაციას სამოქალაქო სექტორს?			X		
კომუნიკაციის სტრატეგია და სხვა ინსტრუმენტები					
იყო, თუ არა ქვეყნაში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიები გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში? თუ კი უკვე არსებობდა იმ დროისათვის, როდესაც საბაზისო შეფასება განხორციელდა, მოხდა თუ არა მათი გაუმჯობესება?				X	
შემუშავდა და სრულდება, თუ არა ცნობიერების ამაღლების პროგრამები რომელთა სამიზნეს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება (მათ შორის საინფორმაციო კამპანიები)?				X	
ხდებოდა, თუ არა ქევყანაში გარემოსდაცვითი განათლების ინიცირება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ?			X		ცალკეული, ფრაგმენტული ღონისძიებები ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით.
დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეხმარება, თუ არა მათ ამაში ხელისუფლება?				X	
შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 36-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	8				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	21.2%	%			

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრაქტიკულად არ არის უზრუნველყოფილი. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პროცედურები. თუმცა, საზოგადოებასთან კონსულტაციებს აწარმოებს არა თავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, არამედ, საქმიანობის განმახორციელებელი, რაც ვერ ჩაითვლება გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის პროცედურად.

სუსტია არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. ასევე სუსტია კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ცალკეული კონტაქტები ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ცალკეული პროგრამები. თუმცა, ასეთი ინიციატივების რიცხვი მცირეა.

იმისათვის, რათა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების სექტორის როლის გაზრდა, აუცილებელია ადექვატური სამართლებრივი პროცედურების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას. ასევე, აუცილებელია ფართო საზოგადოების შესაძლებლობათა გაძლიერება. ამისათვის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ამაღლებისაკენ მიმართული პროგრამები უნდა იყოს უფრო კოორდინირებული და შედეგზე ორიენტირებული.

მიზანი 12

თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

- აქტიური მონაწილეობა "დუნაი - შავი ზღვის სპეციალური ჯგუფის" და "შავი ზღვის კომისიის" ფარგლებში, რათა განხორციელდეს ტრანსსასაზღვრო მიდგომა წყლის მართვის სფეროში; აქტიური მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა ,ევროკავშირის წყლის ინიციატივის" შემადგენელ "აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის" კომპონენტში;
- მეზობელ ქვეყნებთან ერთად რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობების განსაზღვრა, განსაკუთრებით წყალთან დაკავშირებულ საკითხებში.

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
არსებული და მომავალი თანამშრომლობა					
არსებობს, თუ არა ყველა სტრუქტურა, რომელთა შექმნასაც ითვალისწინებენ ხელშეკრულებები (მაგ., შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია და მისი ოქმები)?		X			საქართველო მხარეა შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის და მისი ოქმების: • სახმელეთო წყაროებიდან მომდინარე დაბინძურებისგან შავი ზღვის სივრცის დაცვის შესახებ; • საგანგებო სიტუაციებში შავი ზღვის სივრცის ნავთობითა და სხვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; • შავი ზღვის სივრცის დამპინგით დაბინძურებისგან დაცვის შესახებ საქართველოს ჰყავს მუდმივი წარმომადგენლები შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის კომისიასა და შავი ზღვის კონვენციის საკონსულტაციო ჯგუფში. კონვენციით გათვალისწინებულ შავი ზღვის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის (1999 წ) ფარგლებში შექმნილია: სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის სახელმწიფო საკონსულტაციო კომისია (1998) და ს.ზ.ი.მ. სამუშაო ჯგუფი. არსებობს ასევე, შავი ზღვის დაცვის კონვნეციური ინსპექცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის ტერიტორიულ ორგანოს. შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით შქმნილი ბიომრავალფეროვნების რეგიონული ცენტრი, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. საქართველო ასევე არის „ნარჩენების გადაყრით ზღვის დაბინძურებისა და სხვა საკითხების შესახებ" 1972 წლის კონვენციის 1996 წლის 7 ნოემბრის ლონდონის ოქმის და მარპოლის კონვენციის წევრი მხარე. ამ ორი უკანაკნელი კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებათა აღსრულება ხორციელდება შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის ფარგლებში. 2001 წელს საქართველომ მოახდინა „შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ" შეთანხმების რატიფიცირება. შეთანხმების ე.წ. „საკონტაქტო ორგანოა" (**Focal Point**) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, კერძოდ, სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური. 2003 წელს საქართველო გახდა „წყლის გლობალური პარტნიორობის" (**Global Water Partnership, GWP**) წევრი. ამავე წელს საქართველო გაერთიანდა რეგიონულ ორგანიზაციაში **GWP CACENA**, რომელიც მოიცავს ამიერკავკასიის სამ და შუა აზიის ხუთ სახელმწიფოს. 2007 წელს შეიქმნა ადგილობრივი ორგანიზაცია „წყლის გლობალური პარტნიორობა - საქართველო" (**GWP-Georgia**), რომელმაც თავის რიგებში გააერთიანა 24 პარტნიორი (სახელმწიფო სტრუქტურები, სამეცნიერო და სამეწარმეო წრეები და არასამთავრობო ორგანიზაციები).

რამდენად გამართულად და ეფექტიანად მოქმედებენ ეს სტრუქტურები (შეხვედრების სიხშირე, მიიღება, თუ არა გადაწყვეტილებები და სხვ.)		X			საქართველო სისტემატურად მონაწილეობს შეხვედრებში, რომლებსაც ითვალისწინებს შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენცია (ხელმოწერის დღიდან წელიწადში ორჯერ, 2008 წლიდან წელიწადში ერთხელ), ასევე შეთანხმება მცირე ვეშაპისებრთა დაცვის თაობაზე. საქართველოს მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინება შავი ზღვის კომისიას. GWP-ის, GWP CACENA და GWP-საქართველოს ფარგლებში, GWP-ის დაფინანსებით, სისტემატურად იმართება შეხვედრები და სემინარები ადგილობრივ (4-5 წელიწადში), რეგიონულ (4—5 წელიწადში) და საერთაშორისო (სულ ცოტა 1 შეხვედრა წელიწადში) დონეებზე. საქართველომ მონაწილეობა მიიღო GWP 2009—2013 საქმიანობის სტრატეგიის შემუშავებაში. 2003 წლიდან დღემდე გამოიცა მთელი რიგი პუბლიკაციები, ითარგმნა ევროგაერთიანების დირექტივები, გაანალიზდა და სამთავრობო სტრუქტურებში წარდგენილ იქნა შენიშვნები და წინადადებები მთელ რიგ სტრატეგიულ და საკანონმდებლო დოკუმენტებზე.
რამდენად რეგულარულად და ეფექტიანად ხდება ინფორმაციის მიმოცვლა ხელშეკრულებების საფუძველზე?			X		ინფორმაციის გაცვლა ხდება შესაძლებლობის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის კომისიის მიერ გამოქვეყნებული შავი ზღვის დაცვისა და რეაბილიტაციის 1996—2001 წ.წ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ანგარიშის თანახმად, საქართველოდან წარმოდგენილი ინფორმაცია ერთ-ერთი ყველაზე მწირია და ხშირ შემთხვევაში, საქართველოს მხარე არ რეაგირებს შავი ზღვის კომისიის მიერ კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნაზე. GWP-ის ფარგლებში ინფორმაციის სისტემატური მიმოცვლა წარმოებს GWP CACENA-ს რეგიონალური ოფისის, კერძოდ, ურთიერთობათა წარმმართველის (officer) მეშვეობით. დამატებით იხილეთ, ასევე კითხვარის დასასრულს წარმოდგენილი ინფორმაცია.
მიმდინარეობს, თუ არა კონვენციით დადგენილი სახდელების გადახდა?		X			საქართველომ 2003—2004 წ.წ. ვერ უზრუნველყო კონვენციით დადგენილი სახდელების გადახდა, თუმცა ამჟამად, წლიური სახდელების სისტემატურ გადახდასთან ერთად, ხდება არსებული ვალის გასტუმრება.
იდგმება, თუ არა ნაბიჯები საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა განსახორციელებლად ეროვნულ დონეზე?			X		შავი ზღვის სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში შემუშავდა: • კანონპროექტი „სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ“ (2005); • სახელმძღვანელო მითითებები სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის შესახებ (2006); • საქართველოში სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის კონცეფციის შემუშავების სტრატეგიული მიმართულებები; • ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა; • სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია საქართველოსთვის. სამწუხაროდ, არცერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ არის დღემდე დამტკიცებული, ამდენად ოფიციალური სტატუსი მათ არ გააჩნიათ. შავი ზღვის კომისიის ზემოხსენებული ანგარიშის თანახმად, შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის მონაწილე მხარეთა შორის, ყველაზე ნაკლები ცვლილებები შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის აღსრულების მიმართულებით შეიჩნევა საქართველოში. 1997—1998 წ.წ. ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებული პროექტის „შავი ზღვის მცირე ვეშაპისებრებზე ადამიანთა ზეგავლენის შესწავლა და მათი კონსერვაციის შესაბამის ღონისძიებათა შემუშავება“ ფარგლებში ჩამოყალიბდა მცირე ვეშაპისებრთა მონიტორინგის ქსელი, რომელმაც დააფიქსირა დელფინების სიკვდილიანობის 39 შემთხვევა. ამჟამად მონიტორინგის ქსელი არ ფუნქციონირებს, თუმცა არის მისი აღდგენის შესაძლებლობა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელსაც გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები გრიგოლეთში. დამატებით იხილეთ პასუხი მე-13 კითხვაზე.

დაგეგმილია, თუ არა თანამშრომლობის ხელშეკრულებათა გაფორმება მეზობელ ქვეყნებთან?		X			საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი შეთანხმებები უკრაინასთან (1993 წ.) აზერბაიჯანთან (1997 წ.), სომხეთთან (1997 წ.) და თურქეთთან (1997 წ.) გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ასევე ორმხრივი შეთანხმება უკრაინასთან (1996 წ.) თევზის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აზერბაიჯანის მთავრობასთან, რათა ჰელსინკის კონვენციის სამდივნოს დაფინანსებით შესწავლილ იქნეს საქართველოში არსებული მდგომარეობა და მისი შესაძლებლობები ჰელსინკის კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების შესაძლებლობათა ასპექტში, რის შემდეგაც დაგეგმილია ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება აზერბაიჯანთან, რომელიც წარმოადგენს ამ კონვენციის მხარეს და დაინტერესებულია მეზობელი ქვეყნების ამ კონვენციასთან მიერთებით.
თუ დაგეგმილია, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს ეს პროცესი?			X		ხელშეკრულების გაფორმება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეფასდება საქართველოს შესაძლებლობები და რა კომპრომისებზე და რა ვადით დათანხმდება აზერბაიჯანი.
არაფორმალური თანამშრომლობა					
ჩატარდა, **თუ არა შეხვედრები** ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე ტრანსსასაზღვრო/ რეგიონულ საკითხებზე?			X		გარკვეულ შეხვედრებს აქვს ადგილი, თუმცა მათი აბსოლუტური უმრავლესობა იმართება წყლის საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. დამატებით იხილეთ, ასევე კითხვარის დასასრულს წარმოდგენილი ინფორმაცია.
მიმდინარეობს, თუ არა ინფორმაციის მიმოცვლა ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეზე?		X			ინფორმაციის მიმოცვლა ასევე მიმდინარეობს რეგიონული პროექტების ფარგლებში, რომელთა შედეგადაც ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკაში საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი შექმნილია შესაბამისი ვებ-გვერდები. კერძოდ: საქართველოში www.hydromet.ge - წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების მონიტორინგის მონაცემთა ბაზა და www.kura-araks-natosfp.org - წყლის ხარისხის მონაცემთა ბაზა.
გაკეთდა, თუ არა თანმიმდევრული პოლიტიკური განცხადებები რეგიონული თანამშრომლობის თაობაზე?			X		საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო და ორმხრივი ხელშეკრულებები მეზობელ ქვეყნებთან და პოლიტიკური განცხადებები მეტყველებენ მის მზადყოფნაზე ითანამშრომლონ რეგიონალურ დონეზე ყველა დაინტერესებულ მხარესთან. დამატებით იხილეთ, ასევე კითხვარის დასასრულს წარმოდგენილი ინფორმაცია.
ხორციელდება, თუ არა რეგიონული პროექტები, რომლებიც მოიცავენ თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნების დაინტერესებული მხარეების ერთობლივ საქმიანობას?			X		საქართველოში წყლის რესურსების მართვის საკითხებზე 2000—2008 წლებში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (WB, USAID, DAI, TACIS, NATO, UNDP/GEF, UNDP/Sida, ევროკომისია, ფინეთის მთავრობა) დაფინანსდა მთელი რიგი პროექტებისა, რომელთა ფარგლებში, გარდა საქართველოს მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავებისა, წყლის ხარისხის დამდგენი თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა სამი ლაბორატორია თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, აღდგენა—რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 ჰიდროსადგურს, შეიქმნა საინფორმაციო ბაზები შესაბამისი ვებსაიტებით, განხორციელდა ან განხორციელების სტადიაშია წყლის ხარისხის მონიტორინგის და სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის საპილოტო პროექტები და სხვ. დამატებით იხილეთ, ასევე კითხვარის დასასრულს წარმოდგენილი ინფორმაცია.

ადგილი აქვს, თუ არა რეგულარულ კონტაქტს რეგიონულ/ადგილობრივ ადმინისტრაციებსა ან სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით?				X	კონტაქტები ძირითადად ხორციელდება მიმდინარე საერთაშორისო და რეგიონული პროექტების ფარგლებში. დამატებით იხილეთ, ასევე კითხვარის დასასრულს წარმოდგენილი ინფორმაცია.
ქვეყნისთვის დამახასიათებელი კითხვები					
რა ძირითადი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა აღასრულების მიზნით?			X		2003 წლიდან, ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის შემდგომ, საქართველომ ძირითადი ორიენტაცია აიღო ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებასა და შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობაზე, რამაც მნიშვნელოვან დადებით ეფექტთან ერთად საგრძნობი დაღი დაასვა სხვა სფეროებს, მათ შორის, გარემოს დაცვას. უკანასკნელი წლების მანძილზე შეიმჩნევა გარკვეული უკანსვლა ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ვალდებულებათა აღსრულების თვალსაზრისით, რასაც განაპირობებს: • გარემოსდაცვითი სფეროს ამოღება პრიორიტეტული მიმართულებებიდან, როგორც რეალური, ასევე ფორმალური თვალსაზრისით; • მაღალი დონის ოფიციალური პირების მხრიდან, გარკვეულ შემთხვევებში, გარემოსდაცვითი საკითხების იგნორირება სამეწარმეო საქმიანობის ინტენსიფიკაციის სასარგებლოდ; • გარემოს დაცვის სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ეკონომიკის სამინისტროს შესამჩნევი ზეწოლით და სრული გაუმჭვირვალობის პირობებში; • გარემოს დაცვის სფეროს არადამაკმაყოფილებელი დაფინანსება; • გარემოსდაცვითი სახელმწიფო ორგანოების პერმანენტული და ხშირ შემთხვევაში, გაუმართლებელი რეფორმები და სტრუქტურული ცვლილებები; • გარემოს დაცვის სფეროში დასაქმებული რიგითი საჯარო მოხელეების დაბალი ხელფასები (მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან ხელფასები 4-5 ჯერ გაიზარდა, საერთო ინფლაციური პროცესების ფონზე, ხელფასის მოცულობა მცირედ აღემატება საცხოვრებელ მინიმუმს); • გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობის ხშირი ცვლა და სამინისტროს კვალიფიციური კადრების გაუმართლებელი გათავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან, რაც განაპირობებს მათ პასიურობას არასწორი გადაწყვეტილებების მიღებისას და ხელს უშლის მათი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას.
საერთო შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან **39-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)**	17 /39				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	43.5 %				

კომენტარები, განმარტებები, რეკომენდაციები ზოგადი შეფასებისთვის:

საქართველო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების თვალსაზრისით, თუმცა ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- არ არის შემუშავებული მდინარეთა სააუზო მართვაზე გადასვლის სტრატეგია, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი შეტანილი იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების პრიორიტეტულ მიმართულებებში 2008—2011 წლებისთვის;
- არ არის შექმნილი საქართველოს წყლის რესურსების სრულფასოვანი მონაცემთა ბაზა;
- 2003 წლიდან გაუქმდა „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპი, წყალაღებისა და წყალჩაშვების ლიცენზიები, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საქმიანობები, როგორიცაა ინფრასტრუქტურული პროექტები, წიაღის მოპოვება, ღრმა ბურღვა და სხვ;
- სამინისტროს ხელმძღვანელობის ხშირი ცვლით გამოწვეული წმინდა ტექნიკური პრობლემების გამო, საქართველო დღემდე არ შეუერთდა ბუქარესტის კონვენციის ოქმს „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების კონსერვაციის შესახებ“ და შავი ზღვის 2008—2018 წ.წ. სტრატეგიულ მოქმედებათა გეგმას. ამ ხარვეზის გამოსწორება დაგეგმილია 2009 წლის აპრილში;
- საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, რაც ეხება, როგორც დოკუმენტების შემუშავებას, ინფორმაციის გაცვლას, შეხვედრებს სხვადასხვა დონეზე, ასევე წმინდა პრაქტიკულ შედეგებს, როგორიცაა ლაბორატორიების აღჭურვა და მონიტორინგის ქსელის აღდგენა/განახლება;
- პროექტების ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები, მათ შორის სტრატეგიულებიც, რჩება რეკომენდაციების სახით და არ მიმდინარეობს მათი განხილვა-დამტკიცება სამთავრობო დონეზე;
- პროექტების დამთავრების შემდეგ, პროექტის ფარგლებში მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობაც (მონაცემთა ბაზების შექმნა, მონიტორინგი, წყლის ანალიზები და სხვ.), დაუფინანსებლობის გამო, წყდება ან მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს;
- ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო დაფინანსებით მიმდინარე პროექტებში არამართლზომიერად არის ჩამოყალიბებული მიზნები და შესაბამისი ქმედებები, რაც იწვევს მათ ურთიერთგადაფარვას.
- უკრაინასთან გაფორმებული ორმხრივი შეთანხმების „თევზის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ საფუძველზე (ძალაშია 1997 წლიდან), უკრაინული გემი ყოველწლიურად შემოდიოდა საქართველოს სასაზღვრო წყლებში და თევზჭერის ნებართვის სანაცვლოდ ატარებდა კვლევებს თევზის მარაგის შესწავლის კუთხით, რაც წარმოადგენდა თევზჭერის კვოტების დადგენის ერთადერთ საფუძველს. 2004 წლიდან თევზჭერაზე გაცემულმა 10-წლიანმა ლიცენზიამ, ფაქტიურად, შეაჩერა ეს შეთანხმება და თევზჭერის კვოტების დადგენა ფრიად მერყევ ნიადაგს დაეფუძნა.

მიზანი 13

გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირება სხვა სექტორებში

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

4.4 მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

- მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ზომების განსაზღვრა;
- მდგრადი განვითარების სტრატეგიული დაგეგმვისა და შესაბამის სუბიექტებს შორის კოორდინირების უზრუნველყოფა;
- ზომების მიღება გარემოსდაცვითი საკითხების სხვა სექტორებში ინტეგრირების გაუმჯობესებისათვის.

შეფასება

კითხვა	დიახ: საუკეთესო	დიახ: ადეკვატური	დიახ: ცუდი	არა	განმარტება
ქულა	3	2	1	0	
გარემოს დაცვის ინტეგრაცია სხვა სექტორულ პოლიტიკებში					
ადმინისტრირება: დაფუძნებულია, თუ არა ერთობლივი კომიტეტები ან გადადგმულია თუ არა სხვა ნაბიჯები, გარემოს დაცვის ინტეგრირება სექტორულ პოლიტიკებში ინტეგრაციისთვის?			X		მხოლოდ იმ სფეროებთან მიმართებაში, როდესაც იქმნება ერთობლივი კომიტეტები ან კომისიები დონორების მოთხოვნის მიერ. მაგალითად, გაერო-ს ყველა პროექტს ჰყავს საზედამხედველო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებისგან.
გეგმები და პროგრამები: არის, თუ არა გამოცემული პოლიტიკის განმსაზღვრელი ერთობლივი დოკუმენტები				X	არა; მათ შორის, არ მომზადებულა ერთობლივი პროგრამები და გეგმები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ჯანმრთელობა და გარემოს დაცვა.
ეროვნული სტრატეგიის მომზადება					
მიღებულ იქნა, თუ არა მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ?				X	
მიმდინარეობს, თუ არა მუშაობა მის შემუშავებაზე?				X	2005 წელს შეიქმნა მდგრადი განვითარების კომისია პრემიერ-მინისტრის თავჯდომარეობით. კომისია ნომინალურია და სტრატეგიის შექმნაზე მუშაობა რეალურად არ მიმდინარეობს.
პროცესი					
თამაშობენ, თუ არა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი სამინისტროები აქტიურ როლს სტრატეგიის მომზადებაში?				X	
თამაშობს, თუ არა სამოქალაქო საზოგადოება სხვადასხვა სექტორებში აქტიურ როლს (გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, მრეწველობა და სხვ.)				X	
განხორციელება					
გადადგმულია, თუ არა ნაბიჯები სტრატეგიის ქმედებების განსახორციელებლად?				NA	არ არის რელევანტური საქართველოსთვის.
საერთო შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 18-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	1				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	5.5%				

მიზანი 14

კიოტოს ოქმისა და გაერო-ს კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენციის მოთხოვნების შესრულება

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

კიოტოს ოქმის და კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს კონვენციის დებულებების განხორციელება, მათ შორის "სუფთა განვითარების მექანიზმის" (Clean Development Mechanism) ფარგლებში აქტიური თანამშრომლობის გზით

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადექვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
არსებობს, თუ არა სათბური გაზების ემისიის მონიტორინგის სისტემა?			X		პერმანენტული მონიტორინგის სისტემა არ არსებობს, მაგრამ ხდება პერიოდულად ეროვნული შეტყობინებისათვის შეფასება წინა წლის ემისების, თუმცა შეფასების ხარისხი დაბალია.
მიიღო, თუ არა ქვეყანამ სარგებელი სუფთა განვითარების მექანიზმიდან (I დანართში არ შესული ქვეყნებისათვის)? კერძოდ, იყო თუ არა განხორციელებული პროექტები ამ მექანიზმების გამოყენებით?			X		დარეგისტრირებულია ერთი პროექტი და რვა იმყოფება ვალიდაციის პროცესში. 2000 წლიდან საქართველო არის სუფთა განვითარების მექანიზმის ნაწილი, მაგრამ მხოლოდ ერთი პროექტია ჯერჯერობით დარეგისტრირებული 2006 წელს (მეთანის შეგროვება ნაგავსაყრელიდან და მისი დაწვა). პროექტი მომზადდა იაპონური კომპანიის მიერ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად. პროექტი დღემდე არ დაწყებულა..
შემუშავებულია, თუ არა ეფექტური ეროვნული და/ან რეგიონული პროგრამები, რათა გაუმჯობესდეს ადგილობრივი ემისიის ფაქტორების ხარისხი, საქმიანობის მონაცემები და/ან მოდელები ინვენტარიზაციის მომზადებისა და განახლებისა?				X	
არსებობს, თუ არა ეროვნული და/ან რეგიონული პროგრამები, რომლებიც მიმართულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, (სექტორული პროგრამები ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, ნარჩენებში, მიწის გამოყენების, მრეწველობის, ოჯახური მეურნეობის, შენობების, ან სხვა სპეციფიური ტექნოლოგიების როგორიცაა ენერგიის კონსერვაცია ან განახლებადი ენერგეტიკა მუხლი 4.1 ბ)		X			მიდის ფართო პროგრამები ძირითადად ენერგეტიკის დარგში, რომელიც ძირითადად ფინანსდება GTZ, kfW, UNDP , USAID და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.
დგამს თუ არა ქვეყანა ნაბიჯებს ემისიების კონტროლის პროცესის და კლიმატის ცვლილების აღმოფხვრისთვის ტექნოლოგიების განვითარების და პრაქტიკის გაცვლის გზით (კონვენციის მუხლი 4.1. c), (g), (h))?			X		მეორე ეროვნული შეტყობინება ითვალისწინებს ემისიების შემცირების სტრატეგიას, აგრეთვე იმ დარგების შეფასებას, რომლებიც უნდა განვითარდეს (განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტურობა და სხვ.).
იყო, თუ არა მიღებული გეგმები კლიმატის ცვლილების ადაპტაციის (სანაპირო ზოლის მართვა, წყლის რესურსები) (კონვენციის მუხლი 4.1 (ე)			X		ადაპატაციის გეგმები მომზადებულია სამი რეგიონისათვის, დედოფლისწყარო, ქვემო სვანეთი და შავიზღვისპირეთი, მაგრამ არ არის დამტკიცებული. გაზაფხულზე დაიწყება ზოგიერთი გეგმის განხორციელება უცხოელი დონორების დახმარებით.

არსებობს თუ არა ინიციატივები მიმართული საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის კლიმატის ცვლილების საკითხებზე (მუხლი 4.1 (i) მაგ. ტრეინინგის პროგრამები)			X		ტარდება გარკვეული ინიციატივები კლიმატის ცვლილებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. მაგალითად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, სკოლებში და სხვა სამიზნე ჯგუფებზე გათვლით. მთავრობის წარმომადგენლებისთვის მოეწყო ოთხი ლექცია კლიმატის ცვლილების თენაზე
ანგარიშგება					
აქვს, თუ არა ქვეყანას ანთროპოგენული ემისიებს ინვენტარიზაციის ეროვნული სისტემა (კონვენციის მუხლი.4.1 (a))				X	როგორც პირველი დანართის გარეთ მყოფ ქვეყანას საქართველოს არა აქვს აღებული მსგავსი ვალდებულება კონვენციის წიანშე
თუ აქვს, ხდება, თუ არა მისი პერიოდული განახლება და გამოქვეყანება		X			ანგარიში მომზადდა და გამოქვეყნდა 2008 წელს. მართალია, საქართველოს არა აქვს აღებული მსგავსი ვალდებულება განაახლოს ის ყოველწლიურად, მეორე ეროვნული შეტყობონების სამუშაო ვერსია რეკომენდაციას უნევს მთავრობას განაახლოს მონაცემები სულ ცოტა ორ წელიწადში ერთხელ.
აწვდის, თუ არა ქვეყანა ეროვნულ შეტყობინებას გაეროს კონვენციის სამდივნოს რეგულარულად? კერძოდ, თუ პირველი შეტყობინება იქნა მომზადებული, გადაიდგა, თუ არა ნაბიჯები მეორე შეტყობინების მოსამზადებლად?		X			ქვეყანა ამზადებს ეროვნულ შეტყობინებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებულ იქნა დაფინანსება მსოფლიო გარემოსდაცვითი ფონდიდან (GEF). პირველი ეროვნული შეტყობინება მომზადდა 1997-1998 წლებში და გადაეცა სამდივნოს 1999. მეორე ეროვნული კომუნიკაციის მომზადება დაიწყო 2006 წელს და მოსალოდნელია მისი გადაცემა სამდივნოსთვის 2009 წლის ზაფხულში.
მოიცავს, თუ არა ეროვნული შეტყობინება ინფორმაციას იმ ნაბიჯების შესახებ რომელიც იქნა გადადგმული ან გადასაგმელია იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად?	X				ეროვნული შეტყობინება მიჰყვება UNFCC-ს სახელმძღვანელო პრინციპებს და მოიცავს საქართველოს მიერ აღებულ ყველა ვალდებულებას (ინვენტარიზაცია, ადაპტაცია და ა.შ.)
აქვს, თუ არა ქვეყანას შეტანილი სამდივნოში წინადადებები პროექტების დასაფინანსებლად ემისიების ნებაყოფლობით შემცირებისთვის? (კითხვა ეხება დანართ I არ შესულ ქვეყნებს ან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს)	X				მეორე ეროვნული შეტყობინების ვერსიას თანდართული ექნება პროექტების სია, რომელიც უნდა განხორციელდეს ემისების შემცირებისათვის.
საერთო შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 36-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	16				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	44%				

მიზანი 15
ენერგო და ტრანსპორტის პოლიტიკის მდგრადობის ზრდა

შესაბამისი ტექსტი სამოქმედო გეგმიდან:

- ტრანსპორტის მდგრადი ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და დახვეწა ყველა სახის ტრანსპორტის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობისა და მარეგულირებელი სისტემების დაახლოება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან, განსაკუთრებით უსაფრთხოების საკითხებში;
- ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავება (პოტენციალთან დაკავშირებული პრობლემების, ინტერმოდალური მოწყობილობების და კავშირის დასამყარებელი ინფრასტრუტურის ნაკლებობის ინდენტიფიცირება) სხვადასხვა სექტორში პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის მიზნით;

შეფასება

კითხვა	დიახ			არა	განმარტება
	საუკეთესო	ადეკვატური	ცუდი		
ქულა	3	2	1	0	
მდგრადი ტრანსპორტის პოლიტიკა					
სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ, დამტკიცებულია, თუ არა ეროვნული მდგრადი ტრანსპორტის პოლიტიკა? თუ არა, მიმდინარეობს, თუ არა მისი შემუშავება?				X	
მიმართულია, თუ არა პოლიტიკა ტრანსპორტის სექტორიდან წარმოშობილი ძირითაი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე (მაგ., ჰაერისა და წყლის დაბინძურება, ჯანმრთელობის ზემოქმედება, მჟავე წვიმები და კლიმატის ცვლილება)?				X	
სხვადასხვა სექტორის დაინტერესებული მხარეები თამაშობენ, თუ არა აქტიურ როლს პოლიტიკის განვითარებაში (გარემოსდაცვითი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მრეწველობა, სხვ.)				X	
გადადგმული იყო, თუ არა ნაბიჯები რკინიგზის გაუმჯობესების და გაფართოებისთვის და ინტერ-მოდალურ მომსახურების გაუმჯობესებისათვის, როგორც ტვირთების ასევე მგზავრების გადაყვანისას?		X			გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული რკინიგზის ქსელის გასაფართოვებლად, მათ შორის ახალქალაქი-კარწახი და მარაბდა — ახალქალაქი რეაბილიტაცია.
განხორციელება					
იყო, თუ არა პოლიტიკა განხორციელებული პრაქტიკაში?				X	
არსებობს, თუ არა ფინანსური რესურსები პოლიტიკისთვის და იყო, თუ არა ეფექტურად გამოყენებული?				X	

ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკის გეგმები					
სამოქმედო გეგმის ხელმოწერის შემდეგ, დამტკიცებულია თუ არა კარგი ეროვნული გეგმა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკის?			X		ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ხაზგასმით მოითხოვს კანონმდებლობის მიღებას ენერგოეფექტურობის და ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ. მსგავსი ვალდებულება ჩადებულია საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის მეორე განახლებულ სასესხო ხელშეკრულებაშიც (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი), რომლის რატიფიკაციაც 2007 წელს მოახდინა საქართველოს პარლამენტმა. ვალდებულების თანახმად, 2008 წლის 1 იანვრისთვის მიღებული უნდა იყოს სრული საკანონმდებლო პაკეტს ენერგეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის შესახებ.[1] ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ენერგოეფექტურობის განვითარების სტრატეგია და ხედვა, მისი ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა და ინსტიტუციური გარემო. 2008 წელს შეჩერდა და გაურკვეველი დროით გადაიდო მუშაობა ენერგოეფექტურობის კანონის შექმნაზე, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით და ენერგეტიკის სამინისტროს მონაწილეობით მიმდინარეობდა. გარკვეული ბიზნეს წრეების და პოლიტიკოსების წინააღმდეგობის გამო, უშედეგოდ დამთავრდა სამშენებლო კოდექსში ენერგოდაზოგვის მოთხოვნების ინტეგრაციის მცდელობაც. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს ამ მიმართულებით მეტი ინიციატივის, ღრმად გააზრებული და თანმიმდევრული ქმედებების საჭიროებას. განახლებადი ენერგიის განვითარების ნაცვლად, საქართველოს მთავრობა უპირატესობას მიანიჭა ელექტროგენერაციის ტრადიციულ პროექტებს, რომლებიც დიდ ჰიდრო ელექტროსადგურებს ითვალისწინებს. დიდი ჰიდრო ელექტროსადგურები არ განიხილება განახლებადი ენერგიის წყაროდ, გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის გამო. 2005 წელს მთავრობამ დაიწყო სამუშაოები ცხრა დიდი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისთვის, კერძოდ, ნამახვანჰესების კასკადის (700 მეგავატის), ხუდონჰესის (638 მეგავატის), ონის კასკადის (272 მეგავატის) და კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგურის (სულ 1 747 მეგავატის გენერაციით).[2] ხუდონის (მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით) და ნამახვანის პროექტების წინასწარი შესწავლა დამთავრებულია და ამ ეტაპზე მთავრობა ცდილობს, მოიძიოს 1.5 მილიარდი ევრო მშენებლობისთვის.
თუ არსებობს გეგმა, მოიცავს თუ არა ის სპეციფიურ და გაზომვად მიზნებს?				X	
თუ არსებობს გეგმა, აქვს თუ არა თანდართული ნათელი და რეალისტური ფინანსური გეგმა (მაგ., განსაზღვრულია თუ არა დაფინანსების წყაროები)?				X	
თამაშობს, თუ არა დაინატერესებული მხარეები აქტიურ როლს გეგმის შემუშავებაში?				X	მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმაოდ დიდი ექსპერტიზა სამოქალაქო სექტორში და აშშ-ს განვითარების სააგენტო ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების ზრდას და ახორციელებს საპილოტო პროექტებს, ამ ორგანიზაციების აზრის იგნორირება ჩვეულ პრაქტიკად იქცა.
გადადგმულია, თუ არა ნაბიჯები გეგმის ქმედებების შესასრულებლად?				X	

ქვეყნისთვის სპეციფიური კითხვები					
გადადგმული თუ არა ნაბიჯები ადამიანური რესურსების განვითარებისათვის განახლებად და ენერგოეფექტურობის სექტორებში?			X		გარკვეული ნაბიჯები იქნა გადაგმული ამ მიმართულებით დონორების მხრიდან, მაგრამ არასაკმარისი.
საერთო შეფასება					
საერთო შეფასება: 0-დან 36-მდე (3 X კითხვების რაოდენობაზე)	4				
საერთო ქულა = მიღწევად მაქსიმალურ ქულასთან პროცენტული თანაფარდობა	11.1	%			

ფონური ინფორმაცია ენერგეტიკაზე

(შემდეგი შეფასებებისთვის, ენერგოეფექტურობის გეგმების შედეგების შესაფასებლად)

შეკითხვა		შენიშვნა
როგორია ენერგიის წილი რომელიც ეფუძნება განახლებად ენერგიას? გთხოვთ დაყავით ტექნოლოგიებისა და სექტორების შესაბამისად (რათა თავიდან იქნას აცილებული დიდი კაშხლების მიერ ციფრების დამახინჯება!) ეროვნულ სტატისტიკის და ან www.iea.org მონაცემებზე დაყრდნობით: ჰიდრო, გეოთერმული, მზის, და სხვა როგორც **TPES %** ტენდენციის ანალიზი: განახლებადის % ზრდა ფონური სიტუაციის შემდეგ		2006 www.eia.org TPES = 3344 KTOE 70% TPES იმპორტირებულია, 64 % ნავთობის იმპორტი, 33% გაზის. დიდი ჰიდროს წილი 457 Ktoe განახლებადი (ეგოთერმალური, მზის, და სხვ) 10 ktoe შეშა 645ktoe გაზი 1380ktoe შეშისა და ჰიდროს წილი დაახლოებით თანაბარია ეროვნული ენერგობალანსის თანახმად 2007 წელს ადგილი ჰქონდა ზრდას განახლებად ენერგეტიკაში, 14ktoe , ასევე ჰიდროში მაშინ როდესაც შეშის წილი შემცირდა 385-მდე
როგორია ეროვნული ენერგოინტენსივობის მაჩვენებელი? როგორია ენერგომოხმარების სპეციფიური მაჩვენებელი? ეროვნული სტატისტიკის დეპარტამენტიდან ან www.iea.org: TPES/ მოსახლეობა TPES/capita და TPES/GDP (PPP) დამატებით რამდენია ეროვნული ნახშირბადის ინტენსივობის მაჩვენებელი (ზემოთ აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით) CO2/ქვეყანა; CO2/capita and CO2/GDP (PPP)		ნახშირბადის ინტესივობა 2005 წელს იყო 1.09 და ხოლო 2006 წელს შეადგინა 1.51 (www.eia.dov.ge მონაცემების თანახმად). TPES /მოსახლეობა – 0.75 TPES/GDP (toe/thousand 2000 USD) 0.70 TPES/GDP/(PPP) 0.23 $C0_{2/}$TPES 1.38 $C0_2$ მოსახლეობა 1.04 $C0_2$/ GDP (PPP) 0.31
როგორია ეროვნული ენერგო/ნახშირბადის ინტენსივობა რეგიონის მსგავს ქვეყნებსთან შედარებით? მაღალია თუ დაბალი? დამატებით ტენდენციის ანალიზი: ძრდა/ვარდნა (%) ზემოთ აღნიშნული მონაცემების ბაზისურ სიტუაციასთან შედარებით?		ძალიან ძნელია ტენდენციია ანალიზი, რადგანაც თითქმის არ არის არანაირი ცვლილება ინტესივობაში ან ძალიან მცირეა. მაგ. ნახშირბადის დიოქსიდის ემისია (მილიონი მეტრი ტონა), უკანასკნელი მონაცემი 4.7 არის 2005 წლის მონაცემი, ყველაზე მცირე იყო 2003 წელს — 3.8 და 2004 წელს იყო 4.1 ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ნაკლები აქვს ნახშირბადის ინტერნსივობა რადგანაც 53% აქვს ჰიდროს წილი მოხმარებულ ენერგიაში. მაგალითად, 2003 წელს აზერბაიჯანისათვის ნახშირბადის დიოქსიდის ემისია (მილიონი მეტრი ტონა) იყო 36, ხოლო სომხეთისთვის 8.99.

[1] საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 15 მარტის №4457—Iს დადგენილება „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის მეორე განახლებული სასესხო ხელშეკრულების (ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი) რატიფიცირების შესახებ“.

[2] ჰიდროგენერაციის პროექტების დეტალებისთვის, იხილეთ ვებ-გვერდი: **http://www.georgiahydroinvest.com/proj_intro.html**